

ჩვენი ორგანოები საუბრობენ გესმით?



II – გამოცემა

ჩვენი ორგანოები საუბრობენ, გესმით ?

დრ. ფარუკ კანგერი

ბათუმი 2023

თარგმნა:
მალხაზ ბოლქვაძე
არჩილ ხოზრევანიძე

სარედაქციო კოლეგია:
ზურაბ მიქელაძე
უშანგი ბოლქვაძე
დანიელ ბოლქვაძე
მაყვალა ხმალაძე

თეოლოგიური რედაქტორი:
ომარ ბოლქვაძე

ფილოლოგიური რედაქტორი:
ნაზი კოჩალიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
უშანგი ბოლქვაძე

ISBN: 978-9941-8-3491-2

თარგმნილია:
Dr. Faruk KANGER
«Organlarımız konuşuyor Duyuyor Musunuz?»

წიგნი გამოცემულია საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაციის მიერ, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს რეკომენდაციით.

გამომცემლობა ერქამი: 2023 - წელი

წინათქმა

გაზაფხულობით რაკრაკით მომდინარე ნაკადულები, ხეების მოშრიალე ფოთლები, ვინ იცის, თავიანთ ენაზე რას საუბრობენ?

ტკბილ ხმაზე მოჭიკჭიკე ჩიტები, მათთვის ბანის მიმცემი ფუტკრები და მწერები ნეტა რას გვიყვებიან?

თუ თქვენ გგონიათ, რომ მხოლოდ ადამიანები საუბრობენ? რათქმაუნდა, მთელი სამყარო საუბრობს თავის ენაზე. მაგალითად; მიწა ლაპარაკობს, მიწიდან ამოზრდილი ხორბლის ყლორტები ლაპარაკობენ:

- ''ღმერთმა, რომელმაც გამაჩინა, თქვენთან სარჩოდ გამომაგზავნა; მოვდივარ, როგორც პური, თქვენი მაგიდისთვის."

მოჩუხჩუხე მდინარეები ამბობენ: „ჩვენ მთელ დედამიწაზე ვმოგზაურობთ, როგორც ვენები თქვენს სხეულში; სადაც არ უნდა წავიდეთ, თან მიგვაქვს სიმწვანე, ახალი სიცოცხლე ისევე, როგორც სისხლს, რომელიც თქვენს ყველა უჯრედს ამარაგებს საკვები ნივთიერებებითა და ჟანგბადით''

დიახ, ღმერთი, რომელსაც ნადმვილად შეუძლია აალაპარაკოს ყველა და ყველაფერი, ჩვენს სხეულსაც ალაპარაკებს. ის ალაპარაკებს ორგანოებს, რომლებიც შექმნა თავად და ჩვენ გვანდო. თანაც ყველასთვის გასაგებ ენაზე მოდით ვნახოთ, აღნიშნული სიმართლე როგორ არის გადმოცემული ყურანში:

მათი (ვინც ცუდი ჰქმნეს, შემდგომ ცხოვრებაში, ცეცხლთან) მიახლოებისას მათი ყურები, თვალები და კანი (მათ მიერ ამ ცხოვრებაში ნამოღვაწარზე) მოწმედ დაუდგებიან და ისაუბრებენ იმაზე, რაც უკეთებიათ. (ცუდის ჩამდენნი გაოცებულები) თავიანთ კანს შეეკითხებიან:

- "რატომ (საუბრობთ ჩვენ მიერ ჩადენილ ცუდ საქმეებზე) **გამოდიხართ მოწმედ ჩვენ წინააღმდეგ?" მათი კანი კი უპასუხებს:**

- "ღმერთმა, რომელმაც ყველას და ყველაფერს მისცა საუბრის შესაძლებლობა, ჩვენც აგვალაპარაკა. ის, ვინც თქვენ არაფრისგან შეგქმნათ, ღმერთია, ახლა კი კვლავ მას უბრუნდებით.

ვინაიდან თქვენ ადრე (იმ ცხოვრებაში ყოფნისას) **არ გეშინოდათ, რომ თქვენი ყურები, თქვენი თვალები, თქვენი კანი მოწმედ დაგიდგებოდათ, გეგონათ, თქვენი ნამოქმედარის შესახებ ვერ გაიგებდა ღმერთი. ღმერთის შესახებ ამ არასწორმა ფიქრებმა დაგღუპათ, ამგვარად იქეცით ისეთებად, როგორებიც განადგურდნენ და ისე მიდიოდნენ!"** *(სურა ფუსილეთი20.,21.,22. და 23. აიათები).*

აღნიშნული აიათები გვიჩვენებს, რომ ჩვენს ყველა ორგანოს გააჩნია საკუთარი უნიკალური სასწაულებრივი ენა და მეხსიერება. ყველა მათგანმა კარგად იცის, რისი გაკეთება მოეთხოვებათ და ასევე ძალიან კარგად ესმით, თუ ჩვენ მათი საშუალებით რას ვაკეთებთ. თანაც ისე ძალიან კარგად, რომ დეტალურად შეუძლიათ ისაუბრონ მთლიანი სამყაროს შემქმნელი ღმერთის წინაშე.

ჩვენ ამ ცხოვრებაში ყოფნისას უნდა გვესმოდეს ჩვენი სხეულისა, ჩვენს სამსახურში მყოფი ორგანოების ენა და უნდა ვიგებდეთ მათ საუბარს. თუ მათ მოსმენას შემდეგი ცხოვრებისთვის გადავდებთ, ძალიან გვიანი შეიძლება იყოს, არა?

მოდით! მაშინ ყური დავუგდოთ ჩვენი ორგანოების საუბარს. ვნახოთ რას გვეტყვიან! რა საიდუმლოს გაგვიმხელენ!

ჩუ, ჩუმად იყავით! გესმით? ნახეთ როგორ საუბრობენ!

დრ. ფარუქ ქანგერ

უსქუდარი 2013

სარჩევი

რას გვეუბნება ჩვენი თვალები 7
მოუსმინეთ თქვენს ყურებს 13
ჩვენი ენა გვესაუბრება 19
ჩვენი ცხვირი საუბრობს 25
ნახეთ, რას ამბობს ჩვენი კანი..... 31
შეგიძლიათ შემომხედოთ 37
ხელები რას ამბობენ 43
ჩვენი გულიც საუბრობს..... 49
ჩვენი გული საუბრობს..... 55
ჩვენი ფეხები გვეუბნება..... 61
მოუსმინეთ, თქვენი ფილტვები საუბრობენ 67
ჩვენი თირკმელი ამბობს, რომ 73
შეგიძლიათ მოუსმინოთ ღვიძლს..... 79
მე თქვენი კუჭი ვარ 85
ჩვენი ტვინი საუბრობს 91
ჩვენი ტვინი რას გვეუბნება 97
ჩვენი სისხლი რას გვესაუბრება 103
მოუსმინეთ თქვენს ჩონჩხს 109
პანკრეასი ამბობს, რომ 115
მოლაპარაკე თმები 121
აალაპარაკეთ ფრჩხილები 127
დნმ-ი განმარტავს თავის საიდუმლო კოდებს 133
მზად ხართ ჩვენთან ერთას იმოგზაუროთ მსოფლიოს გარეშემო... 133
მზად ხართ ჩვენთან ერთას იმოგზაუროთ მსოფლიოს გარეშემ 139
ნაწლავები ასე ამბობენ 145

რას გვეუბნება ჩვენი თვალები

ჩვენ თქვენი თვალები ვართ. ჩვენ ვართ ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ორგანოები, რაც თუ გაგაჩნიათ. ახლა, ამ ტექსტს ჩვენი საშუალებით კითხულობთ. ჩვენ ვართ ერთ-ერთი გასაოცარი ორგანოები, რომლებიც ღვთაებრივი ხელოვნების შედევრად არიან აღიარებული და რომლებიც ასჯერ აღემატებიან მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიებით წარმოებულ კამერასაც კი. შესაძლოა, თქვენ ამას საერთოდ ვერც კი ამჩნევთ, თუმცა ჩვენ ამ რამდენიმე წამში თქვენს ტვინთან ერთად მილიონობით ოპერაცია შევასრულეთ და თქვენ საბოლოოდ შეძელით ამ აბზაცის წაკითხვა.

ჩვენ უზენაესმა ალლაჰმა შეგვქმნა თქვენთვის, უნაკლო და ყველაზე გასაოცარი სილამაზით. თქვენ არ გახსოვთ, ჩვენი გაჩენის თავგადასავალი დაიწყო მაშინ, როცა თქვენ ჯერ კიდევ დედის მუცელში იმყოფებოდით. თქვენ იქ ჯერ კიდევ ორმოცი დღის იყავით. ჩვენ თქვენს თავში ჯერ ორი შავი ხვრელის ფორმის ვიყავით, ხოლო შემდეგ გავიდა კვირები და ჩვენ იქ გავჩნდით.

როგორ მოხდა, რომ ჩვენ, უჯრედები, რომლებიც ვქმნით თვალებს, საჭირო და სწორ ადგილას შევიკრიბეთ? ჩვენ ვინ გვიჩვენა გზა? როგორ მოხდა, რომ ჩვენი უჯრედები არ მოხვდა ყურში, პირში ან ტვინში, მათი უჯრედები კი ჩვენს უჯრედებს არ შეერია? როგორ შეძლეს და გაიგეს ჩვენმა ნერვულმა, სისხლძარღვოვანმა, ცხიმოვანმა უჯრედებმა თავიანთი რიგითობა და ადგილმდებარეობა? აი, რა უნდა გითხრათ; იმიტომ, რომ ჩვენი პროექტი დახაზა უზენაესმა ღმერთმა, რომელმაც შექმნა ყველა და ყველაფერი. ჩვენ, მან მოგვცა მიმართულება. შემდეგ შევიქმენით სრულად, წვრილი სისხლძარღვებისა და ნერვებისგან ბროლების, უფრო მეტიც, წამწამების ჩათვლით. მის პროექტში არ არსებობს რაიმე შეცდომა და ხარვეზი. ის ყველაფერს ქმნის უნაკლოდ და უნიკალურად.

ვნახოთ, რას უყურებთ?

ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, როგორი იქნებოდა თქვენი ცხოვრება? ოდესმე თუ გიფიქრიათ ამაზე? ვერ წაიკითხავდით, ვერ დაწერდით, ვერ ირბენდით. . . . ვერასოდეს გაიგებდით, ფილმი რა არის. ვერასოდეს გაიგებდით, როგორი სახე აქვთ თქვენს დედას და მამას, თუ გყავთ, თქვენს და-ძმას. ვერ გაიგებდით, რა ფერის არის ვაშლი, მარწყვი, რომელსაც მიირთმევთ. ვერც კი იოცნებებდით ცისა და ზღვის სილურჯეზე.

კარგი, ჩვენ თქვენ რისთვის გებოძეთ? ნეტა, რას ითხოვს თქვენგან ის, ვინც ეს თვალები გიბოძათ? ჩვენ ალლაჰის კურთხევა და ძღვენი ვართ თქვენთვის. თქვენ ჩვენი წყალობით ხედავთ

ღრუბლებს ცაში, უყურებთ წვიმას და ამის გამო მადლიერებას გამოხატავთ უზენაესი ღმერთის წინაშე. დილით მზის ამოსვლას უყურებთ, საღამოს — მზის ჩასვლას, ღამე კი — მთვარის სასიამოვნო ნათებას. და თქვენ ფიქრობთ: „უფალო ჩვენო! შენ, ჩვენ და ყველაფერი ეს ტყუილად არ გაგიჩენია. უეჭველად, ჩვენ შენი ქმნილებები ვართ“. თუ ამ ყველაფერს არ ფიქრობთ?

ალლაჰის მიერ თქვენთვის ნაბოძები ათასობით ძღვენის მსგავსად, ჩვენც თქვენთვის ერთ-ერთი გამოცდის მიზეზი ვართ. თქვენთვის ბოძებული სიცოცხლე დასრულდება, ჩაქრება ჩვენი კამერის სინათლე და დაიწყება იმქვეყნიური უსასრულო ცხოვრება.



იქ ადამიანებს მოეკითხებათ, ჩვენ კარგი საქმისთვის გამოგვიყენეს თუ ცუდი საქმისთვის. თქვენც მოგეკითხებათ იმის გამო, ჩვენი საშუალებით რასაც შეხედეთ და რასაც უყურებდით. იმ დღეს უზენაესი გვეტყვის, რომ:

-ეი თვალებო, გვაჩვენეთ ის გამოსახულებები, რასაც ხედავდით იმქვეყნად, დედამიწაზე ყოფნის დროს?

იქ, როგორც ყველა თქვენი ორგანო, ჩვენც ავლაპარაკდებით და დავიწყებთ მოყოლას და ვიტყვით:

- ალლაჰო ჩვენო, ადამიანმა, რომელსაც შენ უბოძე ჩვენი თავი, ჩვენი საშუალებით გარკვეულ დროს იკითხა ყურანი,

გარკვეულ დროს დილაუთენია შეასრულა ლოცვა, ერთ დღეს დაინახა ღარიბი ადამიანი და დაეხმარა მას, ერთ ღამეს შენი აიათებისა და ღვთიური წიგნის კითხვისას, ერთ-ერთ საუბარში შენი შუამავლის სახელის გაგონებისას, სიყვარულის გამო აუცრემლიანდა თვალები.

„ჩემო ალლაჰო! შენმა გაჩენილმა ადამიანმა ცუდი თვალით შეხედა სხვას, ზიზღით შეხედა მას, გარკვეულ დღეს შეხედა აკრძალულს, რომელზეც არ უნდა შეეხედა, ჩვენ ცოდვის ჩადენისთვის, შენი ღალატისთვის გამოგვიყენა“

გაინტერესებთ, ეს ყველაფერი საიდან ვიცით? - მოდი აგიხსნით. თქვენ როგორ შეგიძლიათ ტვინის საშუალებით, რომელიც მხოლოდ ხორცისგან, სისხლისგან და წყლისგან შედგება, გაიხსენოთ წლების წინ მამის მიერ თქვენთვის შეძენილი საჩუქარი? როგორ არ გავიწყდებათ დედასთან ერთად განცდილი მოგონებები? ჩვენც ყველაფერს იმას, რასაც თქვენ შეხედეთ და რაც დაინახეთ, ვინახავთ ჩვენს მეხსიერებაში. მწერალი ანგელოზები (ქირამენ ქათიბინ) თქვენს ყველა მდგომარეობას ასახავენ კამერაში და ინახავენ. შესაძლოა დროთა განმავლობაში თქვენ დაგავიწყდეთ ის, რაც ჩვენი წყალობით დაინახეთ და რასაც ჩვენი წყალობით შეხედეთ, მაგრამ ჩვენ არასოდეს დაგვავიწყდება! თანაც ყოველგვარი აღრევის გარეშე, ვიცით ყოველივე წამი. წარღვნის დღეს, ღვთიურ სასამართლოზე, როცა ჩვენი ღმერთი გვეტყვის: „მოდი! თვალო, მოყევი, რაც დაინახე!“ ჩვენ ენის, ტუჩების გარეშე დავიწყებთ საუბარს. აღნიშნული ჭეშმარიტების შესახებ ყურანი ასე გადმოგვცემს: **„.....(ადამიანის ორგანოები) იტყვიან, რომ „ალლაჰმა, რომელმაც აალაპარაკა ყველა და ყველაფერი, ჩვენც აგვალაპარაკა. პირველად თქვენ მან გაგაჩინათ. ისევ მას უბრუნდებით....“ „ ....ყურები, თვალები და კანი მათ, ვინც უარყოფენ თავიანთ ჩადენილს, დაუდგებიან მოწმედ“** *(სურა ფუსილეთ, 20-21 აიათი).*

ჩვენგან ჩამომდინარე ცრემლები

გვწმენდს ჩვენც და გწმენდთ თქვენც!

ჩვენ, თვალებს, არასოდეს არ გვინდა გამოვამჟღავნოთ თქვენი ცუდი საქმეები და ცოდვები, არამედ გვინდა, გამოვამჟღავნოთ თქვენი კეთილი და კარგი ზრახვები. ამისათვის გთხოვთ, ნუ გამოგვიყენებთ ისეთ ადგილას, რის გამოც ჩვენ განკითხვის დღეს ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით და თქვენ კი ინანებთ. დააკვირდით! უზენაესმა ალლაჰმა ჩვენ წინ ჩამკეტი დაგვიყენა, თანაც ისეთი, რომელიც ერთ წამშიც კი რამდენიმეჯერ იხურება. ისეთი რამის დანახვისას, რომლის დანახვაც აკრძალულია, დაუყოვნებლივ დახარეთ ჩამკეტები, რომ ცუდი არ ჩაიბეჭდოს ჩვენს გონებაში. ჩვენთან ერთად მთელი გულისყურით შეხედეთ იმას და იფიქრეთ იმაზე, რაც ალლაჰის დიდებულებასა და სიდიადეს გახსენებთ. იყავით კეთილები და კარგები, რომ განკითხვის/ანგარიშსწორების დღეს ჩვენც თქვენს კარგ და კეთილ საქმეებზე ვისაუბროთ.

უფალმა ჩვენში შექმნა თვალის წყარო, დედამიწაზე არსებული მდინარეების მსგავსად. ჩვენგან წყარო გადმოედინება, რომელსაც თქვენ ცრემლს უწოდებთ. ეს არის სასწაულებრივი წყალი, რომელიც ჩვენ გვიცავს მიკრობებისგან და გვწმენდს. ჩვენ მისი წყალობით ვიწმინდებით სიბინძურისგან და ვინარჩუნებთ სიჯანსაღეს. კარგი, თქვენ ჩვენი საშუალებით როცა არასწორს უყურებთ და ცოდვით ბინძურდებით, როგორ იწმინდებით? ახლავე გაგიმხელთ ამის საიდუმლოს. თუ ეს ცრემლები, რომლებიც გვიცავს მიკრობებისგან, ცოდვის ჭუჭყის გამო დაიღვრება სინანულითა და მონანიებით, ყველა მათგანი წაიშლება, ანუ, ჩვენი მეხსიერებიდანაც კი წაიშლება, რადგან, უზენაესი ღმერთი მისი მსახურის მონანიებულ ცოდვას პატიობს. ჩვენც ვიწმინდებით ცოდვის ჭუჭყისგან ისე, როგორც ციდან წამოსული წვიმით იწმინდება ქუჩები.

ვის ეწოდება ბრმა?

მინდა მოგიყვეთ უარმყოფელ და ურწმუნო ადამიანებზეც, რომლებზეც ძალიან ვწუხვარ. ისინი ალლაჰის მიერ მათთვის ბოძებული თვალებით უყურებენ ალლაჰის მიერ შექმნილ სამყაროს, ამბობენ: „ალლაჰი სად არის?“. ისინი ისევ ამბობენ: „ჩვენ არავის შევუქმნივართ, ჩვენ ასე ევოლუციით ან შემთხვევით გავჩნდით“. თუმცა მათ რომ უთხრათ: „თუ ასეა, მოდი ასეთი თვალი თქვენ შექმენით!“ კარგი, ამაზე რომ არაფერი ვთქვათ, „შექმენით მისი მსგავსი საოცარი კამერა“, ამისათვის მათი ოცნებაც კი არ იქნება საკმარისი. მათ თვალში მტვრის ნაწილაკები თუ ჩაუცვინდათ, მოსთქვამენ გოდებას, თუმცა არ დაფიქრდებიან იმ წამწამებზე, ქუთუთოებსა და ცრემლებზე, რომლებიც ოცდაოთხი საათის განმავლობაში გვიცავენ მტვრისა და მიკრობებისგან, ღმერთის შესაძლებლობას რატომღაც ვერ დაინახავენ. აი, მათ შესახებ უზენაესი ალლაჰი შემდეგნაირად ბრძანებს: **„მათ აქვთ გულები და ვერ გრძნობენ. მათ აქვთ თვალები და ვერ ხედავენ. მათ აქვთ ყურები და არ ესმით. ისინი ცხოველებივით არიან, უფრო მეტიც, მათზე (დაბნეულები) დაბლა არიან. ისინი თავად არიან დაუფიქრებლობაში (უმეცრების სიბნელეში) ჩაცვენილნი.** *(სურა ელრაფ, 179-ე აიათი).*

თქვენ ბრმას უწოდებთ მათ, ვინც თვალებით ვერ ხედავენ, თუმცა სინამდვილეში ბრმები არიან ურწმუნო ადამიანები. შეიძლება ჩვენ, თქვენი ბრმა მეგობრებისთვის ვერ ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას. თუმცა ისინი, მიუხედავად სიბრმავისა, აღიარებენ ღმერთს და პოულობენ სამოთხის გზას. მაგრამ ის ადამიანები, რომელთაც დაბრმავებული აქვთ გულის თვალები და სინდისი, როცა იმქვეყნად შეიცნობენ ჭეშმარიტებას, სამოთხის გზას უკვე აცდენილი იქნებიან.

მოუსმინეთ თქვენს ყურებს!

გახსენით ფანჯრები!

ჩვენ თქვენი ყურები ვართ. გაზაფხულობით დილით მგალობელი ჩიტების ჭიკჭიკი თუ გესმით, ზაფხულობით ზღვის ნაპირზე ტალღების ხმაური თუ გესმით, ეს, ჩვენი წყალობით. ჩვენ რომ

არ ვიყოთ, ვერც მშვენიერ ღვთიურ და ვერც ამქვეყნიურ ემოციურ ლექსს ვერ მოუსმენდით. უფრო მეტიც, ჩვენ რომ არ ვიყოთ, ვერასოდეს გაიგებდით, როგორი ხმა გაქვთ, ვერც კი ისაუბრებდით. დიახ, ჩვენ თქვენი სხეულის სახლიდან გარეთ გაღებული ფანჯრების მსგავსნი ვართ. ადამიანების მოსმენისთვის და მათთან საუბრისთვის ჩვენ გვიყენებთ.

თქვენთან ერთი კითხვა მაქვს. საინტერესოა, რომელი იყო ის შესანიშნავი სიტყვა, რომელიც წლების წინ, პირველად გაიგონეთ? შეგიძლიათ მისი გახსენება? ჯერ კიდევ ახალად იყავით მოვლენილი ამ ქვეყანას! შეიძლება არ გახსოვთ, თუმცა სიტყვები, რომლებიც პირველად გავიგონეთ, არასოდეს გვავიწყდება: „ალლაჰუ ექბერ, ალლაჰუ ექბერ.... ეშჰედუ ენლა ილაჰე ილლალლაჰ... ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ რესულულლაჰ“ ... გაგახსენდათ არა მამათქვენის მიერ წაკითხული ეზანი და ყამეთი? აი, სწორედ მაშინ გავიგონეთ ამ ქვეყნად პირველად უზენაესი ალლაჰისა და ჩვენი შუამავლის სახელი. იმ დღიდან დღემდე არ დაგვვიწყებია.

ზუსტ ადგილას არიან?

არ დაინტერესებულხართ, ჩვენ რატომ ვართ განლაგებული თავის ორივე მხარეს და ზუსტად მის შუა ნაწილში? გაგცემთ პასუხს: ჩვენში არის მუქი შეფერილობის სითხე, რომელსაც ვესტიბულური სითხე ეწოდება. ის მოძრაობს თქვენთან ერთად მარჯვნივ და მარცხვნივ, წინ და უკან, და უზრუნველყოფს, იაროთ, დაჯდეთ და ადგეთ დაბალანსებულად. თქვენი თავის ორივე მხარეს ჩვენ, ყურები, რომ არ ვყოფილიყავით და ჩვენში არსებული სითხე არ ყოფილიყო, მაგალითად; ერთი — თქვენი თავის ზედა ნაწილში, ხოლო მეორე ყბის ქვედა ნაწილში ყოფილიყო, თავბრუ დაგეხვეოდათ და ვერ გაივლიდით. მთვრალივით დაკარგავდით წონასწორობას და წაიქცეოდით.

უზენაესმა ალლაჰმა, ჩვენ ადამიანებისათვის გაგვაჩინა, უმშვენიერესი და ყველაზე ეფექტური ფორმით. ჩვენ

თქვენი სხეულის უმაღლეს ნაწილში მოგვათავსა, რომ შორიდან მოსული ხმებიც გაგეგონათ. ჩვენ თქვენი თავის ორივე მხარეს მოგვათავსა, რომ ყველა მხრიდან მოსული ხმები თანაბრად და დაბალანსებულად გაგეგონათ. ჩვენ ძაბრის მსგავსი ფორმა მოგვცა და ჩვენში ისეთი ხვეულები მოათავსა, რომ გავრცელებული ხმის ტალღები შევკრიბოთ და გავაგზავნოთ შიგნით განთავსებული აპკისკენ, რათა თქვენც ნათლად გაიგოთ. ჩვენმა გამჩენმა, ჩვენში განათავსა 30 ათასზე მეტი სმენის ნერვი. მათი საშუალებით ხმოვან ტალღებს ვაგზავნით თქვენს ტვინში. თქვენი ტვინი კი იაზრებს და ამ საჰაერო რხევებს თქვენთვის გასაგებს ხდის. თქვენ შეგიძლიათ ესაუბროთ ადამიანებს და გესმოდეთ მათი.



შიშინებს?

იცით? ალლაჰს ძალიან უყვარხართ. საიდან გავიგე? გეტყვით: უზენაესმა ღმერთმა ჩვენი შექმნის დროს ისეთი თვისება მოგვანიჭა, რომ ის ხმოვანი ტალღები, რომლებიც წამში 20-ზე ნაკლებად ირხევა, არ გვესმის. თუ ხმოვანი ტალღა წამში 20.000-ს აღემატება, კვლავ არ გვესმის. მაგალითად, ჭიანჭველების მოძრაობის დროს გამოცემული ფეხის ხმებს ჩვენ ვერ ვგრძნობთ. ასევე სამყაროს მოქცევის/დედამიწის ბრუნვის დროს გამოცემულ ზუზუნს ვერ აღვიქვამთ, რადგან

ჩვენს ნერვებს აღემატება. დაფიქრდით! ჩვენ რომ ასეთი სმენის ნერვი არ გვქონოდა, თქვენი ცხოვრება როგორი იქნებოდა! „ჭიანჭველების მოძრაობისას გაიგონებდით მათი ფეხის ხმებს, თითქოს თქვენს გვერდით ჯარმა ჩაიარა“ ან ტრილიონობით ტონა სამყაროს საათში 1666 კმ სიჩქარით საშინელი ზუზუნით მოქცევა/ბრუნვა რომ გაგეგონათ, ეს ხმაური თქვენს ცხოვრებას რა მდგომარეობაში ჩააგდებდა? ძლიერი ხმაურის გამო სხვა ვერაფერს გაიგონებდით, ეს საშინელებაა!

მოდი ცდა ჩავატაროთ, ჩართეთ რადიო და იპოვეთ არხი, რომელსაც კარგად იჭერს. მიუხედავად იმისა, რომ კარგად იჭერს, შიშინის ხმა გესმით? თუ უფრო დაკვირვებით მოუსმენთ. თქვენი პასუხი აუცილებლად „დიახ“ იქნება. ახლა ყური დაადეთ რადიოს და კარგად მოუსმინეთ, შიგნიდან რამდენად ბევრი ხმა ისმის არა? მაგრამ ჩვენი საშუალებით გაკვეთილის მოსმენისას ყურებში არავითარი შიშინი ან ხმაური არ მოგესმინებათ. რაც არ უნდა ხმაურიან ხმებს მოუსმინოთ; უფრო მეტიც, სტადიონზე გულშემატკივრებსაც რომ მოუსმინოთ, რადიოს ექოს მაგვარი ხმა ჩვენში ან თქვენს თავში არ იქნება. რადგან უზენაესმა ღმერთმა ისეთი საოცარი, ისეთი მგრძნობიარე ფორმით გაგვაჩინა, რომ ხმოვანი ტალღების შეკრებისა და ტვინში გაგზავნისას არავითარ შიშინის ხმას არ გამოვსცემთ იმიტომ, რომ ჩვენ უსაზღვრო ძალისა და შესაძლებლობის მქონე უზენაესი ღმერთის ერთ-ერთი საოცრებები ვართ.

ალლაჰმა, რომელმაც ყველაფერი უნაკლოდ შექმნა, ჩვენ მხოლოდ 50 გრამიანი, ხვრელიანი ხორცის, ძვლისა და ხრტილის ნაწილებით ასე საოცრად გაგვაჩინა. პირიდან გამოცემული ხმოვანი ტალღები ჰაერიდან როგორ მოდის? ჩვენში რო-

გორ გაივლის? შემდეგ ტვინში როგორ იძენს მნიშვნელობას? უფრო მეტიც, ჩვენგან თქვენს ტვინში გამავალი ეს ხმოვანი ტალღები, წლებიც რომ გავიდეს, როგორ შეგიძლიათ გაიხსენოთ, თითქოს ახლახან გაიგონეთ? აი, ეს მეცნიერების მიერ ჯერ კიდევ ამოუხსნელი ღვთაებრივი საიდუმლოა.

რომელ ადამიანს შეუძლია ეს ორმოცდაათგრამიანი ხორცის ნაჭერი რაიმე ქონებაში გაცვალოს? ნეტა თქვენთვის, ადამიანებისთვის, ჩვენი ყურების ნამდვილი ღირებულება რა არის?

წარმოსთქვით ყოველივე, რაც რამე გაგიგონიათ!

აქ ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ. იცით? ჩვენთვის ყველაზე სასიამოვნო ხმა ყურანის ხმაა. ჩვენ ყურანის ხმის გაგონებისას მოჯადოებული და აღფრთოვანებული ვართ. ის მომენტი ჩვენთვის უნიკალური ბედნიერებისა და სიხარულის მომენტია.

ღმერთის შუამავლის პერიოდში პოლითეისტებმა/მუშრიქებმა აკრძალეს ყურანის მოსმენა, რადგან, ვინც ყურანს უსმენდა, აღტაცებული რჩებოდა და იჯერებდა მას. სწორედ ამის გამო, ერთმანეთს აუკრძალეს ყურანის მოსმენა. მაგრამ, ამის მიუხედავად, ბევრი მათგანი ღამღამობით, ფარულად მიდიოდა მუსლიმანების სახლთან ახლოს და მალულად უსმენდა ყურანი ქერიმს. ამაზე ვერ ამბობდნენ უარს, რადგან ეს მათ ძალას აღემატებოდა. ყურანის მოსმენით დიდ სიამოვნებას იღებდნენ. ერთსა და იმავე ადგილას, სადაც ისინი ფარულად მიდიოდნენ, შემთხვევით ხვდებოდნენ ერთმანეთს და საყვედურს ეუბნებოდნენ: „შენ აქ რა გესაქმება?“ ასეთი ქცევით რამდენად სასაცილო მდგომარეობაში ვარდებოდნენ, არა?

უფრო მეტიც, ვინმე სახელად გუბეირს უთქვამს: *„როცა ღმერთის შუამავლის მიერ წაკითხულ ყურანს ვუსმენდი, მეგონა გული გასკდებოდა“, „გული, აღელვებისგან სადაც იყო,*

ფრთებს გამოისხამდა და გაფრინდებოდა“ (აჰმედ, IV. 83) (ბუჰარი, თეფსისი, 52).

და ბოლოს, თქვენთან თხოვნა მაქვს. გთხოვთ, ხშირად მოუსმინეთ ყურანს! მოუსმინეთ ჩვენი შუამავლის ჰადისებს. მუდამ იყავით მადლიერი უზენაესი ღმერთის, რადგან მან ყურები გიბოძათ.

გაფრთხილებთ, რომ ჩვენი საშუალებით არ მოუსმინოთ სიძულვილის ენას, ჭორს და ტყუილს. განკითხვის/ანგარიშსწორების დღეს, როცა ყველა ერთად წარვსდგებით უზენაესი ღმერთის წინაშე, არ ჩავარდეთ ისეთ მდგომარეობაში, რომ სირცხვილის გამო სახეები აგიწითლდეთ, კარგით? იმიტომ რომ იქ უზენაესი ღმერთი გვეტყვის: *„ეი, ყურებო! წარმოსთქვით ყოველივე, რაც რამე გაგიგონიათ!“ ყველაფერს გავამხელთ, რაც ჩვენი საშუალებით გაგიგონიათ. თქვენ შეიძლება დაგავიწყდეთ, რაც გაგიგონიათ, მაგრამ ჩვენ არასოდეს გვავიწყდება. არ დაივიწყოთ ჩვენი საყვარელი შუამავლის შემდეგი ლოცვა: „ღმერთო ჩემო! ჩემი ყურებით, თვალებით, ენითა და გულით ჩადენილი ცოდვების გამო შენ შეგეფარები!“* (ებუ დავუდ, ვიტრ 32).



ჩვენი ენა გვესაუბრება!

მე თქვენი ენა ვარ. საუკეთესო გრძნობებს, აზრებს ჩემი საშუალებით წარმოსთქვამთ. „დედიკო, მე შენ ძალიან მიყვარხარ“ — ამ სიტყვებს ჩემი წყალობით ამბობთ. ყველაზე საყვარელი, გემრიელი საკვების: მარწყვისა და ალუბლის ჭამისას მე გეხმარებით. შესაძლოა ვერ ამჩნევთ, მაგრამ წყალს ჩემი წყალობით სვამთ, ჩემი წყალობით სუნ-

თქავთ. როგორ? ცოტა მოითმინეთ, ყველაფერს აგიხსნით.

ოდესმე დაინტერესებულხართ, როგორ მეტყველებთ? პირიდან სიტყვის წარმოთქმამდე შიგნით რა ხდება?

თქვენი ფილტვებიდან გარეთ გამოდევნილ ჰაერს თქვენს ყელში არსებული ხმის იოგები არხევენ თქვენი ტვინის მოთხოვნებს, ანუ იმ სიტყვების მიხედვით, რომელთა თქმაც გსურთ. ტვინს კი უკვე ნაბრძანები აქვს ხმის იოგებისთვის, თუ რამდენჯერ უნდა შეირხეს იმ სიტყვების მიხედვით, რისი თქმაც თქვენ გსურთ, ასევე ყელში არსებული კუნთები დაჭიმვა-მოდუნებით გეხმარებათ მეტყველებაში. თქვენი ფილტვები კი იმის მიხედვით უბერავს გარეთ, ზუსტად რამდენი ჰაერიც არის საჭირო. ჰაეროვანი ტალღები მე მომყავს მოქმედებაში და ეს ტალღები ხმის სახით გამოდის თქვენი პირიდან. სიტყვები, რომლის თქმაც გინდათ, აღწევს თქვენი მოსაუბრის ყურამდე და მის ტვინში გარდაიქმნება მნიშვნელობის მქონე სიტყვად. სწორედ ასე საუბრობთ.

რომელ მხარეს, რამდენჯერ უნდა შევბრუნდე?

ახლა ერთ შეკითხვას დაგისვამთ. **„მადლობა ჩემო ალლაჰო!“** - ამ სიტყვების წარმოთქმისთვის ცოტა ხნის წინ აღწერილი ყველა მოქმედების გამოანგარიშება და შესრულება თქვენზე რომ იყოს მონდობილი, რას გააკეთებდით? დაფიქრდით აბა, საინტერესოა ამ სამ სიტყვას რამდენ საათში წარმოსთქვამდით? ფილტვებმა, რა ინტერვალით, რამდენი კუბური სანტიმეტრი ჰაერი უნდა გამოდევნოს? ხმის იოგები რა ძალით რამდენი წამი უნდა ირხეოდეს? ყელში არსებული კუნთებიდან რომელი რამდენჯერ უნდა დაიჭიმოს და მოდუნდეს? თქვენმა ენამ, ანუ მე, რომელი მოქნილი მოქმედება რომელ მხარეს რამდენჯერ უნდა შევასრულო? პირმა და ცხვირმა რამდენ წამში რამდენი ჰაერი უნდა ამოისუნთქოს და ჩაისუნთქოს? უზენაესი ღმერთის მიერ ჩვენთვის, ორგანოებისთვის, ბოძებული ეს სასწაული შესაძლებლობები თქვენ

რომ გამოგეანგარიშებინათ და შეგესრულებინათ, მხოლოდ ამ სიტყვების წარმოთქმისათვის შესაძლოა მთელი დღე დაგჭირვებოდათ. ხოლო ჩვენთვის, ორგანოებისთვის, ეს ერთი წამის საქმეც კი არ არის.

უზენაესმა ღმერთმა მე ისეთი სასწაულებრივი თვისებებით გამაჩინა, რომ ჩემში 9000 გემოს შეგრძნების უჯრედი და ასობით ნერვია. მაგალითად, თუ თქვენ ყვითელ, წითელ, მწვანე, მწიფე, არამწიფე ათობით სახეობის ვაშლს შემოგთავაზებენ, თქვენ თითოეული მათგანისგან სხვადასხვა გემოს მიიღებთ. იმიტომ რომ ჩემი გემოს შეგრძნების უჯრედები და ნერვები მათ ცალკ-ცალკე გადასცემს თქვენს ტვინს და უზრუნველყოფს თქვენ მიერ ერთმანეთისგან განსხვავებული გემოს მიღებას. ეს გვიჩვენებს, თუ უზენაეს ღმერთს როგორ ძლიერ უყვარხართ თქვენ, მისი მსახურნი და თქვენ მიმართ რამდენად გულუხვია. ჩვენი ღმერთისთვის, რომელმაც თქვენ ათასობით სხვადასხვა გემოს შეგრძნების შესაძლებლობა მოგცათ, ათასობით მადლობის გადახდაა აუცილებელი, არა?

კირია თუ შაქრის ფხვნილი?

ნეტა მე გემოს შეგრძნება რომ არ მქონოდა, როგორი იქნებოდა თქვენი ცხოვრება? წარმოიდგინეთ! თქვენ წინ დევს მა-

რილი, ფქვილი, სარეცხი საშუალება, თაბაშირი, კირი, შაქრის ფხვნილი. თქვენ, ადამიანები, როგორ გაიგებდით მათგან რომელი რომელია? რათქმაუნდა, ენის წვერზეც რომ დაგედოთ, ვერ მიხვდებოდით. იმის გასაგებად, თუ მათგან რომელი იჭმევა და რომელი არ იჭმევა, ნებისმიერ შემთხვევაში იძულებული გახდებოდით, წასულიყავით ლაბორატორიაში და ჩაგეტარებინათ ტესტი.



უზენაესმა ღმერთმა, რომელმაც მე ათასობით გემოს ერთმანეთისგან განსხვავების უნარი მომცა, უგემური და უმარილო მიწისგან ამოზრდილ ასობით ხილს და ბოსტნეულს განსხვავებული არომატი და გემო მიანიჭა. ადამიანები, ზოგიერთი ცხოველის მსგავსად, მაგალითად; ჭიის მსგავსად მიწით რომ იკვებებოდეს, ყველა ამჟამინდელი გემოსა და არომატისგან მოკლებული იქნებოდა. თქვენ ამ ქვეყანაზე გასინჯული გემოებისთვის ცალკ-ცალკე რომ გეხადათ მადლობები, ეს თვეები გაგრძელდებოდა.

ჩემგან მოშორებით, თქვენი ყელის მიმართულებით, არის პატარა ენა, ის ჩემი მეგობარია. ის იმდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს რომ, ის თუ არ იქნება, ყველა დაიხრჩობით, ვინაიდან ეს პატარა ენა სუნთქვისას კეტავს საყლაპავ მილს და უზრუნველყოფს ჰაერის ფილტვებისთვის მიწოდებას. ჭამისა და სითხის მიღებისას კეტავს სასუნთქ მილს და ხელს უშლის საკვებისა და სითხის მოხვედრას სასუნთქ მილში.

ყვავილის მსგავსი, თუ გველის შხამის მსგავსი?

იცით? ალლაჰმა მე, ანუ ენა გააჩინა იმისთვის, რომ თქვენ სამოთხეში მოხვდეთ. თქვენ ჩემი წყალობით ყოველი საქმის შესრულებისას ახსენებთ ალლაჰს, კითხულობთ ყურანს, ამბობთ სალავათი შერიფებს, კითხულობთ ლოცვის დუეს და სურეებს და ამით ნაბიჯ–ნაბიჯ უახლოვდებით სამოთხეს. აი, ამ დროს, თქვენი ენა ისეთ ხეებს ჰგავს, რომლებიც ხილის მოსხმამდე ყვავილობს. პირიდან ყვავილივით ლამაზ სიტყვებს წარმოთქვამს. ყველას მოსწონს თქვენი მოსმენა. ღიმილით გიყურებენ და უნდათ დაგიახლოვდნენ. თუ მე ჭორის გავრცელების, უკმაყოფილების გამოხატვის, ცილისწამების, ადამიანების გულის ტკენისათვის გამომიყენებთ, ღმერთმა დაგიფაროთ, ჯოჯოხეთს დაუახლოვდებით. თქვენი ენა გველის შხამივით მომწამლველი იქნება, ყველა გაგშორდებათ.

მე თქვენს სხეულში ერთ-ერთი ყველაზე პატარა ორგანო ვარ. თუმცა, თქვენი სამოთხეში ან ჯოჯოხეთში მოხვედრისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვალეობა მე მაკისრია. ერთხელ მუაზბინ ჯებელი (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) მივიდა შუამავალთან და უთხრა:

- ეი, ალლაჰის შუამავალო! შეგიძლიათ მითხრათ ისეთი საქმე, რომელიც სამოთხეში შემიყვანს?

ჩვენმა შუამავალმა ენაზე მიუთითა და გასცა პასუხი:

- *დაიცავი ეს ენა ისეთი ბოროტებისგან და ცუდი საქმეებისგან, როგორიცაა: დაცინვა, სიძულვილის გამოხატვა, ცუდი ფიქრები, ცუდის საუბარი, ადამიანების დამცირება და მათ ცოდვებზე საუბარი და მოხვდები სამოთხეში (თირმიზი, იმან, 8).*

ვიცი, რომ ჩემი, ანუ ენის შეკავება სულაც არ არის ადვილი. თუმცა ალლაჰმა ჩემი შექმნისას ჩემ ირგვლივ განათავსა კბილები, ციხე-სიმაგრის მსგავსად, პირიდან არასწორი სიტყვები რომ არ წამოგცდეთ და საუბრისას კარგად დაფიქრდეთ. მათ წინ კი განათავსა ტუჩები, რომ სიტყვა კარგი დაფიქრებისა და გაანალიზების შემდეგ გამოვიდეს პირიდან. ასევე ალლაჰმა ჩემთან ყველაზე ახლოს, თქვენი ყბის დაბოლოებაში მოათავსა ყურები, რადგან პირიდან წარმოთქმული სიტყვა პირველად თქვენვე გაიგონოთ.



ჩვენი ცხვირი საუბრობს!

ყველაზე მეტად რომელი სუნი გიყვართ? ვარდების მომაჯადოებელი არომატი? თუ იასამნის, სუმბულის ნიავი? თუ ახლად გამომცხვარი პურის ან შემწვარი ხორცის სუნი? ახალდაკრეფილი ყვავილის სუნზე რას იტყვით? დარწმუნებული ვარ, ყველას განსხვავებული სუნი, სურნელი, სუნამო გიყვართ. მე რომ არ ვყოფილიყავი, ვერცერთ სუნს ვერ შეი-

გრძნობდით. დაფიქრდით ისეთ სამყაროზე, სადაც არავითარი სუნი არ არსებობს, რამდენად არასასიამოვნო და რამდენად უგემური იქნებოდა არა?

დიახ, მე თქვენი ცხვირი ვარ. თქვენ ჩემი წყალობით სუნთქავთ, ჩემი წყალობით შეიგრძნობთ სუნს, ისევ და ისევ ჩემი წყალობით ხართ დაცული ავადმყოფობისგან. ღმერთმა უმშვენიერესი ფორმით გამაჩინა და გასაოცარი შესაძლებლობები მომანიჭა. მაგილათად, ჩემი ერთი ნაწილი კანის ფენისგან შედგება, ერთი ნაწილი — ხრტილისგან, ხოლო ერთი ნაწილი — ძვლისგან. მთლიანად ძვლისგან რომ ვიყო შექმნილი, უმნიშვნელო შეჯახებისას და გადახრისას გავტყდებოდი. მთლიანად კანისგან რომ ვიყო შექმნილი, სუნთქვის დროს ჩემი ორივე მხარე ერთმანეთს შეეწებებოდა. მე კისერში რომ ვყოფილიყავი მოთავსებული და არა პირის ზემოთ, მაშინ იძულებული იქნებოდით, საკვები ჯერ კისერთან მიგეტანათ და შემდგომ მიგერთვათ. როგორც ხედავთ, უფალმა მე თქვენი ცხოვრების გასალამაზებლად და გასამარტივებლად გამაჩინა. ეს, მისი უზადო ძალისა და შესაძლებლობის საოცარი შედეგრია.

კონდინციონერი, რომელიც არ ძველდება, არ ფუჭდება

ჩემი წყალობით დაყნოსილი სუნის მიხედვით შეგიძლიათ ივარაუდოთ, საკვები სასარგებლოა თუ საზიანო. მიღებული საკვები ჩემი საშუალებით ფილტვებისთვის მიწოდებული ჟანგბადის წყალობით იწვება და გარდაიქმნება ენერგიად. არ დაინტერესებულხართ? მტვერიანი, ბინძური, უფრო მეტიც, მიკრობიანი ჰაერის შესუნთქვისას ფილტვებში რატომ არ ხვდება მტვერი ან მიკრობი?

მე თქვენთვის კონდინციონერის მსგავსი ვარ. თქვენ ჰაერს სუნთქავთ მტვერთან, კვამლთან ერთად. მე კი მიღებულ ჰაერს ჩემში გამოყოფილი ლორწოვანი სითხის წყალობით ვატენიანებ და ჩემში არსებული პატარა ბუსუსებით მას ვფილტრავ, როგორც ფილტრი. ამგვარად, ფილტვებს ვაწვდი სუფთა და გაწმენდილ ჰაერს. ზამთარში, ცივ დღეებში, კი მიღებულ ჰაერს ვათბობ და ისე ვაგზავნი ფილტვებში, რომ არ შეგცივდეთ და ავად არ გახდეთ.

დღის განმავლობაში ზუსტად 15 კუბურ მეტრ ჰაერს ასე ვფილტრავ და ვწმენდ. ეს შეიძლება თქვენს საძინებელ ოთახში არსებულ მთლიან ჰაერს უტოლდებოდეს. მე, ერთი მხრივ, კონდიციონერის მოვალეობას ვასრულებ, მეორე მხრივ კი, ფილტვებში არსებულ უსარგებლო ნახშიროჟანგს გამოვდევნი გარეთ, თან თქვენი საუბრისას ჩემში არსებული ჰაერის მოძრაობას ვარეგულირებ თქვენი სურვილის მიხედვით.



ძილის დროს, სირბილის დროს არ გაგიჭირდებათ. უფრო მეტიც, ყოველივე აღნიშნულის შესრულებისას ყნოსვის საქმესაც ვასრულებ სრულფასოვნად! შეუძლებელია, თუმცა თუ მეცნიერები შექმნიდნენ ისეთ კონდიციონერს, რომელიც ჩემ მიერ შესრულებულ სამუშაოს კარგად გაართვამდა თავს, ისეთი დიდი აპარატი იქნებოდა, რომელსაც ზურგითაც კი ვერ ატარებდით. მე კი თქვენი სახის შუა ნაწილში განთავსებული პატარა და ელეგანტური ორგანო ვარ, რომელსაც ისე ატა-

რებთ, ვერც კი გრძნობთ. მე უნიკალურის შექმნის შესაძლებლობისა და ხელოვნების მფლობელის უზენაესი ღმერთის ერთ-ერთი სასწაული ვარ. თანაც მთელი ცხოვრების განმავლობაში გარანტირებული! რომლის გაუმართაობის, მოძველების ალბათობაც კი არ არის . . . .

ჰაერი ზუსტად ისეთია, როგორიც გსურთ.

საერთოდ ნუ იდარდებთ, თქვენი კონდიციონერი შეუსვენებლად მუშაობს, ზუსტად ისე, როგორც თქვენ გსურთ! თქვენს სახლში ან სამსახურში არსებული კონდიციონერის მსგავსად ზამთარში და ზაფხულში სხვადასხვა პარამეტრებზე ჩემი მომართვა არ არის საჭირო. არ შეგეშინდეთ, რომ ოდესმე მოვძველდები. თქვენ დღეში ხუთჯერ აბდესის (განწმენდის) შესრულებით გამრეცხეთ, საკმარისია.



უზენაესმა ალლაჰმა ისეთი მშვენიერი თვისებებითა და ისე საოცარი ფორმით გამაჩინა, რომ შესუნთქულ ჰაერს ვათბობ და ვატენიანებ, მასში არსებულ მავნე ნივთიერებებს ვაკავებ, ხოლო სასარგებლო ნივთიერებებს ვუშვებ შიგნით. გაოცდებით, მაგრამ მე შემიძლია ჰაერთან ერთად შესუნთქული, დაახლოებით, 20 მილიარდი უცხო ნივთიერება ამოვიცნო და ხელი შევუშალო მათ შეღწევას თქვენს ორგანიზმში.

მაგალითად, ხანდახან მავნე მტვრისა და ზოგიერთი მიკროორგანიზმების ჩემ შიგნით დაგროვებისას მათ გარეთ გამოვდევნი ცემინებით. თქვენ კი იტყვით: **„ელჰამდულილლაჰ“**, რადგან ჩვენმა საყვარელმა

შუამავალმა თავის საჰაბეებს ასე ასწავლა. ჩვენი წინამძღვარი ასე ბრძანებს: როცა თქვენ გვერდით ვინმე დააცემინებს, მან თქვას **„ელჰამდულილლაჰ“**, ანუ **„ალლაჰს მადლობა“**. როცა ის იტყვის **„ელჰამდულილლაჰ“** თქვენ უნდა თქვათ: **„იერჰემუ-ქელლაჰ“,** ანუ **„ალლაჰმა შეგიწყალოს“** *(მუსლიმ, ზუჰდ: 17).* როდესაც არავინ იცოდა, მიკრობი რა იყო, სამყაროს წყალობად მოვლენილმა, ჩვენმა წინამძღვარმა, იცოდა ყველაფერი ეს. მან იცოდა, რომ ცემინება ჯანმრთელობის ნიშანია და ცემინებისას მიკრობები გარეთ გამოიდევნება. ის ამბობდა, რომ დაცემინებისას აუცილებელია ხელით ცხვირის დაფარვა, რადგან მიკრობები არ გაიფანტოს (ებუ დავუდ, დებე, 28). ხოლო ის ჭეშმარიტება, რომ დაცემინება ადამიანისათვის სასარგებლოა ჯანმრთელობის კუთხით, მეცნიერების მიერ დამტკიცდა საუკუნეების შემდეგ.

დაყნოსეთ!

გაინტერესებთ როგორ შემიძლია დაყნოსვა? აგიხსნით. ჩემში, ზედა ნაწილში, განთავსებულია ორი პატარა განყოფილება, რომლებშიც მოთავსებულია უამრავი ნერვული უჯრედი. მათ ყნოსვითი ეპითელიუმი ეწოდება. შესუნთქვასთან ერთად საგნების სუნიც შემოდის ჩემში და ჰაერში მოძრაობს მოლეკულის სახით. სუნის მოლეკულების ყნოსვით ეპითელიუმში არსებულ ჩემს მიმღებ ნერვებთან მიღწევისას სტიმულირდება მისი უჯრედები. ჩემი სტიმულირებული უჯრედები ტვინს უგზავნის ელექტროსიგნალს. თქვენი ტვინი კი აანალიზებს და ხვდება, თუ ეს ელექტროსიგნალი რომელი საგნის სუნი შეიძლება იყოს. აღნიშნული პროცედურა გრძელდება მაქსიმუმ 30 წამი. ამგვარად, თქვენ იგებთ, შესუნთქული სუნი რას ეკუთვნის. ხოლო თუ ჩემ მიერ 30 წამში შესრულებული აღნიშნული პროცედურა ლაბორატორიაში უახლოესი განვითარებული მოწყობილობების გამოყენებითაც რომ ჩატარდეს, საათები დასჭირდება.

იცით? - უზენაესმა ღმერთმა მე ისეთი გასაოცარი, ისეთი მგრძნობიარე თვისება მიბოძა, რომ ტვინის დახმარებით შემიძლია ზუსტად 3000 სხვადასხვა სუნის ერთმანეთისგან განსხვავება. ვინაიდან **„უზენაესი ღმერთი გამჩენია. მან (ყველა არსება) უნაკლოდ, ყოველგვარი ნიმუშის გარეშე, ულამაზესი ფორმით გააჩინა. . . .** *(სურა ჰაშრ, 24 აიათი)“*

უმშვენიერესი ყვავილები, ხილი ჩემი საშუალებით დაყნოსეთ! შემოქმედს, რომელმაც შეგვქმნა ისინიც და მეც, მადლობა უთხარით, კარგი?



ნახეთ, რას ამბობს ჩვენი კანი!

მე თქვენი კანი ვარ. ტანსაცმლის მსგავსად ვფარავ თქვენს სხეულს. თანაც თბილი და ხავერდოვან ქსოვილზე რბილი . . . მე რომ არ ვიყო, თქვენ ვერ იცოცხლებდით, მიწაზე და ჰაერში არსებული ყველა მავნე ნივთიერება პირდაპირ თქვენს ორგანიზმში

შეაღწევდა. ზაფხულობით თქვენი სხეული მზეზე მოიხარშებოდა, ხოლო ზამთრობით კი გაიყინებოდა.

თქვენ მე „ტყავსაც“ მიწოდებთ, ჩემმა გამჩენმა მე თქვენთვის გამაჩინა, იმისთვის, რომ თქვენ უნაკლოდ გამოიყურებოდეთ . . . ახლა შეეხეთ თქვენს სახეს. როგორი რბილია, როგორი გლუვი, როგორი ლამაზი, არა? ღმერთმა იმისთვის შემქნა, რომ თქვენ უნაკლოდ და ლამაზად გამოიყურებოდეთ. რათქმაუნდა, ეს არ არის ერთადერთი მიზეზი. თქვენ რაიმე საგნის/სხეულის სიმაგრეს, სირბილეს, სითბოს, სიცივეს მხოლოდ ჩემი საშუალებით გრძნობთ.

კონდიციონერები მუშაობს!

თქვენს სხეულს ზედმეტი სითბოსგან და სიცივისგან მე ვიცავ. მაგალითად, როცა შეგცივდებათ, ჩემში არსებული სისხლძარღვები ვიწროვდება და თეთრ შეფერილობას ვიღებ. შევიწროვებულ სისხლძარღვებში სისხლი უფრო ცოტაა და გვიან ცივდება. ამგვარად, მე გიშლით ხელს, რომ არ შეგცივდეთ. ხოლო როცა დაგცხებათ, ჩემი საოფლე ჯირკვლები მოქმედებენ და იწყებენ სითხის გამოყოფას. თქვენ ასეთ დროს ამბობთ: „ძალიან გავოფლიანდი“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩემი კონდიციონერი ამოქმედდა, რადგან ოფლი გაგრილებთ. უზენაესმა ღმერთმა ჩემს კონდიციონერებში სიცხისა და სიცივის მიმართ მგრძნობიარე ისეთი სენსორი ჩაამონტაჟა, რომ როცა აცივდება, მე თქვენ გათბობთ, ხოლო როცა დაცხება, გაგრილებთ, ანუ თქვენი სხეულის ტემპერატურას ყოველთვის ვარეგულირებ.

რატომ ვირუჯები?

გთხოვთ, დააკვირდით თქვენი ხელის ზედა ნაწილს. რას ხედავთ? შენიშნეთ არა, რომ მე ისეთი გლუვი არ ვარ და ჩემი ზედაპირი ცოტა ფოროვანია? ჩემს მეორე ფენაში, ხილული კანის ქვევით, განთავსებულია ცხიმისა და ოფლის ჯირკვლები. აი, ეს ცხიმისა და ოფლის ჯირკვლები ამ ფორმების საშუალებით იხსნება გარეთ. ამგვარად, მე თან ვიწოვ ჟანგბადს და ვსუნთქავ და თან თქვენს სხეულში არსებულ მავნე და მომწამვლელ ნივთიერებებს გამოვდევნი გარეთ ოფლისა და ცხიმის სახით. თუმცა, ამ ფორებიდან შიგნით არ ვუშვებ თქვენთვის საზიანო ნივთიერებებს, როგორებიცაა: მიკრობები და მტვერი. ამ ფორმით ვუფრთხილდები თქვენს ჯანმრთელობასაც.

მე თქვენ გიცავთ, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ ამით არ შემოვიფარგლები, მე თქვენ გიცავთ მზის მავნე სხივებისგანაც. მაგალითად, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, მზეზე რომ გაჩერდეთ, მე გავშავდები, გავირუჯები. ეს ჩემ მიერ მი-

საერთოდ თუ დაინტერესებულხართ?
- მე გახაზვისას ან დამწვრობისას, კვლავ როგორ ვიბრუნებ პირვანდელ მდგომარეობას?

ღებული ერთ-ერთი ზომაა, რომ თქვენ არ დაიწვათ, იცოდით? ამას როგორ ვაკეთებ? აგიხსნით.

როცა მზის სხივები იწყებენ ჩემი უჯრედების დაწვას, „მელენოციტები“, რომლებიც მე მაძლევენ შეფერილობას, მრავლდებიან და ნამდვილი უჯრედების დასაცავად ალყაში აქცევენ მათ, აი, ამიტომაც ვიღებ მე რუჯ ფერს. მე ასეთი ფორმით რომ არ დავიცვა თავი, თქვენ მოიხარშებით, მიიღებთ დამწვრობას. ღმერთმა დაგვიფაროს, ამ მიზეზით შესაძლოა კიბოთიც კი დაავადდეთ!



საერთოდ თუ დაფიქრებულხართ, მე გახაზვისას ან დამწვრობისას, კვლავ როგორ ვიბრუნებ პირვანდელ მდგომარეობას? ეს უზენაესი ღმერთის საჩუქარია ჩემთვის. რათქმაუნდა, თქვენთვისაც! ჩემს ზედაპირზე ჭრილობის არსებობისას იქ არსებული ჩემი უჯრედები სწრაფად იწყებენ აღდგენას. სინამდვილეში ჩემს ზედა ფენაში არსებული კანი თვეში ერთხელ ახლდება. მუდმივად განახლებადი უჯრედების წყალობით ყოველთვის ცქრიალა და სუფთა ვარ.

ახლა თვალები დახუჭეთ. გადაფურცლეთ გაზეთის ერთი გვერდი. რას გრძნობთ? სწორი, ნაზი, თხელი ფურცელია არა? ახლა ხელი დაადეთ მაგიდაზე, როგორია? მაგარი, სქელი და დიდი სხეულია არა? აი, ამ შეგრძნებებს ჩემი წყალობით შეიგრძნობთ. ეს ყველაფერი ჩემში არსებული ნერვების წყალობით ხდება. თქვენ რასაც შეეხებით, შეიგრძნობთ, იგზავნება ტვინში, ტვინი აღიქვამს მას და გიბრუნებთ ინფორმაციის სახით. თქ-

ვენი კანის ქვეშ, რომელიც მთლიანად ფარავს თქვენს სხეულს, განთავსებულია სხვადასხვა მახასიათებლისა და მგრძნობელობის მქონე მილიონობით უჯრედი. თქვენი თითების დაბოლოებებში არსებული ნერვების რაოდენობა და მგრძნობელობა განსხვავებულია, ქუსლებზე არსებული ნერვებიც განსხვავებულია. თქვენს ზურგში არსებული ნერვების რაოდენობა და მგრძნობელობა განსხვავებულია, თქვენს ყურებში არსებული ნერვები კი — ძალიან განსხვავებული. თქვენი თითების დაბოლოებებში არსებული ნერვების მგრძნობელობა ზურგში რომ ყოფილიყო, ცხოვრება გაგიძნელდებოდათ, სვიტერის ნაკეცები ან ბეწვები შეგაწუხებდათ. თქვენი ქუსლი, ხელის თითებზე რომ გქონოდათ, ვერ შეიგრძნობდით რბილ და ნატიფ საგნებს.

მე პლანეტასავით ვარ!

თქვენ ცხოვრობთ სამყაროში, რომლის სიგანე და სიგრძე არ არის დადგენილი, ეს დედამიწაა. მეც, როგორც თქვენი კანი, ასობით მილიონი ბაქტერიისა და მიკროორგანიზმისათვის პლანეტასავით ვარ. დიახ, სწორად მოგესმათ, ჩემს ზემოდან ტრილიონამდე მიკროორგანიზმი ცხოვრობს. უზენაესმა ალლაჰმა, თქვენი კანი, ანუ მე, მათთვის მასპინძლად გამაჩინა. ეს შეიძლება თქვენთვის დაუჯერებელია; მაგრამ ჭეშმარიტება ასეთია. ამან არ შეგაშინოთ, უფრო მეტიც, გაიხარეთ. რადგან ჯანსაღი ცხოვრებისათვის გჭირდებათ ეს მიკროორგანიზმები. უფრო მეტიც, ისინი იმ ცხოველების მსგავსად, რომელთა ხორცსა და რძესაც მიირთვამთ, ზრუნავენ თქვენი სიცოცხლისთვის. ეს ჩვენი უფლის უსაზღვრო შესაძლებლობაა. მან (ალლაჰი) ისევე, როგორც უსასრულო სიბნელეში წერტილისოდენა, დედამიწაზე გაგაჩინათ, გაგ-

ზარდათ და გიბოძათ სარჩო, ჩემშიც იმავენაირად მილიონობით ცოცხალი ორგანიზმი შეუძლია გააჩინოს და აცოცხლოს, რადგან მისი შესაძლებლობა, ძალა უსასრულოა.

ეს ჭეშმარიტება, რომელმაც ყველა მეცნიერი გააოცა, ყურანში შემდეგნაირად არის გადმოცემული:

„თქვენს გაჩენაში და იმაში, რაც მიმოასახლა ცოცხალი არსებებისგან, სასწაულებია იმ ხალხისთვის, ვინც ჭეშმარიტებას ელტვის“ *(სურა ჯასიე, მე-4 აიათი).*

შეგიძლიათ შემოგხედოთ!

ახლა წადით, სარკეში ჩაიხედეთ და გაიღიმეთ. გაღიმება რამდენად ლამაზია, ადამიანი რა მშვენიერია, როცა იღიმის, არა? ადამიანის გაღიმებას ყველაზე მეტად მშვენიერებასა და სილამაზეს ვმატებთ ჩვენ, კბილები. ყველაზე ბედნიერ წუთებში პირველად ჩვენ ვჩნდებით.

თქვენ როცა ამ ქვეყანას პირველად მოევლინეთ, თქვენს პირში არცერთი ჩვენგანი არ იყო. მხოლოდ ღრძილები იყო. საერთოდ თუ დაინტერესებულხართ, ამ ურბილესი ღრძილებიდან როგორ აღმოვცენდით ჩვენ, ძვალზე მყარი კბილები, თანაც მაშინ, როცა უკვე გსურთ დაიწყოთ გაზრდა, რძისა და ფაფის გარდა სხვა საკვების მიღება. რათქმაუნდა, ჯერ წინა კბილები, ღრღნისათვის ..... შემდეგ რიგრიგობით სხვა დანარჩენი, საჭრელი კბილები, საღეჭი კბილები ....

ჩვენი პროექტი რომელმა ინჟინერმა დახაზა?

კარგი, ჩვენი პროექტი ვინ დახაზა? ან მოდი ასე ვთქვათ: ვინ ისურვა, რომ წინა კბილები ყოფილიყო კბენისა და ამოღებისათვის ყველაზე შესაფერისი თხელი და მჭრელი? ვინ განსაზღვრა, რომ მათ გვერდით არსებული საჭრელი კბილები უნდა ყოფილიყო მიღებული საკვების დაქუცმაცებისა და დანაწევრებისათვის შესაფერისი? ვინ დაგეგმა, რომ საღეჭი კბილები უნდა ყოფილიყო მოსახერხებელი ღეჭვისა და პირის მჭიდროდ დახურვისათვის?

საერთოდ გიფიქრიათ? ნეტა წინა კბილები — უკან, ხოლო უკან მდებარე საღეჭი კბილები წინ რომ ყოფილიყო, რა მოხდებოდა? სქელი და მოკლე კბილებით როგორ ჩაკბეჩდით ვაშლს? უკან თხელი და გრძელი კბილებით მიღებულ საკვებს როგორ დაღეჭავდით? ასე რომ, ჩვენს შექმნასა და თანმიმდევრობაში ძალიან დიდი და დახვეწილი ღვთიური გეგმა და პროექტია შემუშავებული. უზენაესმა ღმერთმა თქვენ დიდი ძღვენი და საჩუქარი გიბოძათ. აბა დაფიქრდით, უზენაეს ღმერთს თქვენი თითის ძვლებივით რბილი და მყიფე ფორმით რომ გავეჩინეთ, მაგარი და მყარი ხილის მიღებისას დავიმსხრეოდით ერთია-

ნად. მაგრამ უზენაესმა ღმერთმა ჩვენ თქვენი ღრძილებიდან ისეთი მყარი და გამძლე ფორმით აღმოგვაცენა, რომ ჩვენი წყალობით წლების განმავლობაში ყველაზე მაგარ, მყარ საკვებს მიიღებთ, მაგრამ ჩვენ ათობით წლების განმავლობაში ჯანსაღი ვიქნებით.

მიუხედავად იმისა, რომ ქვასავით გამოვიყურებით, ჩვენში ნერვები, სიხლძარღვებია. ჩვენ თქვენი ბავშვობის პერიოდიდან მოყოლებული ვმრავლდებით და ვიზრდებით თქვენს ყბებში. ჩვენ ერთმანეთთან თავსებადი ვართ გინდ გვერდიგვერდ, გინდ ზევით–ქვევით. მაგალითად; არცერთი ჩვენგანი არ ამოვა სხვა ადგილას.



საღეჭი კბილები არ ამოვა საჭრელი კბილების ადგილას. ჩვენ, რომლებიც ქვედა ყბაზე ვართ განლაგებული, არ ვიზრდებით მაღლები და არ ვაწუხებთ ზედა ყბაზე განლაგებულ კბილებს. ყველა ჩვენგანმა ვიცით ჩვენი რიგითობა და ადგილი. უფრო მეტიც, ჩვენს ბორცვაკებს ვარეგულირებთ ჩვენს ქვემოთ ან ზემოთ განთავსებული კბილების მიხედვით, რომ რაიმეს ჩაკბეჩვის ან ღეჭვისას, ის ზუსტად და მჭიდროდ დავიჭიროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირის დახურვისას ან ორი გრძელი კბილი დაემთხვეოდა ერთმანეთს და პირს ვერ

დახურავდით, ან ორი მოკლე კბილი ერთმანეთში არ ჩაჯდებოდა. და თქვენ ვერაფერს ვერ შეჭამდით! საერთოდ დაფიქრებულხართ? ჩვენ როგორ გავიზარდეთ ასე თავსებადი მაშინ, როცა არც თვალი გვაქვს და არც ყური.

ეს ჩვენი გამჩენის ერთ-ერთი სასწაულია .... ვინც ჩვენ არაფრისგან გაგვაჩინა და ყველა ჩვენგანი დაგვარეგულირა, ალლაჰია. რადგან მის ძალასა და შესაძლებლობას საზღვრები არ აქვს. ის ქმნის იმას, რაც სურს და როგორც სურს.

თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს!

არ ვიცით, რამდენად აცნობიერებთ, მაგრამ ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, ვერ ისაუბრებდით. როგორ? გაიხსენეთ აბა. ზოგიერთი მოხუცი, რომლებმაც დაგვკარგეს ჩვენ, კბილები, პროთეზს იყენებს. ისინი როცა პროთეზს გამოიღებენ, სასაცილოდ გამოიყურებიან და ვერ საუბრობენ. ისინი პროთეზის გამოღების შემდეგ ვერასოდეს წარმოთქვამენ ისეთ ასობგერებს (დ, თ, შ, ჩ), რომელთა წარმოთქმისთვისაც აუცილებელია ენის კბილებთან მიტანა. მათ ნაცვლად გამოსცემენ განსხვავებულ ბგერებს, რაც გვერდით მყოფებში იწვევს სიცილს. ისედაც ცნობილია, რომ ადამიანები, რომლებიც ლამაზად საუბრობენ, ენას და კბილებს სწორად იყენებენ.

ახლა, თქვენთან ორი თხოვნა გვაქვს. პირველი-გთხოვთ არ გამოგვიყენოთ ვინმეს მიმართ ცუდი და საზიანო სიტყვის წარმოსათქმელად! მეორე - გთხოვთ არ ჩაკბიჩოთ ისეთი ხილი, რომელიც თქვენ არ გეკუთვნით და აკრძალულია თქვენთვის და ჩვენც ცოდვაში არ გაგვხვიოთ! იმიტომ რომ უზენაესმა ალლაჰმა ჩვენ იმისთვის გაგვაჩინა, რომ თქვენ სარგებელი მიიღოთ სუფთა და პატიოსანი სარჩოსგან. ჩვენი თავი ალლაჰმა იმიტომ კი არ გიბოძათ თქვენ, რომ აკრძალული შეჭამოთ ან ვინმეს გული ატკინოთ, არამედ იმისთვის, რომ მისი (ალლაჰის) უმშვენიერესი სახელები წარმოთქვათ;

ყველაზე ლამაზი კბილები ვის აქვს?

მთელ დედამიწაზე ყველაზე ლამაზი კბილები ვის ჰქონდა, იცით? რათქმაუნდა, ჩვენს შუამავალს. მისი კბილები ძალიან თეთრი და ბრჭყვიალა იყო. როცა იღიმოდა, მარგალიტივით ანათებდა, ყველა მოხიბლული რჩებოდა მისი კბილების სილამაზისა და სისუფთავის დანახვისას. იმიტომ რომ ის თოთხმეტი საუკუნის წინ, როდესაც ადამიანებმა არაფერი იცოდნენ კბილის სისუფთავისა და ჯანმრთელობის შესახებ, დღეში ხუთჯერ, აბდესის/განბანვის წინ, კბილებს მისვაქით იწმენდდა. ამის გამო მის ამონასუნთქს ყოველთვის კარგი სუნი ჰქონდა. პირში არასოდეს უგროვდებოდა ბაქტერია და არასოდეს აწუხებდა ღრძილების ტკივილი.

ჩვენი შუამავალი მუჰამმედი თქვენ ძალიან ბევრ რჩევებს გაძლევდათ იმიტომ, რომ ძალიან უყვარდით და ღელავდა თქვენზე. კბილები მისვაქით გამოიწმინდეთ, რადგან მისვაქი პირს (რომელიც შექმნილია ალლაჰის სახელის ხსენებისთვის) ასუფთავებს და გვეხმარება, რომ ღმერთი იყოს ჩვენგან კმაყოფილი. ჯებრაილი (ვაჰის მოტანისათვის) ყოველი გამოცხადებისას მირჩევდა, რომ კბილები მისვაქით გამომეწმინდა. ისე მეშინოდა, რომ ჩემთვის და ჩემი უმმეთისათვის ფარძად არ

დაეწესებინა. ვნერვიულობდი, რომ ჩემს მიმდევრებს გაუჭირდებოდა ყოველთვის მისვაქის გამოყენება. ასე რომ არ ყოფილიყო, მე მათ ვუბრძანებდი მის გამოყენებას. მე ისე ვიყენებ მისვაქს, რომ კბილებს ვასუფთავებ მთლიანად, კბილის ძირის ჩათვლით (იხილეთ: თერგიბისა და თერჰიბის თარგმანი, 1-ლი ტომი, 247ე გვერდი).

თუ ასეა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი პირისგან, ბრჭყვიალა კბილებისგან უნდა იყოს ნათელი, რომ ჩვენ ვართ მუსლიმი, რომელსაც ძალიან უყვარს თავისი შუამავალი. არა?

ხელები რას ამბობენ?

ნელა გადაატარეთ თვალები ხელებზე. მე თქვენი ხელები ვარ. ახლა მარჯვენა ხელის გარეთა მხარეს დააკვირდით, ნეტა ხელი რამდენი ძვლისგან შედგება? თქვენ არ დაიღალოთ, მე გეტყვით, ზუსტად — 27 ძვლისგან, მეორე ხელიც — 27 ძვლისგან, ჯამში კი ზუსტად 54 ძვლისგან შედგება ორივე ხელი. თქვენი სხეული რამდენი ძვლისგან შედგება? 206 ....

საერთოდ თუ დაფიქრებულხართ, თქვენი სხეულის ძვლების ერთ მეოთხედზე მეტი რატომ არის მხოლოდ ხელებში თავმოყრილი? მე აგიხსნით.

თქვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ყველაზე ხშირად ჩვენ გვიყენებთ, ანუ თქვენს ხელებს იყენებთ. წიგნის კითხვისას - როგორც ახლა – წერის დროს, ჭამის დროს, ბანაობის დროს, ჩანთის ტარების დროს და სხვა ასობით სამუშაოს შესრულების დროს ყოველთვის ჩვენ გვიყენებთ. უზენაესმა ღმერთმა ჩვენ, თქვენი საქმის გასამარტივებლად ისეთი გასაოცარი, ისეთი მშვენიერი ფორმით გაგვაჩინა, რომ თითქმის არ არის საქმე, რისი შესრულებაც არ შეგიძლიათ. ჩვენ სახსრების საშუალებით პაწაწინა თმის ნაწილიც კი შეგვიძლია დავიჭიროთ და უდიდესი მაგიდაც .... დაფიქრდით აბა, თქვენი თითები სამი სახსრისგან კი არა, ერთი სახსრისგან რომ შედგებოდეს, რა მოხდებოდა? თქვენი თითები ერთი მთლიანი ძვლისგან რომ შედგებოდეს, წყლის ჭიქასაც კი ვერ დაიჭერდით! ვერ დაიჭერდით კალამს და ვერც დაწერდით! აი, როგორც ხედავთ, უზენაესმა ასე მშვენიერი ფორმით დაგვაპროექტა და გაგვაჩინა, რადგან თქვენ ყველაზე კომფორტულად და მოხერხებულად გამოგვიყენოთ.

რობოტები ვის ბაძავენ?

დღეს მეცნიერები ცდილობენ, შექმნან ადამიანის მსგავსი რობოტები. თქვენც გექნებათ ნანახი ტელევიზორში. დაკვირვებულხართ? - განსაკუთრებით რობოტების ხელები და ფეხები ზუსტად თქვენსას ჰგავს. ისედაც ცხადზე ცხადია, რომ ყველა მეცნიერი, ყველა გამომგონებელი რომ გაერთიანებულიყო, ადამიანის ხელზე მშვენიერ და საოცარ ხელს ვერ შექმნიდნენ, რადგან მეცნიერებმა იციან, რომ ყველაზე საო-

ცარი ხელი ადამიანის ხელია. თუმცა მათ მიერ შექმნილი რობოტების ხელები, ვერასოდეს ვერ მიუახლოვდება ადამიანის ხელის მგრძნობელობასა და მოქნილობას. უფრო მეტიც, ხდება ზოგიერთი ცდის დემონსტრირებაც. რა დროსაც ვხედავთ რობოტებს, რომლებიც სიარულისას იქცევიან, ან რაიმეს ტარებისას წარუმატებლები არიან. ჰანს ჟ. შნეებელი, რომელიც რობოტის ხელის განვითარებაზე მუშაობდა, ამბობს, რომ: „რამდენადაც მეტად ვცდილობ შევქმნა უკეთესი რობოტის ხელი, იმდენად იზრდება ჩემი აღტაცება ადამიანის ხელის მიმართ“. სად უზენაესის მიერ ხორცისგან და ძვლისგან, უფრო მეტიც, არაფრისგან უნაკლოს შექმნის შესაძლებლობა ..... და სად ადამიანის რკინით მიბაძვის ძალა ...

ურო ყველას ხელში აქვს!



თქვენ ჩემი საშუალებით ყველაზე მგრძნობიარე და მსუბუქი საქმის შესრულება შეგიძლიათ, ყველაზე მძიმე და უხეში საქმეებისაც, ... მაგალითად; წვრილი ფუნჯის ბეწვისოდენა შეხებით შეგიძლიათ გააფერადოთ სურათი, ღილის დამაგრებისას ნემსის პაწაწინა ყუნწში წვრილ ძაფს ჩვენი საშუალებით აგებთ. კარდიოქირურგი ყველაზე მგრძნობიარე სისხლძარღვების ოპერაციის დროს ჩვენ გვიყენებს. რკინის ოსტატიც უროს მოქნევისას ჩვენ გვიყენებს. იცოდით თუ არა, რომ, თუ

ადამიანი შეკრავს მუშტს და მყარ ზედაპირზე დაარტყამს, ზუსტად 45 კგ სიმძიმის მქონე დარტყმას აფიქსირებს. მაგალითად, დავუდ შუამავალს (ალეიჰისსელამ) უზენაესმა ისეთი ძალა, შესაძლებლობა უბოძა, რომ ის რკინას ურითი კი არა, ხელებით აძლევდა ფორმას.

ჩვენი ინჟინერი ვინ არის?

ახლა თქვენთვის ერთი კითხვა: ჩვენში განთავსებული 27 ძვლისგან თითოეულმა მათგანმა საიდან იცის, თუ რამდენად გრძელი უნდა გაიზარდოს? მოდით დაკვირვება ჩავატაროთ. ჟურნალს გაუშვით ხელები და ხელები გაშალეთ, თითქოს ვედრებას აკეთებთ. ხელის გულები და თითები მიადეთ ერთმანეთს. მარჯვენა ხელის თითებისა და მარცხენა ხელის თითების სიგრძე ზუსტად ერთნაირია, არა? როდესაც მარჯვენა ხელის თითები — თქვენი სხეულის მარჯვენა მხარეს, ხოლო მარცხენა ხელის თითები მარცხენა მხარეს იზრდება და ვითარდება, როგორ არიან ისინი ზუსტად ერთი და იმავე ზომის? უფრო მეტიც, თქვენ როცა ხუთი წლის

იყავით, მაშინაც ერთი ზომის იყვნენ, როცა ოცი წლის გახდებით, მაშინაც ერთი და იმავე ზომის იქნებიან. ხოლო როცა ოცდაათი წლის გახდებით, ორივე ხელი შეწყვეტს ზრდას. ჩვენ, ხელებს, ზრდა რომ არ შეგვეწყვიტა, ჩვენი სიგრძე ადამიანის სიცოცხლის განმავლობაში ორ მეტრს მიაღწევდა, მაშინ კი თქვენთვის ტვირთად ვიქცეოდით, რომლის ტარებაც ძალიან ძნელი იქნებოდა. კარგი, აბა როგორ ფიქრობთ, საიდან ვიცით და როგორ ვახერხებთ ერთმანეთის პროპორციულად და ჰარმონიულად გაზრდას და ზრდის შეწყვეტას? ეს ერთ-ერთი ღვთიური საიდუმლოა, ერთ-ერთი სასწაული, რადგან ჩვენი დიზაინერიც და ინჟინერიც ჩვენი ალლაჰია. ჩვენ, მის ბრძანებას ვემორჩილებით. წამიც კი არ გადის ისე, რომ მას არ ვემორჩილებოდეთ.

ჩვენში, ჩვენი თითების დაბოლოებებზე განთავსებულ ფრჩხილებს, შესაძლოა ზედმეტადაც კი მიიჩნევთ, რომელიც ზრდისას უნდა მოჭრა და გადააგდო. თუმცა, დაფიქრდით, ფრჩხილები რომ არ ყოფილიყო, რა მოხდებოდა?

თითის დაბოლოებები უფრო რბილი იქნებოდა და თითებით ვერ შეძლებდით მყარი და მძიმე სხეულების დაჭერას და აწევას. მაგალითად; ვერ გახსნიდით ძაფის ნაკოჭს, ვერ მოიქავებდით, ვერ ააძრობდით წებოს.

უზენაესმა ალლაჰმა ჩვენ ადამიანის ცხოვრების გასამარტივებლად გაგვაჩინა. იმიტომ გაგვაჩინა, რომ ჩვენი საშუალებით იმუშაოთ და ჰალალი სარჩო მოიპოვოთ, და არა იმიტომ, რომ ჩვენი საშუალებით აკრძალული, არასწორი და ცოდვა საქმე აკეთოთ. იმიტომ რომ ის ყიამეთის დღეს შეგვეკითხება ყველაფერ იმის შესახებ, რასაც დედამიწაზე ვაკეთებდით. გვეტყვის: „ეი, ხელებო, ილაპარაკეთ ყველაფერ იმაზე, რაც გაგიკეთებიათ დედამიწაზე“. ჩვენც, ჩვენი გამჩენის წინაშე მოვყვებით ყველა კარგი თუ ცუდი საქმის შესახებ, რომლებიც დედამიწაზე ყოფნისას გაგვიკეთებია.

ჩვენ გვინდა, რომ თქვენ საკუთარი ხელებით სამოთხის უნიკალური სილამაზის ბაღებში დაკრიფოთ „სამოთხის ვარდები“. ოო, განერიდეთ ჯოჯოხეთის ცეცხლმოკიდებულ ორმოებში „ჯოჯოხეთის ეკლებს“.



ჩვენი გულიც საუბრობს!

მე თქვენი გული ვარ. ჩემი ამბავი დაიწყო მაშინ, როცა თქვენ დაბადებულიც კი არ იყავით. თქვენ მაშინ დედათქვენის მუცელში, ანუ საშვილოსნოში ჯერ კიდევ ხორცის ერთი ნაჭრის ფორმის იყავით. 22-ე დღეს დაიწყო ჩემი ცხოვრება. იქ დავიწყე ძგერა: „ბუგ, ბუგ, ბუგ“ – თანაც წუთში სამოცჯერ.

მე როგორ გავჩნდი ხორცის ერთ ნაჭერში? საიდან ვიღებდი ენერგიას? ვინ განსაზღვრა, რომ მოწყობილი საათის მსგავსად, წამში 60-ჯერ უნდა შევკუმშულიყავი? რანაირად არ ჯდებოდა ჩემი ელემენტი?

შემდეგ დროთა განმავლობაში გავიზარდე და განვვითარდი. ჩემთან ერთად განვითარდა თქვენი სხეულის სხვა ორგანოებიც. უზენაესმა ღმერთმა დამაკავშირა ფილტვებთან, ღვიძლთან, სისხლძარღვებთან და მოკლედ, ყველა დანარჩენ ორგანოსთან. მე, თქვენი სხეულის ისეთ ადგილში მომათავსა, რომ იქ, გულმკერდში, დამიცვა ნებისმიერი სახის დარტყმისა თუ შეჯახების საფრთხისგან და მე იქ ვმუშაობდი უსაფრთხოდ.

სასწაული ტუმბო

საერთოდ თუ დაფიქრებულხართ, მე გულმკერდში კი არა, მუცლის ღრუში ან კუჭის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, რა მოხდებოდა? ეს ძალიან საშიში იქნებოდა! რადგან რაიმეს დარტყმის ან შეჯახების მომენტში გავიჭყლიტებოდი, ან გავსკდებოდი და თქვენ მოკვდებოდით! ჩვენმა გამჩენმა, რომელმაც ყველა არსება უნიკალური ფორმით გააჩინა და რომელიც იცავს და აკვირდება მათ, თქვენი სიცოცხლის უსაფრთხოებისათვის, მე ასეთ დაცულ ადგილას მომათავსა.

თუ გაინტერესებთ, მე როგორი ორგანო ვარ, მოგიყვებით. მარჯვენა ხელით შეკარით მუშტი და მიიტანეთ მარცხნივ, გულმკერდის ქვემოთ. შემდეგ დაიწყეთ მუშტის შეკუმშვა - მოდუნება. აი, მე ზუსტად იქ ვარ, სადაც თქვენი მუშტია, ზუსტად თქვენი მუშტისოდენა ვარ და ზუსტად ასე ვმუშაობ.

მე შეგიძლიათ ტუმბოს შემადაროთ. თუმცა, ეს ტუმბო ისეთი ძლიერი და ისეთი სასწაული ტუმბოა, რომ დედამიწაზე გამოგონილი ვერცერთი ტუმბო ვერ შეასრულებს იმ საქმეს, რომელსაც მე ვასრულებ. რადგან მე ყველა არსების შემქმნელის სასწაულებრივი შემოქმედება ვარ.



სერვისი სახლებისთვის.

შემდეგნაირად აგიხსნით. წარმოიდგინეთ ქალაქი, სადაც ასობით ტრილიონი სახლია განთავსებული და ერთი ტუმბო, რომელიც ამ სახლებს აწვდის წყალს ... ეს ტუმბო ყოველდღე ტუმბავს წყალს ისე, რომ ერთ სახლსაც კი არ ივიწყებს და უგულებელყოფს. უფრო მეტიც, ყველა სახლს აწვდის მხოლოდ იმდენ წყალს, რამდენიც სჭირდება. შემდეგ წყალი ბინძურდება და კვლავ ამ ტუმბოს უბრუნდება. ტუმბო დაბრუნებულ წყალს წურავს, წმენდს და კვლავ ასობით ტრილიონ სახლს აწვდის სუფთა წყალს. თანაც ამას დღეში 1000 ჯერ აკეთებს. თქვენი აზრით, შესაძლებელია ასეთი ტუმბოს არსებობა? მსოფლიოს ყველა ტექნიკოსმა და მეცნიერმა თავიანთი ცოდნა და შესაძლებლობები რომ გააერთიანონ, შეძლებენ კი ასეთი ტუმბოს გამოგონებას? რათქმაუნდა, ვერა!

მაგრამ მე, როგორც ხორცის ერთი ნაჭერი, რომელიც მხოლოდ 250-300 გრამს იწონის, ამას ყოველ წამს ვასრულებ. უფრო მეტიც, შესვენების გარეშე! გაფუჭების გარეშე! დაღლისა და მოწყენის გარეშე! თქვენს სხეულში არსებულ ასობით ტრილიონ უჯრედს ვაწვდი სისხლს და დაბრუნებულ სიხლს ვწმენდ ფილტვში და კვლავ ვუგზავნი უჯრედებს. თანაც ყოველ დღე და ათასჯერ . . .

დაითვალეთ აბა!



იცით, დღის განმავლობაში მე რამდენ ლიტრ სისხლს ვტუმბავ, მაშინ როცა თქვენ გძინავთ, გღვიძავთ, მეცადინეობთ, ანუ ყოველთვის? გამოიცანით აბა! 10, 20, 30, 100 ლიტრი? არა, ვერც კი წარმოიდგენთ. როცა თქვენ ნორმალურ მდგომარეობაში ხართ, მე წუთში 6 ლიტრ სისხლს ვტუმბავ, რაც ერთ საათში 360 ლიტრს, ხოლო დღის განმავლობაში 8000 ლიტრზე მეტს შეადგენს. სირბილის, ნერვიულობის დროს კი ეს რაოდენობა იზრდება და 10 000 ლიტრზე მეტს აღწევს. თუ, წარმოიდგენთ, რომ ერთი აბაზანა 250 ლიტრ წყალს იტევს, ეს ნიშნავს იმდენი სისხლის გადატუმბვას, რამდენიც ორმოც აბაზანას გაავსებდა. ახლა თქვენ გა-

მოთვალეთ, ერთი წლის განმავლობაში რამდენი ტონა წყლის გადატუმბვა შემიძლია?!

ახლა ერთი ცდა ჩავატაროთ. შეკარით მუშტი და შეკუმშეთ-მოადუნეთ. ეს შეგიძლიათ გაიმეოროთ 70–ჯერ? დიახ. კარგი, 4200-ჯერ .... შეიძლება, ან 10 800-ჯერ? ვერ შეძლებთ, რადგან თქვენი მაჯა ამას ვერ გაუძლებს. მაგრამ მე ამას ყოველდღე 10000-ზე მეტჯერ ვასრულებ იმ პერიოდიდან მოყოლებული, როცა თქვენ ჯერ კიდევ დედის მუცელში იმყოფებოდით. ნეტა ჩემი, ანუ თქვენი გულის მუშაობის საქმე თქვენზე რომ იყოს მონდობილი, შეძლებდით შეუჩერებლად გემუშავებინათ ისე, როგორც კუმშავთ და ადუნებთ მუშტს? რათქმაუნდა, გარკვეული დროის შემდეგ დაიღლებოდით, მოგწყინდებოდათ და შეეშვებოდით. შემდეგ გავჩერდებოდი მე და თქვენც მოკვდებოდით.



ჩვენი გული საუბრობს!

თუ ელექტროენერგია გაითიშება

მე საიდან მაქვს ეს ენერგია, რომელიც არასოდეს ამოიწურება? როგორ ხდება, რომ ჩემი ელემენტი ან აკუმულატორი არასოდეს იცლება! მაგალითად, თუ თქვენ რამდენიმე დღის განმავლობაში არ მიიღებთ

საკვებს, არ დალევთ წყალს, ხელებს და ფეხებს ვერ აამოძრავებთ, მაგრამ მე გავაგრძელებ მუშაობას.

მე მუშტისოდენა ხორცის ერთი ნაჭერი ვარ, თუმცა დააკვირდით, უზენაესი ღმერთი როგორი გასაოცარი და უნიკალური ფორმით წარმოაჩენს თავის ხელოვნებას ჩემში. მე წუთში 70-ზე მეტჯერ შეკუმშვისას თქვენი ტვინიდან მიღებული ელექტროსიგნალებით ვიკუმშები და ვისვენებ. ამგვარად, ათობით წელი ვცოცხლობ ისე, რომ ჩემი ენერგია არ იწურება. მაგრამ ხანდახან არის შემთხვევები, როცა ტვინის ფუნქციები ჩერდება, ან გულის ღია ოპერაციისას მკერდიდან გარეთ გამომიყვანებენ. ასეთი საგანგებო ვითარებისას თითქოს ჩემში ამოქმედდება გენერატორი და მე ისევ ვაგრძელებ ფუნქციონირებას. აი, ეს ჩვენი უფლის უსაზღვრო შექმნის შესაძლებლობაა. ეს გენერატორი ყველა თქვენგანის გულშია. თუმცა, ეს ჭეშმარიტება მეცნიერებმა მხოლოდ ახლა აღმოაჩინეს.

გაზს დავაჭირო თუ მუხრუჭს?

საერთოდ თუ დაინტერესებულხართ, თუ საიდან ვიცი, როდის უნდა ვიმუშაო ჩქარა და როდის ნელა? მაგალითად; თქვენ როცა დარბიხართ, კიბეზე ადიხართ, ველოსიპედით მოძრაობთ – მე უფრო სწრაფად ვმუშაობ. ხოლო როცა გძინავთ, ან წყნარად ზიხართ, უფრო ნელა ვმუშაობ. კარგი, საიდან ვიცი, თუ რა უნდა გავაკეთო?

უზენაესმა ღმერთმა ადამიანის სხეულის შექმნისას შიგნით თითქოს რაღაც კომპიუტერული სისტემა ჩაამონტაჟა. ყველა ორგანოს შორის თითქოს რადიო ან სატელეფონო კაბელები მოათავსა. იმ მომენტში, როცა მოძრაობთ, ამოქმედდება ჩემში არსებული „სიმპატიკური ნერვები“ და გამოყოფენ „ეპინეფრინის“ ჰორმონს. თუ წარმოიდგენთ, რომ მე ჩვეულებრივი ავტომობილი ვარ, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ ვაჭერ გაზს. იმ

მომენტში, როცა გსურთ დამშვიდება, ამოქმედდება „ვაგუსის“ ნერვები და გამოყოფენ „აცეტილქოლინის“ ჰორმონს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვაჭერ მუხრუჭს. ანუ ჩემი მუშაობის რეჟიმს ვარეგულირებ თქვენი საჭიროებების მიხედვით, თუმცა თქვენ ამას ვერც კი გრძნობთ.

მოლაპარაკე გულები

მეორე მხრივ, უზენაესმა ღმერთმა გამაჩინა, როგორც გრძნობათა ცენტრი. დედათქვენისადმი სიყვარული, მამათქვენისადმი პატივისცემა წარმოიქმნება ჩემში, ანუ თქვენს გულში. მშიერი კატისადმი სიბრალულს, გაჭირვებულის დახმარებისას გამოხატულ კეთილშობილობას, კვლავ ჩემი წყალობით შეიგრძნობთ.



იცით? - მეც მაქვს ენა, რომელზეც ვსაუბრობ და მესმის. თქვენ ამას სინდისის ენას, გულის ენას უწოდებთ. ზოგჯერ გეუფლებათ გრძნობა, როცა ვერაფერს ამბობთ, ძალიანაც რომ მოინდომოთ. მაგალითად, როცა თქვენთვის ძალიან საყვარელი მეგობარი გადადის სხვა სკოლაში, თქვენი დამწუხრება და ტკივილი მხოლოდ მე მესმის, ანუ თქვენს გულს

ესმის. ამ გრძნობებს სრული მნიშვნელობით ვერასოდეს ვერ გამოხატავთ ენით. მაგრამ თქვენი გულის ენა ამას ყველაზე კარგად გაგრძნობინებს. ამავდროულად, მე, სხვა არსებების/გაჩენილების მსგავსად, ყოველ წამს ალლაჰს ვახსენებ. მუშაობისას ჩემ მიერ გამოცემული: „დუგ, დუგ, დუგ, დუგ“– ხმებით სინამდვილეში „ალლაჰ, ალლაჰ“-ს წარმოვთქვამ.

ჭაობი თუ ვარდების ბაღი?



ჩვენი შუამავალი (სალლალაჰუ ალეიჰი ვესელლემ) *„ალლაჰი უყურებს არა თქვენს გარეგნობას, არამედ თქვენს გულებს“ (მუსლიმ, ბირრ, 33)* – ამ სიტყვებით ხაზს უსვამს ჩემში არსებული ზრახვებისა და აზრების მნიშვნელობას. ლოცვას ან სიკეთეს რამდენადაც სუფთა ზრახვებით, რამდენადაც გულწრფელი აზრებით შეასრულებთ, ალლაჰი იმდენად კმაყოფილი დარჩება. ალლაჰი ბრძანებს: „მე არ ვეკედლები არც დედამიწას და არც ცას, მე მხოლოდ ჩემი მსახურის გულს შევეკედლები“ (ჰადისი ყუდსი), და

ამ სიტყვებით გვეუბნება, რომ ადამიანის გული უსასრულოა და რწმენის სხივი მხოლოდ გულში ანათებს.

თუმცა აქ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ჩემში სიკეთის, მოწყალების, სიბრალულის, კეთილშობილობის, წესიერებისა და მოთმენის მსგავს ანგელოზურ გრძნობებთან ერთად ასევე შეიძლება იყოს სიამაყის, სისასტიკის, უგუნურების და სიძუნწის მსგავსი ეშმაკური გრძნობებიც. ეს მთლიანად თქვენზეა დამოკიდებული . . . მე ისეთი ბაღივით ვარ, სადაც წმინდა და ნაყოფიერი მიწაა. თუ ჩემს სიწმინდეს შეინარჩუნებთ და ჩემში ვარდებს, ყვავილებს, ხილის ხეებს დარგავთ, ჩემგან ყველასთვის მოსაწონი ხილი აღმოცენდება და ყველასთვის სასიამოვნო სუნს გამოვსცემ. მაგრამ თუ ცუდი ქცევით დამაბინძურებთ და ჩემში ეკლებს, ჭინჭარს, უნაყოფო ხილს დარგავთ და ცუდი სიტყვებითა და ქცევებით ჭაობად გადამაქცევთ, ჩემგან აღმოცენებული მავნე მცენარეებისა და ცუდი სუნის გამო ყველა გამეცლება, ანუ თქვენ გაგეცლება.

თუ ასეა, თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს. მე არ გადამაქციოთ ჯოჯოხეთისმაგვარ ბინძურ ჭაობად, სადაც ცუდი სუნია! გადამაქციეთ სამოთხისმაგვარ ვარდების ბაღებად, სადაც სასიამოვნო სურნელება ტრიალებს,

ასე მოიქეცით, რომ იმქვეყნად თქვენი ადგილი სუფთა გულის მქონე ადამიანების გვერდითა და რა თქმა უნდა, ჩვენი შუამავლის გვერდით იყოს!

ჩვენი ფეხები გვეუბნება!

გახსოვთ ის პირველი თვეები, როცა ამ ქვეყანას მოევლინეთ? თქვენც პაწაწინა იყავით სხვა ჩვილების მსგავსად. პირველ თვეებში, სიარულზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენზე ვერც კი დგებოდით. უზენაესმა, რომელმაც ყველა და ყველაფერი ყველაზე დახვეწილი, ყველაზე საოცარი ფორმით დააპროექტა, ჩვენში ისეთი მოქნილი კუნთები შექმნა, რომ

მათი წყალობით ჩვენ ტვინიდან მიღებულ ბრძანებებს ყოველდღე ასობით მილიონჯერ ვასრულებთ. მაგალითად; თქვენ სკოლისკენ მიმავალ გზაზე ასე არასოდეს არ ფიქრობთ: „კარგი, ახლა მარჯვენა ფეხი გადავდგი, ახლა მას მიწაზე ფრთხილად დავადგამ. ახლა მარცხენა ფეხს უკნიდან გადმოვიტან და უფრო წინ გადავდგამ. უცებ ფეხები ერთმანეთში არ გამენასკვოს. ცოტაზე წამოვწევ, რომ მიწას არ წამოვკრა. მაღლა არ წამოვწევ, რომ არ დავიღალო. ჩემი სიჩქარე ამდენი უნდა იყოს"– თითოეულ თქვენგანს ამ ყველაფერზე რომ გეფიქრათ, სახლიდან ორშაბათს გახვიდოდით და სკოლაში პარასკევს მიხვიდოდით.

ლოკოკინას მსგავსი . . .

გიფიქრიათ საერთოდ? უზენაესს რომ არ გავეჩინეთ, ანუ თქვენ სხვა არსებების მსგავსად ფეხების გარეშე რომ გაეჩინეთ, თქვენი ცხოვრება როგორი იქნებოდა? მაგალითად; გველის მსგავსად ფეხების გარეშე გეცხოვრათ! ან ლოკოკინას, ან ჭიის მსგავსად მოსაჭიდი რაიმე რომ არ გქონოდათ! როგორი რთული იქნებოდა თქვენი ცხოვრება. ერთ ჭიქა წყალსაც კი ვერ დალევდით! ვერ დაინახავდით თქვენგან ორი მეტრის მოშორებით ვერაფერს! ან ცხვრის და თხის მსგავსად თავი მიწისკენ დახრილი და ოთხი ფეხით გაჩენილიყავით, როგორ იცხოვრებდით? ნეტა, რომელ სამუშაოს ვერ შეასრულებდით, რომელსაც ახლა ყოველგვარი სირთულის გარეშე ასრულებთ?

მართლაც ასეა, ალლაჰუ თეღალას შეეძლო თქვენთვის არ ებოძებინა ფეხები. ცხადია, თქვენ ჩვენ გარეშე შეგიძლიათ გააგრძელოთ ცხოვრება. ბოლოს და ბოლოს გაგონილი გექნებათ ან დანახული გეყოლებათ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ორივე ფეხი მოჭრილი აქვთ და ცოცხლობენ, უფრო მეტიც,

მუშაობენ და სპორტულ კონკურსებშიც კი იღებენ მონაწილეობას. ღმერთმა ჩვენი თავი გიბოძათ, რადგან ძალიან უყვარხართ. ღმერთმა სხვა არსებებთან შედარებით ყველაზე სრულყოფილი თვისებები ადამიანს უბოძა. რადგან ის ადამიანს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ჩვილი ბავშვები თუ რობოტები?

დღესდღეობით ზოგიერთი მეცნიერი ქმნის რობოტებს, რომლებიც ადამიანების ნაცვლად იმუშავებენ ფაბრიკა-ქარხნებში, ოფისებში, სახლებშიც კი. ასევე ათობით მეცნიერის მიერ მილიონობით ღირებულების გამოგონილი რობოტები აწყობენ შოუებს. რობოტების მიერ, ადამიანის მსგავსად რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა უდიდეს ოვაციებს იწვევს ადამიანებში. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერება და ტექნოლოგია



ძალიან განვითარდა და უმაღლეს საფეხურზეა, გინახავთ რობოტი, რომელსაც ადამიანის მსგავსად შეუძლია დაჯდეს და ადგეს, სირბილით ავიდეს კიბეზე, დაცემის შემდეგ წამოდგეს? ვერ დაინახავთ! რამდენიმე თვის ბავშვს კი შეუძლია ყოველივე ამის შესრულება. სად ადამიანი, რომელიც ალლაჰის

ხელოვნების შედეგრია? და სად რობოტი, რომელიც ადამიანის ტექნოლოგიის პროდუქტია?

იცით? ჩვენი ძვლები ფოლადზე ათჯერ უფრო მოქნილია. უფრო მეტიც, ძვლებში არსებული სიცარიელისა და ფოროვანი ქსოვილების წყალობით, ძვლები ფოლადზე სამჯერ უფრო მსუბუქია. სიარულის დროს გადადგმული ყოველი ნაბიჯისას ჩვენზე გადმოდის თქვენი სხეულის წონაზე სამჯერ მეტი დატვირთვა. გადახტომის დროს, ან სირბილის დროს, ჩვენს ძვლებზე დატვირთვა უფრო და უფრო იმატებს. მაგალითად, ბაღის კედლიდან გადმოხტომისას თუ თქვენი წონა 40 კილოგრამია, ესე იგი თქვენ ძვლებზე დატვირთვა 200-300 კილოგრამს შეადგენს. თქვენს ფეხებში ძვლების ნაცვლად ფოლადი რომ ყოფილიყო, გადახტომისას დაიმსხვრეოდა.

ჩვენი საბურავი არასოდეს გასკდება!

მეორე მხრივ, ღმერთმა ჩვენი ძვლების, კუნთებისა და სხვა ქსოვილების ჩათვლით ისეთი მტკიცე ფორმით შეგვქმნა, რომ სხეულის წონა, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, მკლავებს თუ დააწვება, სიმძიმის გამო კუნთები დაირღვევა, ძვლები გატყდება და სისხლძარღვები დასკდება. ხოლო ჩვენი სიცოცხლის განმავლობაში, შეიძლება 70-80 წლის განმავლობაში, ვატარებთ ას კილოზე მეტი წონის ადამიანს, მაგრამ ჩვენ არაფერი მოგვდის.

თქვენ დაბადებიდან

მოხუცობამდე როცა დადიხართ და მილიონობით ნაბიჯს დგამთ, ჩვენი კუნთები მუდმივად მოქმედებს. თქვენი მუხლები და კოჭები ყოველთვის ბრუნავს, იხრება. როგორ ხდება, რომ კუნთები საერთოდ არ იღლება? სახსრებში არსებული ძვლები როგორ არ ცვდება? ხოლო, თუ მოწინავე ტექნოლოგიებით შექმნილი ავტომობილის გადაცემათა კოლოფში ზეთი გათავდება ან მისი დისკები მუდმივად თუ არ გაიზეთება, გარკვეული დროის შემდეგ რკინები გაიცვითება და დაიმსხვრევა. ასევე, მაგალითად; ავტომობილის საბურავი კონკრეტული კილომეტრობის გავლის შემდეგ ცვდება და სკდება. ხოლო ათობით წლის განმავლობაში მიწაზე მოსიარულე ჩვენი ბორბლები, ანუ ტერფები, არასოდეს გაცვდება. აი ეს კი ღმერთის უნიკალური და უნაკლო შემოქმედება, საოცარი ხელოვნებაა.

მას ძალიან უყვარხართ !

ღმერთმა იმიტომ გაგვაჩინა, რომ თქვენ თავისუფლად იმოძრაოთ და ბედნიერად იცხოვროთ. თქვენ, ფეხზე ადვილად რომ დადგეთ, თქვენი სხეულის მთლიანი ძვლების ერთი მეოთხედი, ანუ 26 ძვალი, ჩვენში მოათავსა. ჩვენს სახსრებში ისეთი სითხე მოათავსა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე მუშაობს გაზეთვის, გამოცვლისა და წიკწიკის გარეშე. ფეხების ტერფები მტკიცე ხიდების მსგავსად მოხრილი შექმნა, რომ ძალოსნებს შეუძლიათ ასწიონ მათზე სამჯერ უფრო მძიმე ტვირთი ძვლების გატეხვის გარეშე, კუნთების რღვევის გარეშე. ღმერთმა ფეხების წინა მხარეს გააჩინა თითები, რომ ადამიანმა მოეჭიდოს იმ ადგილს, სადაც დგამს ფეხს და არ წაიქცეს.

ესე იგი ღმერთს ისე ძალიან უყვარხართ, რომ თქვენს ყველა მდგომარეობაზე ფიქრობს! თქვენ მიმართ იმდენად მოწყალეა, რომ არ სურს, რაიმე გიჭირდეთ! იმდენად გულუხვია,

რომ გიბოძათ ფეხებით შესასრულებელი ყველა შესაძლებლობა! თუ ასეა, თქვენ რა გევალებათ? ჩვენი, ანუ ფეხების საშუალებით იქ წასვლა, რაც ალლაჰისთვის მისაღებია? ჩვენზე დგომით ლოცვის შესრულება? დედათქვენისთვის, მამათქვენისთვის ან მოხუცებისთვის დახმარების გაწევა? ან სკოლაში, სასწავლო ადგილებში წასვლა და შუამავლისთვის მისაღებ მუსლიმად ჩამოყალიბება? თქვენი აზრით, რომელი მათგანი? ... თუ ყველა მათგანი? ...



მოუსმინეთ, თქვენი ფილტვები საუბრობენ!

მე, თქვენი ფილტვი ვარ. ყოველი ჩასუნთქვა–ამოსუნთქვისას, გულმკერდის შეკუმშვისას შეგიძლიათ შემიგრძნოთ.

ახლა გთხოვთ, ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ! აი ასე, მე ყოველ დღე 30 კუბურ მეტრ ჰაერს

ჩავისუნთქავ და ამოვისუნთქავ. ეს ოდენობა თითქმის ოთახში არსებულ ჰაერს უდრის. თუ მე, ჩემზე დაკისრულებული მოვალეობის შესრულებას შევწყვეტ, თქვენ შვიდ-რვა წუთზე მეტს ვერ იცოცხლებთ.

მხოლოდ ერთხელ ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის დროს თქვენს სხეულში რა ხდება, მე მოგიყვებით. ჩასუთქვისას ცხვირიდან დაწყებული მთლიანი სასუნთქი ორგანოები მოქმედებს, რადგან ჩასუნთქულ ჰაერში მტვრის ნაწილაკების, პოლენების, ზოგიერთი ბაქტერიის მსგავსი მავნე ნივთიერებებიცაა. ცხვირიდან ფილტვში არსებულ ბრონქებამდე მთლიანი სასუნთქი გზა დაფარულია სითხით, რომელსაც ლორწო ეწოდება. ეს ლორწო ფილტრავს და ასუფთავებს ჰაერს. ამგვარად, ჰაერში არსებული მავნე და არასასურველი ნივთიერებები ეწებება ლორწოს და ზედვე რჩება. ჩემამდე, ანუ თქვენს ფილტვებამდე, აღწევს სუფთა ჰაერი. შემდეგ ლორწოში არსებული ეს უცხო ნივთიერებები ნერწყვისა და ნახველის მსგავსი სეკრეციებით გამოიდევნება სხეულიდან. ღმერთს ჩემში და ცხვირში რომ არ გაეჩინა ლორწოვანი სითხე, ჰაერში არსებული მტვერი, მიწა, მიკრობი და სხვა ყველაფერი მოაღწევდა ჩვენამდე. თქვენ კი გაუჩერებლად იხველებდით და ვერ გადაურჩებოდით დაავადებებს.

თვითმფრინავზეც კი სწრაფი

საერთოდ თუ დაინტერესებულხართ, მიუხედავად იმისა, რომ ცხვირი და საყლაპავი ერთსა და იმავე ადგილზეა განთავსებული, სუნთქვა როგორ ხდება, ისე რომ საკვები არ აღწევს ჩემამდე, ხოლო ჰაერი კი — კუჭამდე? რადგან თქვენი ყელის საწყის წერტილში გაქვთ ენა, გინახავთ ის? თუ გსურთ, დადექით სარკის წინ, გააღეთ პირი და დააკვირდით. ზუსტად შუაში არის პაწაწინა ენა. აი, მთლიანი საიდუმლო მასშია. ის ისეთი

ჭკვიანი ენაა, რომ როცა საკვებს იღებთ, ხურავს სასუნთქ მილს, ხოლო როცა სუნთქავთ, დაუყოვნებლივ ხურავს საყლაპავ მილს. ამ ჭკვიანმა ენამ, წამიერადაც კი, რომ შეწყვიტოს თავისი მოვალეობის შესრულება, ჩემამდე მოაღწევს წყალი ან საკვები და თქვენ დაიხრჩობით.

თუმცა ხანდახან, უნებლიედ, სასუნთქ მილში ხვდება წყალი ან მტვერი, რა დროსაც თქვენ ხველის საჭიროებას გრძნობთ, იმიტომ რომ, მე ჩემკენ მომავალ უცხო სხეულებს ვცნობ და მათ მიმართ გამოვსტყორცნი ჰაერის მაღალ წნევას. თქვენ კი ჩემგან გამოტყორცნილი მაღალი წნევის მქონე ჰაერის წყალობით ახველებთ და სასუნთქ მილში მოხვედრილი ის არასასურველი ნივთიერებები გამოიდევნება გარეთ საათში 900 კილომეტრი სიჩქარით. ეს ისეთი ძლიერი გასხურებაა, რომ მისი სიჩქარე სამგზავრო თვითმფრინავის სიჩქარეზეც კი სწრაფია.



ჩვენმა საყვარელმა შუამავალმა ყველა ეს ჭეშმარიტება საუკუნეებით ადრე იცოდა. მას არ სურდა, რომ თავისი მიმდევრების ჯანმრთელობას რაიმე საფრთხე შექმნოდა და ასე გადმოგვცემდა წყლის დალევის ხერხს:

„წყალი არ დალიოთ ერთიანად, ისე როგორც აქლემი სვამს. ორი-სამი ჩასუნთქვით (შეჩერებით) დალიეთ. წყლის დალე-

ვამდე წაიკითხეთ ბისმილლაჰ. დალევის შემდეგ კი ალლაჰს მადლობა გადაუხადეთ“ (თირმიზი, ეშრიბე 13).

მეც, რომ დამვიწყებოდა!

მე გულთან ერთად ვმუშაობ. გული დაბინძურებულ სისხლს, სისხლძარღვების საშუალებით მე მიგზავნის. მეც ჩემში არსებულ ჟანგბადს ვაწვდი სისხლში არსებულ ერითროციტებს. ხოლო მათში არსებულ ნახშირორჟანგს კი მე ვიტოვებ, ანუ დაბინძურებულ სისხლს ვწმენდ. ჩემი წყალობით თქვენს სხეულში არსებული, დაახლოებით, ასი ტრილიონი (100.000.000.000.000) უჯრედი იღებს საჭირო ჯანგბადს და სუფთა სისხლს.

იცით თუ არა, რომ მე ერთ წუთში 56 სეპტილიონ (56.000.000.000.000.000.000.000) ჯანგბადის ატომს ვუგზავნი უჯრედებს. იმავე ოდენობის ნახშირორჟანგის ატომს კი ვაცალკევებ დაბინძურებული სისხლისგან. თანაც ჩემს მოვალეობას ვასრულებ ყოველწამიერად და წლების განმავლობაში, ყოველგვარი დაღლის გარეშე. მე რომ დამვიწყებოდა ჩემი მოვალეობის შესრულება, ისე როგორც თქვენ გავიწყდებათ დავალებების შესრულება თამაშისა და გართობის დროს, ნეტა რა მოხდებოდა? აი, ღმერთმა ასეთი მშვენიერი და საოცარი ფორმით გამაჩინა, თქვენ კომფორტულად და ბედნიერად რომ იცხოვროთ. . . .

საათი, რომელიც არასოდეს ჩერდება

საერთოდ თუ დაფიქრებულხართ, თქვენ როცა დარბიხართ, მე თუ ნელა ვიმუშავებ, ან თქვენ როცა გძინავთ, თუ სწრაფად ვიმუშავებ, რა მოხდება? სირბილის დროს ისე ნელა რომ მემუშავა, როგორც ძილის დროს ვმუშაობ, თქვენ ჰაერის უკმარისობის, ანუ უჟანგბადობის გამო დაეცემოდით და გულს წაგივიდოდათ. დაძინების დროს ისე სწრაფად რომ მემუშავა, როგორც მორბენალი ადამიანის ფილტვები მუშაობს, ამჯერად ვერასოდეს დამშვიდდებოდით და ვერ დაიძინებდით. ეს ყველაფერი თუ ასეა, ჩემი დროის რეგულირებას ვინ ახდენს? ვინ საზღვრავს, რა დროს რა სიჩქარით უნდა ვიმუშაო? აი, ეს კი მთლიანად ჩვენი შემქმნელის ერთ-ერთი სასწაულია. კერძოდ, თავის ტვინში, ტვინის ღეროში განთავსებულია მიმღებები, რომლებიც ყოველწამიერად ზომავენ სისხლში ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის შემცველობას. ეს მიმღებები სისხლში ჟანგბადის საჭიროების მიხედვით მიგზავნის სიგნალებს, თუ რ ო - დის როგორ უნდა ვიმუშაო. ამგვარად, მეც ჩემი მუშაობის რეჟიმს ამ შეტყობინებების მიხედვით ვარეგულირებ ისე, თითქოს ჩემში მოწყობილია საათი . . . ნეტა ჩემი მუშაობის რეჟიმის დარეგულირება თქვენზე რომ ყოფილიყო, რა მოხდებოდა? დაფიქრდით აბა!

უზენაესმა ღმერთმა, რომელმაც შექმნა მთლიანი სამყარო და მასში არსებული ადამიანები, ცხოველები და მცენარეები,

ყოველი მათგანის საჭიროება მათთან ყველაზე ახლოს გააჩინა. ხეებისთვის, ყვავილებისთვის საჭირო წყალს მდინარე და წვიმა აწვდის მათ ფესვებს. ცხვრისა და ძროხისათვის საჭირო ბალახი ამოდის მიწიდან, რომელიც მათ ფეხქვეშ არის. ზღვები, რომლებიც თევზებისათვის წარმოადგენს სიცოცხლის წყაროს, იკვებება წვიმითა და მდინარეებით. ხოლო თქვენთვის, ადამიანებისათვის აუცილებელ ჰაერს კი ტყეები წმენდენ, ქარები გადაადგილებენ და ჰაერში არსებული ჟანგბადი ყოველ წამს თქვენს ცხვირთან იყრის თავს.

ახლა გთხოვთ კიდევ ერთხელ ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ ჰაერი, რომელიც ალლაჰის მიერ თქვენთვის ნაბოძები ერთ-ერთი ყველაზე დიდი ძღვენია ! შემდეგ კი ჩემი და სუფთა ჰაერის მფლობელს გადაუხადეთ მადლობა!



ჩვენი თირკმელი ამბობს, რომ!

მე თქვენს სხეულში ერთ-ერთი ყველაზე პატარა ორგანო ვარ . თქვენ შეიძლება ისე იცხოვროთ, რომ ჩემზე არაფერი იცოდეთ, მაგრამ ვერასოდეს იცხოვრებთ ჩემ გარეშე! თუ გაინტერესებთ, მე როგორი ორგანო ვარ, მოგიყვებით. მე ვარ ორგანო, რომელიც 40-50 გრამს იწონის და რომელიც თქვენი ზურგის ქვემოთ, წელის დონეზე, ორივე მხარეს არის

განთავსებული. მე შევდგები ორი ნაწილისგან და მხოლოდ თქვენი ყურისოდენა ვარ. მე რომ არ ვყოფილიყავი, თქვენ სამ დღეზე მეტ ხანს ვერ იცოცხლებდით. ჩემი ფასი ყველაზე კარგად იმ ადამიანებმა იციან, რომლებსაც თირკმელკენჭოვანი დაავადება ჰქონდათ და განიკურნენ და იმ ადამიანებმა, რომლებშიც დავავადდი და ვერ ვასრულებ ჩემს მოვალეობას.

საგანგებო მდგომარეობა !

იცით თუ არა, რომ თუ ორი საათის განმავლობაში მე არ შევასრულებ ჩემს მოვალეობას, თქვენ მოიწამლებით! როგორ? აგიხსნით. სისხლი 100 ტრილიონ უჯრედს, რომლებიც ქმნიან მთლიანად თქვენს სხეულს, ენერგიის გამოსამუშავებლად აწვდის ჟანგბადს და ვიტამინს. ყოველი უჯრედი მიღებულ ვიტამინს ამუშავებს და შარდოვანასა და შარდმჟავას მსგავს ნარჩენ მავნე და მომწამლველ ნივთიერებებს უკან სისხლს აწვდის. ანუ ყოველი მათგანი, ფაბრიკის მსგავსად მომუშავე უჯრედები, ნაგავს ჩემში ყრიან. უკვე თქვენი სისხლი ძალიან მოწამლულია, სასწრაფოდ მისი გაწმენდაა აუცილებელი.

ყოველ წუთში ჩემში 125 ცც ანუ ერთი წყლის ჭიქის ოდენობის სისხლი გაივლის. ანუ მე დღის განმავლობაში ზუსტად 180 ლიტრ სისხლს ვფილტრავ. ამას შეუძლია სამი ავტომობილის საწვავის ავზის ავსება. სისხლში ვინარჩუნებ თქვენთვის საჭირო ამინო მჟავეებს, გლუკოზას და ყველა სხვადასხვა სახის ვიტამინს. ხოლო, მომაკვდინებელი საწამლავის - შარდოვანას, შარდმჟავას მსგავს მავნე და მომწამლველ ნივთიერებებს გამოვაცალკევებ სისხლიდან და შარდის სახით გამოვდევნი გარეთ. მე სასარგებლო ვიტამინები რომ არ შევაკავო და არ გადავამუშავო, თქვენ ვიტამინის ნაკლებობის გამო დაავადდებით, ხოლო მავნე ნივთიერებები რომ არ გამოვაცალკევო, ამჯერად მოიწამლებით და მოკვდებით.

ლაბორატორია სად არის ?

ჩემს ერთ ნაწილში, ანუ თქვენს ერთ თირკმელში 1.200.000 ცალი ფილტრია. მეცნიერები ამ ფილტრებს ნეფრონს უწოდებენ, რომლებიც ისეთი პატარები არიან, რომ მათი დანახვა მიკროსკოპითაც კი შეუძლებელია. მე სისხლს ვატარებ ნეფრონის მილაკებში, რომლებიც შედგება 31 მმ-სგან და ერთგვარი გამწმენდი მოწყობილობის მსგავსად ვმუშაობ. თუ წარმოიდგენთ, რომ ჩემს ორივე ნაწილში 1.200.000 ცალი მილაკია, ეს 31–ს პლუს 31, ანუ ჯამში 62 კილომეტრიან ფილტრიან მილსადენს ნიშნავს.



წარმოიდგინეთ უზენაესი ღმერთის უსაზღვრო შესაძლებლობა და უნიკალური ხელოვნება, რომელმაც ამ მცირე ხორცის ნაჭერში ასეთი საოცარი, ფილტრიანი მილსადენი განათავსა.

ნეტავი მაქვს ტვინი, ჭკუა?

თუ არსებობს კომპიუტერი, რომელმაც დამაპროგრამა?

მე ასობით ნივთიერებას როგორ ვცნობ?

მე მაქვს ისეთი ლაბორატორია, ან ჩემში არიან ისეთი ლაბორანტები, რომლებიც ერთმანეთისგან განასხვავებენ სასარგებლოს და მავნეს, ატარებენ ანალიზს?

თუ ასეა, მე, როგორც 40-50 გრ წონის ხორცის ერთი ნაჭერი, ამ ყველაფერს როგორ ვაკეთებ?

აი, ეს კი ღმერთის ერთ-ერთი საოცრებაა, რომელმაც ყველა არსება მშვენიერი სრულყოფილი ფორმით გააჩნია. . .

ევოლუციის მატყუარები!

ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ადამიანი თავდაპირველად არ გაჩენილა ადამიანის სახით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩემში ხედავენ ამ სასწაულ და სრულყოფილ მახასიათებლებს. მე მათ მიმართ გაოცებული ვრჩები. მე ჩემი საქმე შემთხვევითობით რომ შემესრულებინა, ისევე როგორც მათ სჯერათ, ახლა არცერთი მათგანი არ იქნებოდა ცოცხალი! იმიტომ რომ მათი თირკმლები საწამლავსა და ვიტამინს შემთხვევითი მეთოდით შეარჩევდნენ, ხან საწამლავს სისხლში გაგზავნიდნენ, ხან კი ვიტამინს გარეთ გამოდევნიდნენ. ეს კი სიკვდილს ნიშნავს. გარდა ამისა, მე ევოლუცია რომ გამევლო, ანუ ათასობით წლის წინ ასეთი სრულყოფილი რომ არ ვყოფილიყავი, ჩემი სამუშაო უფრო პრიმიტიულად და არასრულყოფილი



ფორმით შემესრულებინა, შედეგი კვლავ არ შეიცვლებოდა! სიკვდილი . . . .

ღმერთი ამ მატყუარებზე, რომელთა გულებიც საუკუნეების წინ დაილუქა, შემდეგნაირად ბრძანებს: „ალლაჰმა ადამიანი სპერმისგან გააჩინა. და ის კი უარმყოფელი, ღმერთის მტერი გახდება“ (სურა ნაჰლ, მე-4 აიათი).

ისე, რომ შენ არ იცოდი.

ღმერთმა ისეთი სრულყოფილი, ისეთი სასწაული ფორმით დამაპროექტა, რომ მე ჩემი სამუშაოს შესრულებას ერთი დღითაც კი არ გადავდებ. დღეს თუ ვიტყვი, რომ უნდა შევისვენო, ადამიანი საავადმყოფოში მოხვდება, საათობით იქნება მიერთებული დიალეზის მოწყობილობაზე.

გაგონილი გექნებათ ისეთი ავადმყოფების შესახებ, რომელთა თირკმლებმაც ვერ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა რაიმე დაავადების გამო. ისინი იძულებულნი არიან, კვირაში ორ-სამჯერ მიერთებულნი იყვნენ დიალეზის მოწყობილობაზე. დიალეზის მოწყობილობები 4-5 საათის განმავლობაში ასრულებენ იმ მოვალეობას, რასაც მე უნდა ვასრულებდე. მაგრამ შეუძლებელია ჩემი ჩანაცვლება. მხოლოდ ავადმყოფების სიცოცხლის გახანგრძლივება შეუძლიათ რაღაც დროით. . . .

რათქმაუნდა, ჩემი მოვალეობები მხოლოდ ამათგან არ შედგება. მაგალითად, მე ვაწონასწორებ თქვენს ქსოვილებში არსებული წყლის ოდენობასა და სიმკვრივეს. მე თქვენს ქსოვილებში არსებული სითხის რაოდენობის შესახებ ინფორმაციას ვიღებ თქვენს ტვინთან ერთობლივი მოქმედებით და თქვენი

საჭიროების მიხედვით ვასრულებ საჭირო რეგულირებას, თანაც ისე, რომ შენ ამის შესახებ არც კი იცი.

დამთხვევა (!)

როგორც ხედავთ, არაფერია ისეთი, რომელიც ჩაანაცვლებს ღვთიური ხელოვნების ნიმუშს - თირკმლებს. ამდენი მეცნიერის მიერ ყველაზე განვითარებული ტექნოლოგიებითა და უსაზღვრო შესაძლებლობებით გამოგონილი უდიდესი მოწყობილობებიც კი ვერ შეასრულებენ იმას, რასაც ხორცის პატარა ნაჭერი ასრულებს. ნეტავი, იმ ათეისტ ევოლუციონისტ მეცნიერებს, რომლებიც არ აღიარებენ, რომ ადამიანი შექმნილია ალლაჰის მიერ, როგორ შეუძლიათ დაუშვან და იფიქრონ, რომ ორგანო, რომლის შექმნის არც ძალა შესწევთ და არც შესაძლებლობა, ასე შემთხვევით გაჩნდა?

მოკლედ, თქვენზე-ადამიანებზე ბოძებული სიკეთისთვის თქვენ შემდეგნაირად უნდა ილოცოთ: **„დიახ, ღმერთო ჩვენო, ჩვენი გამჩენი თქვენ ხართ. ჩვენ შენი ყული/მსახურნი ვართ. ჩვენთვის ბოძებული უთვალავი სიკეთისთვის უდიდეს მადლობას გიხდით“**.



შეგიძლიათ, მოუსმინოთ ღვიძლს!

მე მუცლის ღრუს მარჯვენა მხარეს, გულმკერდის ქვემოთ, ვარ განთავსებული. ყველაზე დიდი შიდა ორგანო მე ვარ, ჩემი წონა, დაახლოებით, 1,5 კილოგრამია. ჩემი ზომა თქვენი სხეულის ერთ ორმოცდამეათედს შეადგენს. თუმცა, თქვენ არ შეხე-

დოთ ჩემს ზომას, როცა გაიგებთ იმის შესახებ, რასაც მე ვაკეთებ, გაოცებული დარჩებით.

იცით? თქვენ ორ საათზე მეტსაც კი ვერ გაძლებთ ჩემ გარეშე. ღმერთმა ისე გამაჩინა, რომ თქვენს სხეულში ასობით, ერთმანეთისგან განსხვავებულ მოვალეობას ერთდროულად ვასრულებ. მე ვგავარ ფაბრიკას, რომელიც წამების განმავლობაში ასრულებს ქიმიური დაშლისა (ანალიზის) და ინტეგრაციის (სინთეზის) ასობით პროცედურას და ფუნქციონირებს მთელი ცხოვრების განმავლობაში.

მე შევდგები ოთხი დიდი ნაწილისგან, ანუ წილისგან. ასევე ამ წილებში 50 000 –იდან 100 000 -ამდე პატარა წილებია. ამის გამო მე შეგიძლიათ წარმომიდგინოთ, როგორც უდიდესი ფაბრიკა, სადაც ასობით ლაბორატორია და ატელიეა განთავსებული.

ღიაა ყოველ დღე, 24 საათის განმავლობაში

იცით? თქვენთვის საჭირო მთლიანი ენერგიის 15%-ს მე გამოვიმუშავებ. ყოველ წამს სისხლის მიერ ჩემთვის მოწოდებულ ასობით საკვებს ჩემს ფაბრიკებში გარდავქმნი ვიტამინებად და ენერგიად. შემდეგ მათგან სარგებლობის ერთ ნაწილს გამოვყოფ და ვინახავ ჩემს საწყობში. რკინის, სპილენძის, ა და დ ვიტამინის მსგავსად, სხვა უამრავი ვიტამინის წარმოებაში მეც მიმიძღვის წილი. ხოლო მავნე ნივთიერებებს ვაგზავნი ნარჩენის სახით.

მაგალითად; თქვენ იკვებებით შოკოლადით, კანფეტებით. მე მათ შემადგენლობაში არსებულ შაქარს ვაცალკევებ და ვასაწყობებ. ხოლო სისხლს ვაწვდი იმდენ შაქარს, რამდენიც გჭირდებათ. სისხლში შაქრის შემცველობასაც მუდმივად ვაწონასწორებ. მომატებული შაქრის შემცველობას გარდა-

ვქმნი ცხიმოვან მჟავეებად და ვაწვდი სისხლს. შემდგომ ეს ცხიმები გროვდება კანის ქვეშ, მუცელზე, თეძოს მიდამოებში, რადგან როცა არ იღებთ საჭირო საკვებს, თქვენი სხეული ენერგიას ამ ცხიმებით აღიდგენს. მე რომ ეს ყველაფერი არ შემესრულებინა, ათასობით დაავადების მსხვერპლი გახდებოდით.

ამავდროულად, მე ვაკონტროლებ, სისხლი შეიცავს თუ არა მავნე ნივთიერებებს. თუ თქვენი სისხლის შემცველობაში დავადგენ ამიაკის, შარდოვანას და სსხვა პრეპარატების მსგავსად თქვენთვის მავნე ნივთიერებების არსებობას, „კუფერის“ უჯრედების საშუალებით ვპოულობ მათ და უვნებელს ვხდი.



თავბრუ გეხვევათ არა?

ნეტავი იცოდეთ, მე რას ვაკეთებ თქვენ გარეშე!

მეც, თქვენ მსგავსად, კვირაში ერთი ან ორი დღე რომ დავასვენო ჩემი ფაბრიკები, თქვენ გაუბედურდებოდით, ძალა გამოგეცლებოდათ, თქვენი სისხლი საშიში ნივთიერებებით გაივსებოდა, ყველაფერი ერთმანეთში აირეოდა და საბოლოოდ, ფატალურად დასრულდებოდა ყველაფერი.

თქვენ ვერც კი ამჩნევთ, მაგრამ ერთ წუთში 1,5 ლიტრ სისხლს ვამუშავებ. როცა თქვენი გულის ყოველწამიერი ფეთქვისას თქვენი მთლიანი სისხლის თითქმის 30% ჩემი გავლით მიეწოდება მთლიან სხეულს. ეს ერთი საათის განმავლობაში შეადგენს 90 ლიტრს, ანუ, დაახლოებით, 5 ბიდონ (19 ლიტრიანი) სისხლს ვამუშავებ ჩემს ლაბორატორიაში. ამ დროს 600-700 მდე პროცედურას ვასრულებ.

ეს სასწაულია!

იცით თუ არა რომ, მაგალითად, რაიმე დაავადების გამო ოპერაციაზე ჩემი 70%-ც რომ ამოჭრან, პირველი ორი კვირის განმავლობაში ჩემი უჯრედები სწრაფად გამრავლდება და აღდგება. ხოლო სამი თვის განმავლობაში დავუბრუნდები პირვანდელ მდგომარეობას. მეორე მხრივ კი, არ შევაფერხებ ჩემს სამუშაოებს.

კარგით, საიდან ვპოულობ ამ უსაზღვრო ენერგიას?

როგორ ხდება, რომ მე ამ პროცედურების შესრულებისას არავითარ შეცდომას არ ვუშვებ?



როდესაც თქვენი კომპიუტერი რამდენიმე წლის შემდეგ საჭიროებს პროგრამის შეცვლას ან მოდელის განახლებას, ჩემი კომპიუტერი რატომ არასდროს არ ძველდება?

როდესაც უახლესი ფაბრიკა-ქარხნები ძველდე-

ბა, უახლესი მანქანა-დანადგარების მეტალები იჟანგება, მე რატომ არასოდეს არ ვბერდები?

ნეტა, ჩემი პროგრამა რომელმა კომპიუტერულმა ინჟინერმა შექმნა? (!)

რომელმა ინჟინრებმა უზრუნველყვეს ჩემი ფაბრიკების უშეცდომო მუშაობა/ფუნქციონირება? (!)

მიუხედავად იმისა, რომ თქვენში წლების განმავლობაში ვმუშაობ და მილიონობით პროცედურას ვასრულებ, როგორ არ გიქმნით დისკომფორტს?

როცა თქვენს ჭეშმარიტებას დედისგან, მამისგან და მასწავლებლებისგან სწავლობთ, ვინ არის ჩემი მასწავლებელი, ვინც მასწავლის ყველაფერს იმას, რაც უნდა შევასრულო?

რათქმაუნდა, ღმერთი, რომელმაც ყველა და ყველაფერი უნაკლო ფორმით გააჩინა . . .

თუ ასეა, თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს! გთხოვთ! შოკოლადისა და ტკბილეულის მსგავსი საყვარელი საკვების მიღებისას გაიხსენეთ ის, რასაც მე ვაკეთებ თქვენთვის და მადლობა გადაუხადეთ ალლაჰს, რომელმაც გამაჩინა!

და ჩემ მიერ თქვენთვის გამომუშავებული ენერგია ლოცვაში, ყურანის კითხვაში, სასიკეთო და სამადლო საქმის შესრულებაში დახარჯეთ, კარგი?

მე თქვენი კუჭი ვარ!

თქვენს სხეულში გადამამუშავებელი ქარხანა!

მე თქვენი კუჭი ვარ. თქვენ ჩემს არსებობას ამჩნევთ მაშინ, როცა გშიათ ან ტკივილისას, იმიტომ რომ ჩემს სამუშაოს ყოველთვის უხმოდ ვასრულებ. მე მუცლის ღრუს მარცხენა მხარეს ვარ. თუ გინდათ შემიგრძნოთ, ხელი მარცხენა მხარეს მკერდიდან

ჩააცურეთ ქვევით, აი, ზუსტად იქ ვარ, სადაც მთავრდება თქვენი ნეკნები.

მე ნედლეულის – ნავთობის გადამამუშავებელ ფაბრიკას ან უბრალოდ გადამამუშავებელ ფაბრიკას ვგავარ. როგორც გადამამუშავებელ ქარხანაში შეაქვთ მიწიდან მოპოვებული გადაუმუშავებელი ნედლეული – ნავთობი. გადამამუშავებელი ფაბრიკა მას ამუშავებს და მისგან ზეთს, დიზელს, ბენზინს, ავტოგაზს და სხვა მსგავს საწვავს ამზადებს, მეც თქვენ მიერ მიღებულ და ჩემთვის გამოგზავნილ საკვებსა და სასმელს ვაფქვევ და ვინელებ. შემდგომ აღნიშნული საკვების უკეთ მონელებისათვის, ანუ სხვადასხვა სახის ვიტამინის მისაღებად, მათ ვგზავნი თორმეტგოჯა ნაწლავში. იქიდან კი — წვრილ ნაწლავში .... და საკვები, რომელსაც თქვენ იღებთ, გადრაიქმნება თქვენი სხეულისათვის ყოველწამიერად საჭირო პროტეინებად, ცხიმებად და გლუკოზებად.

მუცელში სარეცხი მანქანა!

როგორც გაიგეთ, მე გადამამუშავებელი ქარხნის მსგავსად რომ არ მემუშავა, თქვენ ვერც იმუშავებდით და ვერც ადგილიდან გაინძრეოდით, ზუსტად იმ ავტომობილის მსგავსად, რომელიც ბენზინზე მუშაობს, ხოლო მისი საწვავის ავზი გავსებულია ზეთით. გაიხსენეთ აბა, ხანდახან ბევრს ჭამთ ან ხანდახან გიჭირთ საჭმლის მონელება. ისეთი შეგრძნება გაქვთ, თითქოს კუჭი ქვით გაქვთ ამოვსებული. აი, ეს ის მომენტებია, როცა მე ვერ ვასრულებ ჩემს მოვალეობას. მე თქვენ მიერ მიღებული საკვების გადამუშავებაზე რამოდენიმე დღით უარი რომ მეთქვა, დედამიწაც კი პატარა მოგეჩვენებოდათ. სუნთქვა შეგეკვრებოდათ, შვებას მხოლოდ ექიმისგან მიიღებდით.

მე ისე უხმოდ და წყნარად ვმუშაობ, რომ მშვიდად წიგნს კითხულობთ, მეცადინეობთ, თამაშობთ და ლოცულობთ. მა-

გრამ როცა თქვენ ამ ყველაფერს აკეთებთ, მე მარჯვნივ, მარცხვნივ, ზევით, ქვევით და დიაგონალური უწყვეტი ქანაობით, კუმშვით ვმუშაობ. თუმცა ამას ისე ნაზი, ისე რბილი მოქმედებებითა და ჩემ ირგვლივ მყოფი ორგანოების შეწუხების გარეშე ვასრულებ, რომ თქვენ ვერც კი გრძნობთ. ასე მოქნილად და რბილად რომ არ ვმოქმედებდე, თქვენ ისეთი შეგრძნება გექნებოდათ, თითქოს მუცელში გორგოლაჭებიანი სარეცხი მანქანა მუშაობს.



თუნდაც რკინა იყოს. . .

იცოდით? მე ისეთ ძალას ვფლობ, რომ რკინის ნაჭერიც კი შემიძლია დავადნო და მოვინელო. თუ ვინმე უნებლიედ რაიმე მეტალის ნაჭერს გადაყლაპავს, ჩემში გამომუშავებული ძალიან ძლიერი მჟავეები მას რამოდენიმე ხნის შემდეგ გაადნობენ.

ახლა თქვენთან ერთი კითხვა. მიუხედავად იმისა, რომ მეც ისეთი ორგანო ვარ, რომელიც ერთგვარი ხორცისგან შედგება, როგორ ხდება, რომ საკუთარ თავს არ ვაზიანებ? ანუ საკუთარ თავს არ ვფქვავ? ჩემში არსებული მჟავის გარკვეული

რაოდენობა ხალიჩის ზედაპირზე თუ დაიღვრება, იქ ძალიან დიდი ხვრელი გაჩნდება.

შეხედეთ, აგიხსნით! ჩემი შიდა სტრუქტურა, ანუ თქვენი კუჭის კედლები, ჩაღრმავებულ–ამოღრმავებული, ჩაზნექილ–ამოზნექილია. ჩაზნექილ ადგილებში არსებული უჯრედები და ამოზნექილ ადგილებში არსებული უჯრედები განსხვავდება ერთმანეთისგან. როცა ჩემი უჯრედების ერთი ნაწილი გამოყოფენ მჟავეებს, რომლებიც ადნობენ საკვებს, მეორე ნაწილი კი აწარმოებენ სითხეს, „ლორწოს“, რომელიც მთლიანად ფარავს ჩემს შიდა კედელს. ლორწო მჟავეებს ანეიტრალებს და მე მიცავს მჟავეებისგან. ეს ისეთი საოცარი სითხეა, რომ ამავდროულად ხელს უშლის თქვენ მიერ მიღებულ საკვებში არსებულმა მიკროორგანიზმებმა და ვირუსებმა ჩემში გამოიწვიონ რაიმე დაავადება.



კარგი, მაგრამ ამ მჟავეების მიუხედავად, რომლებიც რკინასაც კი ადნობენ, როგორ ვაწარმოებ ლორწოვან სითხეს? ჩემში რაიმე ლაბორატორია არის თუ მენციერები არიან, რომლებიც იკვლევენ მჟავეებს და ამზადებენ სითხეს, რომელიც ზუსტად ასეთი სახის მჟავეებისგან მიცავს? რათქმაუნდა, არა. ეს, ღმერთის გაჩენის შესაძლებლობაა, უნიკალური ხელოვნებაა, რადგან ის თუ ისურვებს, ასეთს კიდევ ბევრ საოცრებას გააჩენს,

რომლებსაც ვერც ჩვენი ჭკუა და ვერც ოცნებები ვერ გასწვდება.

ყოველთვის უახლესი ტექნოლოგია.

საერთოდ გიფიქრიათ? ყველაზე განვითარებული ტექნოლოგიებით შექმნილ ფაბრიკებშიც კი, 20-30 წლის გასვლის შემდეგ, დანადგარები ძველდება და იძულებული არიან, აღადგინონ/შეაკეთონ. ნოუთბუკი, რომელიც ხუთი–ექვსი წლის წინ სასწაულად გამოიყურებოდა, დღეს არაფერში გვარგია. ხოლო მე მუშაობა ჯერ კიდევ მაშინ დავიწყე, როცა თქვენ დედის მუცელში იყავით და განახლების, თავიდან დაპროგრამების გარეშე შემიძლია ვიმუშაო მთელი თქვენი სიცოცხლის განმავლობაში სრულიად გამართულად.

და ბოლოს, ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ. იცით თუ არა, რომ როცა საკვების მიღებამდე ბისმილლაჰს ამბობთ, დამთავრების შემდეგ კი ვედრებას აკეთებთ, მე მათ უფრო მშვიდად და სიხარულით ვინელებ. უფრო მეტიც, თუ ჩემ მიერ გამომუშავებული ენერგიით ნამაზს ლოცულობთ, ყურანს კითხულობთ, მაშინ ჩემზე ბედნიერი არავინ არის.

კიდევ ერთი, ჩვენი საყვარელი შუამავლის მსგავსად თუ ორშაბათ ან ხუთშაბათ დღეს დროდადრო იმარხებთ და დამასვენებთ, თქვენგან მადლიერი ვიქნები.



ჩვენი ტვინი საუბრობს

უჯრედები, რომლებმაც იციან თავიანთი ადგილი

მე თქვენი ტვინი ვარ. ჩემი თავგადასავალი მაშინ დაიწყო, როცა თქვენ ჯერ კიდევ დედის მუცელში იყავით. თქვენ მაშინ პატარა ხორცის ნაჭერი იყავით, რომელიც ნელ-ნელა იზრდებოდა. ღმერთი ჩემს უჯრედებს თავის ქალასთან ერთად ქმნიდა. ამ დროს ჩემი მილიონობით უჯრედი სხვა ორგანოე-

ბის უჯრედებში არც კი ირეოდა. მაგალითად, ჩემი არცერთი უჯრედი არ მოხვედრილა გულში, ფილტვებისა კი — ჩემში.

მე დროთა განმავლობაში ვიზრდებოდი და ჩემთან ერთად იზრდებოდა თავის ქალაც. მაგრამ მე არ მავიწროვებდა და ჩემთან ერთად პროპორციულად იზრდებოდა. ისედაც ცხადია, რომ თავის ქალა ჩემზე ადრე თუ გაიზრდებოდა, ან მე მასზე სწრაფად თუ გავიზრდებოდი, სიკვდილი გარდაუვალი დასასრული იქნებოდა!

როცა ამ ქვეყანას მოევლინეთ, ღმერთმა მე სრულიად დაცულ ადგილას მომათავსა რადგან მე თქვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა მქონდა. თავის ქალას, რომელიც მყარი ძვლებისგან შედგება და რომელსაც სქელი კანი აკრავს გარს, გარედან თმები ამშვენებს . . . შემდეგ მასში გარსი . . . იქ კი 150 მილიმეტრის ზურგის ტვინის სითხე, რომელიც ავსებს ცენტრალური სისტემის ღრუებსა და არხებს , . . . ეს შეგიძლიათ წარმოიდგინოთ როგორც ბურთი, რომელიც შიგნიდან სავსეა წყლით და რომელიც მიცავს დარტყმისა და შერყევისგან. ჩემ ირგვლივ კიდევ ორი გარსია . . .

ნაოჭები, რომ არ მქონოდა . .

ამ წყლით სავსე ბურთის მიერ ჩემი დაცვა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი წყალობით, მიუხედავად იმისა რომ ჩემი ნორმალური წონა 1400 გრამს შეადგენს, თქვენ გრძნობთ, რომ მე სულ რაღაც 50 გრამს ვიწონი. უზენაეს ღმერთს გარსში, რომ არ მოვეთავსებინე, წელში მოხრისა და გაშლისას ან სირბილის დროს მე თავის ქალას მივეხეთქებოდი. მე შემიგრძნობდით როგორც ხორცის ერთი ნაჭერი, რომელიც უფრო და უფრო მძიმდება. ღმერთმა დაგვიფაროს, ბავშვობისას პირველივე სახიფათო წაქცევისას შეჯახების შედეგად გავსკდებოდით.

ახლა თქვენთან ერთი კითხვა, ვნახოთ აბა, თუ გამოიცნობთ? შეხედეთ აბა აქ ჩემს სურათს. რატომ არის ჩემი ზედაპირი ასე დანაოჭებული და ნაკეცებიანი? აგიხსნით: სინამდვილეში ჩემი ამჟამინდელი მდგომარეობისგან განსხვავებით რამდენჯერმე ფართო ზედაპირი მაქვს. ასე ნაკეც–ნაკეც ვიღებ ასეთ პატარა მდგომარეობას. ჩემი ზედაპირი, რომელიც სხვადასხვა სულიერი და ფიზიკური გრძნობის ცენტრია, გაშლილი რომ გენახათ, უდიდესი ბურთი გეგონებოდით და გაკვირვებული დარჩებოდით.



ზუსტად აქ მექავება!

თქვენ შეიძლება 1.5 კილოგრამი წონის ხორცის ერთ ნაჭერად აღმიქვამთ, თუმცა მე ჩემთან დაკავშირებული ნერვების წყალობით თმის ძირებიდან ფეხის თითის ფრჩხილამდე, თქვენი სხეულის ყველა წერტილამდე, ვაღწევ. მაგალითად, როცა გსურთ, ფეხის დიდი ცერა თითის ზევით–ქვევით ამოძრავება, მე იქ არსებული ნერვების საშუალებით უზრუნველვყოფ, აამოძრავოთ თითი ზუსტად ისე, როგორც თქვენ გინდათ.

საერთოდ დაინტერესებულხართ, როცა ზურგის რომელიმე ადგილი გექავებათ, თითით როგორ პოულობთ იმ კონკრეტულ ადგილს და იქავებთ? თუ თქვენი მეგობარი გთხოვთ იმავეს გაკეთებას, მხოლოდ რამდენიმე მცდელობის შემდეგ თუ გამოგივათ, რადგან უზენაესმა ღმერთმა ისე სრულყოფილად და საოცრად გამაჩინა, რომ მე გამაჩნია ცენტრები, რომლებიც მართავენ თქვენი სხეულის ყველა მოქმედებას, გრძნობებს, რეფლექსებს. ადამიანი ვერც კი წარმოიდგენს, მე მათი საშუალებით კიდევ რამდენი სასწაული სამუშაოს შესრულება შემიძლია.

ერთ მაგალითს მოვიყვან; თქვენ ბუნების პეიზაჟისოდენა ხართ. თქვენი თვალი მასზე დამოკიდებული 130 მილიონი ნერვის საშუალებით, დაახლოებით, 1.5 მილიონ ინფორმაციას მიგზავნის. მე თქვენთვის ამ ინფორმაციას ვანიჭებ მნიშვნელობას და უზრუნველვყოფ, ბრჭყვიალა, ღვთიური ხელოვნების მუზეუმის სილამაზეები დაინახოთ. თუ დედამიწაზე მცხოვრები მილიონობით ადამიანი ერთსა და იმავე პეიზაჟს შეხედავს, ყველა მათგანი ერთსა და იმავე რაღაცას ერთი და იმავე შეფერილობით დაინახავს. აი, ეს უზენაესი ალლაჰის უნიკალური ხელოვნების საოცრებაა.

ჩემი პროექტი ვინ დახაზა?

საერთოდ გიფიქრიათ, მეხსიერება რა არის, როგორ მუშაობს? მე თქვენ მიერ დანახულ მილიონობით გამოსახულების ფოტოსურათს სად ვინახავ? როგორ იხსენებთ რაიმე მოვლენას, რომელიც რამდენიმე წლის წინ მოხდა? რაიმე მოსმენილ ამბავს როგორ იხსენებთ? მე იმ ხმოვან ჩანაწერებს სად ვინახავ? რა მე მაქვს საცავი, რომელიც სავსეა ჩ, V-ებით? მილიონობით გეგაბაიტიანი მყარი დისკი მაქვს? ყველაფერი ეს ჩვენი გამჩენის უსასრულო ცოდნისა და შესაძლებლობის საიდუმლო და სასწაულებია, რომელთა აღქმაც ადამიანს არ შეუძლია. . . .

კარგი, ჩემი პროექტი ვინ დახაზა? მე რომელმა ინჟინერმა დამაპროექტა და დამაპროგრამა? ათასობით წელია, რაც ასობით მეცნიერი ლაბორატორიებში ჩემზე კვლევებს, ტესტირებებს, დაკვირვებებს ატარებს. ჯერ კიდევ ვერ დაადგინეს, მე როგორ ვმუშაობ! ჩემ შესახებ ჯერ კიდევ მილიონობით ინფორმაციაა, რომლებიც არ იციან. ნეტა ის ევოლუციონისტი მეცნიერები, რომლებიც ალლაჰსა და მის გაჩენილებს უარყოფენ, საერთოდ ფიქრობენ? რანაირად სჯერათ, რომ ორგანო, რომელიც როგორ მუშაობს, ჯერ კიდევ ვერ დაუდგენიათ, ასე შემთხვევით შეიძლება გაჩენილიყო? გასაოცარია, მე კი ეს არ მესმის!

რას გვეუბნება ჩვენი ტვინი!

მე ვინ მმართავს?

ღამით, როცა სიბნელე ჩამოწვება, მაშინვე გეძინებათ! სკოლის დღეებში, დილით, ყოველთვის ერთსა და იმავე დროს იღვიძებთ! ჭამის დასრულებიდან

ხუთი–ექვსი საათის შემდეგ იგებთ, რომ კვლავ მოგშივდათ. საერთოდ, თუ დაფიქრებულხართ, ეს ყველაფერი როგორ ხდება? აი, მე ვარ ის, ვინც გატყობინებთ ასეთი უამრავი საჭიროების შესახებ. თქვენ ვერ ხედავთ, თუმცა ჩემში ბიოლოგიური საათია მოთავსებული, თანაც ისეთი საათი, რომელიც თქვენს სხეულში მილიონობით მოვლენის მართვისას ერთი წამითაც კი არ ჩერდება.

როდესაც მე ვაპროგრამებ და ვმართავ თქვენს დაძინებას, გაღვიძებას, მოშივებას, მოწყურებას, უფრო მეტიც, ჩასუნთქვა–ამოსუნთქვას – ამ დროს მე ვინ მმართავს? ანუ მე ვინ დამაპროექტა, ვინ დახაზა ჩემი პროგრამა? მაშინ როდესაც მე ერთმანეთთან ჰარმონიულიად ვმართავ თქვენს გულს, ფილტვებს, თირკმლებს – ამ დროს მე ვინ მმართავს? რათქმაუნდა, მე უზენაესი ღმერთი მმართავს. მთლიანი სამყაროს, ტრილიონობით მცენარის, ცხოველების, რომელთა რაოდენობაც არ ვიცით, და მილიონობით ადამიანის ბედისწერის პროგრამა მისი დაპროექტებული და დარეგულირებულია. რათქმაუნდა, მეც და ყველა ჩემი საქმიანობაც ჩვენი გამჩენის დაპროგრამებულია. ეს როგორ არის შესაძლებელი ზუსტად არც მე და არც სხვა ადამიანის ტვინს არ შეუძლია ამის გაგება. გაჩენილი ადამიანის ტვინს იმდენად შეუძლია გაიგოს მისი გამჩენის უსასრულო სიდიადის არსების საქმე, რამდენადაც რობოტს შეუძლია გაიგოს მისი გამომგენებელი მეცნიერის შესაძლებლობების სიდიადე . . .

მილიონობით საიდუმლო მაქვს!

იცით? - მე ათ მილიარდამდე (10.000.000.000) ნერვული უჯრედი მაქვს. მე თქვენი ორგანიზმის, დაახლოებით, ას

ტრილიონამდე (100.000.000.000.000) უჯრედთან პირდაპირ ან ირიბად ვამყარებ კავშირს და ამგვარად ვმართავ თქვენს სხეულს. მეცნიერები, რომლებიც ჩემზე კვლევებს ატარებენ, ჯერ კიდევ ვერ ამოხსნეს, ამ სამუშაოებს როგორ ვასრულებ, ანუ ვერ გაიგეს ჩემი საიდუმლოებანი, თუ როგორ ვმუშაობ, სამუშაოს როგორ ვასრულებ – ეს ყველაფერი სრული თავისი მნიშვნელობით მხოლოდ ჩემმა გამჩენმა იცის.

ჩემი ნერვული უჯრედების ელექტროსიგნალები არ ირევა ერთმანეთში და არ ჩნდება ცეცხლი, ღვიძლიდან მომავალი სიგნალები არ ერევა თირკმლებიდან მომავალ სიგნალებთან!



თვალებით მიღებული გამოსახულების ინფორმაციაში არ არის ბუნდოვანება, წყვეტა! ყურში მიღებულ ხმებში არ არის შიშინი ან ხრიწინი! ასე მაგალითად: საზამთროს სუნი არ გერევათ ნესვის სუნში! ალუბლის გემოს განასხვავებთ ვიშნის გემოსგან! მე ამ ყველაფერს როგორ ვახერხებ? ეს ყველაფერი უზენაესი ღმერთის ერთ-ერთი სასწაულია! თქვენთვის ეს რამდენად დიდი ძღვენი, სიკეთეა.

ყველაზე სწრაფი

ოდესმე ბუშტი გაბერვისას გაგხეთქვიათ? ასეთ მომენტში რას აკეთებთ? მაშინვე თვალებს ხუჭავთ არა? დიახ, ზუსტად ასე ხდება. ან ოდესმე ხელში ნემსი შეგრჭობიათ, ან უეცრად ხელით ღუმელს შეხებიხართ? იმ მომენტში ხელი უკან გამოგიწევიათ არა? ეს როგორ ხდება? დაუფიქრებლად, ერთ წამში როგორ იცავთ თავს, თანაც წამზე უფრო მოკლე დროში . . . წამის მესამოცედში შესრულებულ ამ მოქმედებებს რეფლექსი ეწოდება. რეფლექსის დროს ნერვები მიღებულ გაფრთხილებას, ანუ ინფორმაციას, გზავნიან ჩემსკენ, დაახლოებით, 9 კილომეტრი/საათში სიჩქარით. ეს, დაახლოებით, თვითმფრინავის სიჩქარეა. თუ შემთხვევა საგანგებო და სახიფათოა, ინფორმაცია სანამ ჩემამდე მოაღწევს, საჭირო პასუხს იღებს ზურგის ტვინიდან და თქვენ წამიერად, რეფლექსის სახით, რეაგირებთ. რეფლექსები უზენაესი ღმერთის მიერ ჩამონტაჟებული თავდაცვის სისტემაა, რომელიც იცავს თავის გაჩენილ ადამიანებს, რადგან მას ადამიანები ძალიან უყვარს. მან ყველაფერი იცის მათ შესახებ. მას ასეთი თავდაცვის მექანიზმი რომ არ შეემუშავებინა, რა მდგომარეობაში იქნებოდით? როცა ხელის ღუმელთან შეხებას გაიგებდით, უკვე დამწვარი გექნებოდათ!



საკუთარი თავის გამოყენების ხელოვნება!

სინამდვილეში ჩემ მიერ შესრულებული ყოველი სამუშაო სასწაულია. ახლა დაფიქრდით აბა. ახლა წიგნს კითხულობთ. წიგნს სანამ აიღებთ ხელში, ხვდებით, ის რა სიმძიმისაა, იცით, როგორ უნდა დაიჭიროთ და გადაშალოთ, უფრო მეტიც, თან ხვდებით მის წასაკითხად რამდენგრადუსიანი დახრილობით, თვალთან რამდენად ახლოს უნდა დაიჭიროთ. ეს ყველაფერი საიდან იცით? მე ამ ყველა გამოთვლებს თქვენთვის ვაკეთებ. მე თქვენი ხელის, სხეულის კუნთებს თქვენთვის საჭირო ფორმით მივმართავ, ვამოძრავებ. თქვენც სამუშაოს თავისუფლად ასრულებთ.

წარმოიდგინეთ აბა, თქვენი სხეულის მართვა თქვენზე რომ ყოფილიყო მონდობილი . . . დისტანციურად მართვადი რობოტის მსგავსად საკუთარი თავისთვის თავად მიგეცათ ბრძანებები . . . იძულებული იქნებოდით, მხოლოდ ჟურნალის ერთი გვერდის გადასაშლელად ათობით რთული ცდა ჩაგეტარებინათ. მე კი ღმერთის დახმარებით თქვენთვის ასობით სამუშაოსგან იმას ვასრულებ, რომელიც უფრო სწორია, თანაც ისე, რომ თქვენ საერთოდ არ წუხდებით.

ღმერთი თქვენთვის ძღვნად ბოძებული ამ ძვირფასი ორგანოსა და გონების, თქვენი მხრიდან, ყველაზე სწორი ფორმით გამოყენებას ითხოვს. მას სურს, რომ ხედავდეთ ღვთიური ხელოვნების სილამაზეებით სავსე ამ სამყაროს, შემდეგ კი სარწმუნოებისთვის, ერისთვის, სამშობლოსთვის იყოთ სასარგებლო. უზენაესს სურს, რომ მე კარგ საქმეში გამომიყენოთ და სამოთხე დაიმსახუროთ.



სისხლი გვესაუბრება!

მოჩუხჩუხე ნაკადულივით

მე სისხლი ვარ, რომელიც თქვენს სისხლძარღვებში მოძრაობს. ყველა თქვენგანი მიცნობთ. პატარაობისას, რომელიმე ადგილის გაკაწვრისას ცოტათი ტკივილით, ცოტათი შიშით გამიცანით. ყოველთვის

თქვენს სხეულში ვარ 5-6 ლიტრის ოდენობით. თქვენი სისხლ-ძარღვების შიგნით ვმოძრაობ, რომელთა სიგრძე 100 ათას კილომეტრს აღწევს.

შეგიძლიათ ნაკადულს მიმამსგავსოთ, რომელიც თქვენს სისხლძარღვებში ჩუხჩუხით მიედინება ისე, რომ გულიდან ფილტვებამდე – 6 წამში, გულიდან ტვინამდე – 8 წამში, გულიდან ფეხის თითებამდე 18 წამში ვაღწევ და უკან ვბრუნდები. ამგვარად, წუთების განმავლობაში თქვენს სხეულს რამდენიმეჯერ შემოვივლი სისხლძარღვებით, რომელთა მთლიანი სიგრძე ორნახევარჯერ აღემატება დედამიწის გარშემოწერილობას. ჩემს საქმეს ისე მშვიდად ვასრულებ, რომ თქვენ არც ხმა გესმით და ვერც ჩემს მოძრაობას გრძნობთ.

სასწრაფო საფოსტო სერვისი!

თქვენი სხეული და უჯრედები ჰგავს ქალაქს, სადაც ას ტრილიონამდე (100.000.000.000.000) სახლია განთავსებული. უჯრედები ყოველთვის ჩემგან ჟანგბადს ელოდებიან ზუსტად ისე, როგორც სახლებში – წყალს. როგორც ქალაქის წყალი მიეწოდება სახლებს მსხვილი და წვრილი მილების საშუალებით, ისე მეც მივედინები მსხვილ და წვრილ სისხლძარღვებში და უჯრედებს ვამარაგებ ჟანგბადით. 0,006 მილიმეტრამდე დიამეტრის კაპილარებით შევდივარ ყველა ორგანოში, როგორც კურიერი, თანაც არცერთი მათგანი არ მავიწყდება, არც გამომრჩება, ყველა უჯრედს ვაწვდი ჟანგბადს. შემდეგ ყველა ორგანოში არსებულ ნახშიროჟანგს ვკრებ, გადამაქვს ფილტვებში და იქ ვტოვებ. იქ არსებულ ჟანგბადს კი ვიღებ და კვლავ ჩემს გზას ვაგრძელებ. ამ სერვისს, წამიერი შესვენების გარეშე, ასობით მილიონჯერ ვასრულებ. მე ჩემს სამუშაოს

რამდენიმე საათის განმავლობაში თუ შევაჩერებ ან თუ დამავიწყდება მისამართები, უჟანგბადოდ დარჩენილი თქვენი უჯრედები ვერ იცოცხლებენ.

სამშობიაროდან სასაფლაომდე!

რომელიმე ადგილიდან გამოგდენიათ სისხლი? რათქმაუნდა, იქნებოდა ასეთი შემთხვევა. იმ გამოდენილი სისხლის ერთ პატარა წვეთში 5 მილიონი ერითროციტია და 400 ათასი ლეიკოციტი და თრომბოციტი და კიდევ სხვა მრავალი უჯრედი. მე ჩემში ყოველდღე, დაახლოებით, 260-400 მილიარდ სისხლის უჯრედს ვქმნი. ყოველდღიურად ჩემში ათასობით ერითროციტი კვდება და ათასობით იბადება.

მეცნიერები, საუკუნეებია, ჩემზე კვლევებს ატარებენ, თუმცა ზუსტად მაინც ვერ ამოხსნეს ჩემი საიდუმლოებანი. ჩემი ღვთიური საიდუმლოს ამოხსნის ძალა არავის შესწევს.

იცით თუ არა, რომ 120 დღის წინ სისხლში არსებული ერითროციტები არ ჰგავს დღევანდელ ერითროციტებს? ლეიკოციტები კი 20 დღის შემდეგ სრულიად ახლდებიან? ღმერთმა ისე შემქმნა, რომ ჩემი ერთი მხარე — სამშობიარო, ხოლო მეორე მხარე სასაფლაოა. როგორც დედამიწა . . . ერთ მახარეს არიან ახლად დაბადებული ჩვილები, მეორე მხარეს კი — გარდაცვლილი ადამიანები . . .

სამედიცინო დახმარება მუდამ თქვენს გვერდითაა!

იცით, როცა რომელიმე ადგილს გაიკაწრავთ ან გაიჭრით, ცოტა ხნის შემდეგ მე გადმოვიღვრები. შემდეგ შევდედდები და შეწყდება ჩემი დინება. კარგი, თავიდან თუ ვიღვრები, შემდეგ როგორ ვჩერდები? ჩემი თრომბოციტების წყალობით . . . ჩემში მოძრავი თრომბოციტები მაშინვე ადგენენ იმ ადგილს, საიდანაც გარეთ გავედინები. შემდეგ კი ყველაზე ახლოს მყოფები, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მსგავსად, მიდიან სისხლდენის ადგილას და უწევენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას. ჰაერთან კონტაქტში შესული თრომბოციტები მაშინვე დედდებიან, იღებენ ჟელეს კონსისტენციას და აჩერებენ ჩემს დინებას. თრომბოციტები აღნიშნულ სასწრაფო სამედიცინო დამხარებას არ ეწევიან მხოლოდ კანზე არსებული სისხლდენისას, არამედ შიდა ორგანოებში, კაპილარებში სისხლდენის დროსაც. თუ ისინი არ უზრუნველყოფენ ჩემს შედედებას, მე მცირედი შეჯახების ან დაზიანების დროს დავიღვრებოდი. თქვენ კი სისხლის დაკარგვის გამო დაემშვიდობებოდით ამ ქვეყანას.



ერთ წვეთში ათასი საიდუმლო.

შეიძლება ერთ წვეთ სითხედ აღმიქვამთ, თუმცა ერთ-ერთი სასწაულებრივი სითხე ვარ. ჩემში რამდენი საიდუმლო იმალება, რომელთა შესახებაც ადამიანებმა არაფერი იციან. ექიმებს ჩემი ერთი წვეთის გამოკვლევით შეუძლიათ დაადგინონ ასობით დაავადება. მეცნიერები, საუკუნეებია, ჩემზე კვლევებს ატარებენ, თუმცა ზუსტად ვერ ამოხსნეს ჩემი საიდუმლოებანი. ისედაც ცხადია, რომ ადამიანებს არ შესწევთ ძალა, აღმოაჩინონ ყველა ღვთიური საიდუმლო, რომლებიც მათ სხეულშია თავმოყრილი.

არ გავამჟღავნებ ჩემს საიდუმლოს!

როცა თქვენ გძინავთ, მე ვებრძვი თქვენს სხეულში შესულ ვირუსებს, ბაქტერიებსა და უცხო ნივთიერებებს. ჩემში არსებული ანტისხეულებისა და ლეიკოციტების მეომარი უჯრედები ყოველ წამს თქვენს უსაფრთხოებას პატრულირებენ თქვენს სისხლძარღვებში. თუ თქვენს სხეულში შეაღწევს თქვენთვის მავნე ნივთიერება, დაუყოვნებლივ ადგენენ მას. ლეიკოციტები ამ მავნე ნივთიერებებს პოულობენ და მათ ანადგურებენ. ეს მეომარი უჯრედები იმ ბაქტერიებსა და ვირუსებს როგორ სცნობენ? იმ მავნე ნივთიერებებს როგორ განასხვავებენ სასარგებლო ვიტამინებისგან, მინერალებისგან? მათ თვალები, ყურები, ტვინი აქვთ? რათქმაუნდა, არა! აი, ესეც ჩვენი საიდუმლოა! ღმერთის მიერ ჩვენთვის მონიჭებული შესაძლებლობა!

სად ალლაჰის გასაოცარი ხელოვნების სილამაზისა და საიდუმლოების გაგება და სად ადამიანის გონება . . .

ღმერთმა ჩემს ერთ წვეთში ათასობით საიდუმლო და სასწაული მოათავსა. 100 ათას კილომეტრამდე სიგრძის სისხლძარღვებში მამოძრავებს მოჩუხჩუხე მდინარეების მსგავსად. თქვენ მიერ ჩასუნთქული ჰაერით კი მასუფთავებს. ამ ყველაფერს რა მნიშვნელობა აქვს? ღმერთს ძალიან უყვარხართ! თქვენ მათი ყველაზე ძვირფასი ხელოვნების ნიმუში ხართ! გთხოვთ, ვედრების გაკეთებით, ლოცვით, მარხვით დავამტკიცოთ, რომ ღმერთი არ დაგვიწყებია. ღმერთისადმი ჩვენი სიყვარული მისთვის მადლობის გადახდით, მისი ბრძანებების შესრულებით, აკრძალულებისგან გარიდებით დავამტკიცოთ.



მოუსმინეთ თქვენს ჩონჩხს!

მე შემიძლია ჩემს წონაზე ხუთჯერ მეტი ტვირთის ტარება!

მე თქვენი ჩონჩხი ვარ. შენობისთვის რკინაბეტონის ბოძები და კოჭები რასაც წარმოადგენს, მეც თქვენთვის იმავეს წარმოვადგენ. ალლაჰს მე თქვენს

სხეულში ზუსტად რომ არ მოვეთავსებინე, თქვენ, როგორც ხორცის გროვა, ადგილიდან ვერც კი გაინძრეოდით.

ღმერთმა მე ისე მტკიცე და ძლიერი გამაჩინა, რომ ფოლადზე უფრო ძლიერი ვარ. როგორ? აგიხსნით. სამოცდაათკილოგრამიანი ადამიანის სხეულში ჩემი, როგორც ჩონჩხის, წონა 16 კილოგრამია. ანუ მე ჩემს წონაზე ხუთჯერ მეტ ტვირთს ვატარებ. თუმცა ეს მხოლოდ მაშინ, როცა დგახართ, თუ გაიქცევით, ეს დატვირთვა კიდევ სამჯერ გაიზრდება.

ფოლადი თუ ძვალი?

დავუშვათ, თქვენ 50 კილოგრამს იწონით. ესე იგი ჩემი, როგორც ჩონჩხის, წონა შეადგენს 10 კილოგრამს. მაგრამ თუ სირბილს დაიწყებთ, ნაბიჯის გადადგმისას თქვენს ფეხებზე დატვირთვა 150 კილოგრამი იქნება. თუ თქვენი ფეხის წონა სამ კილოგრამს შეადგენს, ესე იგი თქვენს სამკლიოგრამიან ფეხს შეუძლია მასზე 50– ჯერ მეტ დატვირთვას გაუძლოს. მე ძვლისგან რომ არა და ფოლადისგან რომ ვიყო დამზადებული, პირველივე გარბენისას დავიმსხვრეოდი. უფრო მეტიც, მე ფოლადზე სამჯერ უფრო მსუბუქი ვარ. ასე რომ არ იყოს, თქვენ იძულებული იქნებოდით, გეტარებინეთ, როგორც სხეულზე მიმაგრებული 30 კილოგრამი ტვირთვი.

მე ვინ შემმოსა?

ღმერთს, რომელმაც ადამიანი ერთი წვეთი სისხლისგან და უმცირესი სპერმისგან გააჩინა, უნდა, რომ დაფიქრდეთ, მე როგორ გამაჩინა.

„შეხედე ძვლებს! ისინი როგორ ჰარმონიულად შევაერთე და თავიანთი ადგილი მივუჩინე. შემდეგ კი ეს ჩონჩხი შევმოსე ხორცით“ *(სურა ბაყარა, 259-ე აიათი).*

საერთოდ თუ გიფიქრიათ, ეს ძვლები საიდან იქმნება? როგორ ხდება, რომ ერთი წვეთი წყლისგან ფოლადზე უფრო გამძლე ძვალი იქმნება? ჩემი 206 ძვალი ყოველგვარი შეცდომის გარეშე როგორ იქმნება ჩონჩხად? შემდეგ ხორცი როგორ ეკვრება ჩონჩხს? შემდგომ კუნთები დაზიანების, გაცვეთის, დაჟეჟილობის გარეშე როგორ მუშაობს ძვლებთან ერთად მთელი სიცოცხლის განმავლობაში?



აი, ღმერთმა მე, ანუ თქვენი ჩონჩხი, ასეთი სრულყოფილი და საოცარი გამაჩინა, ისეთი, რომ მე ერთ-ერთი საოცარი და სასწაული ღვთიური ხელოვნების ნიმუში ვარ, რომლის აღქმაც არ შეუძლია თქვენს გონებას.

ერთ-ერთმა მათგანმა ადგილი რომ შეიცვალოს . .

ახლა წარმოიდგინეთ, ნეტა, მე ერთით მეტი ძვალი რომ მქონდეს, რა მოხდებოდა?

აუცილებელი გახდებოდა იმ ძვლის ოპერაციით ამოკვეთა.

კარგი, ერთით ნაკლები ძვალი რომ მქონოდა, რა მოხდებოდა?

მაშინ ადამიანები სხეულის იმ ნაწილს, რომელშიც ერთით ნაკლები ძვალი იქნებოდა, ან ვერ გამოიყენებდნენ, ან სერიოზული დაზიანების საფრთხის ქვეშ იცხოვრებდნენ.

ახლა თქვენთან ერთი კითხვა!

ნეტავი, გულმკერდის ძვლები — თავში, ხოლო თავის ძვლები კი გულმკერდში რომ გქონოდათ, რა მოხდებოდა?

აგიხსნით: მოქნილი, მოძრავი და მტვრევადი ნეკნები ვერ დაიცავდნენ თქვენს თავს პირველივე შეჯახებისა და შერყევისას. უეცარი შეჯახებისას თქვენი ტვინი სასიცოცხლო დაზიანებას მიიღებდა. რაც შეეხება თავის ქალის მსგავსად მაგარი და მყარი ძვლებისგან შემდგარ გულმკერდს, რომელიც, ჩვეულებრივ, ყოველი ჩასუნთქვა–ამოსუნთქვის დროს ფართოვდება და ვიწროვდება, იქნებოდა უმოძრაო. ხოლო ფილტვები, რომლებიც ყოველ წამს ჰაერით იბერება და იცლება, შიგნით გაიჭედებოდა, რის გამოც ვერ ისუნთქებდით და დაიხრჩობოდით.



მგზავრობა ფაიტონით

იცით, რომ ჩემს ერთ ნაწილს, რომელიც იწყება კისრიდან, მოიცავს ზურგს და კუდუსუნით მთავრდება, ეწოდება ხერხემალი. ხერხემალი ოდნავ მრუდეა. ხერლხემალი შედგება 33 პატარა, მრგვალი ძვლისგან, ანუ „მალისგან“. ეს მალები იცავს ნერვებს, რომლებიც

მთელ სხეულში უზრუნველყოფენ კომუნიკაციას ტელეფონის კაბელების მსგავსად.

ალლაჰმა ისე დაგვაპროექტა, რომ ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ხერხემალზე დატვირთვა იზრდება, თუმცა მისი მრუდე სტრუქტურის მოქნილობის ხარჯზე თქვენ ამ დატვირთვას ვერ გრძნობთ. ხელხემლის მრუდე ფორმა და მალების მოძრავი სტურქტურა იმგვარ კომფროტს გიქმნით, თითქოს ფაიტონით სეირნობდეთ. ასე რომ არ ყოფილიყო, თქვენ ვერ გაივლიდით. ვერ დაჯდებოდით და ვერ ადგებოდით. უფრო მეტიც, მცირედი სიმძიმეც კი ზეწოლას მოახდენდა თქვენს ტვინზე და შესაძლოა, მომკდარიყავით კიდეც.

მოვიდა ზეთის შეცვლის დრო?

თუ გაგიგონიათ კარის ჭრიალი? ან თქვენი ველოსიპედის ბორბლის წიკწიკი . . . .? მიზეზი გეცოდინებათ – ზეთის ამოწურვა და ჟანგის მოკიდება. კარგი, როგორ ხდება, რომ 60, 70, უფრო მეტიც, 90, 100 წელს მიღწეული ადამიანების სახსრები საერთოდ რომ არ საჭიროებენ გაზეთვას? მაშინ როცა უახლესი მოდელის ავტომობილებშიც კი საჭიროა ზეთის შეცვლა ხუთი-ათი ათასი კილომეტრის გავლის შემდეგ. როცა მეცნიერები ამ საკითხს დიდი ინტერესით იკვლევდნენ, ერთ საოცრებას მიაკვლიეს. მაჯის, იდაყვის, მუხლის სახსრების ხახუნა ზედაპირები თხელი და ფოროვანი ხრტილის ფენით იყო დაფარული. ამ ფენის ქვეშ იყო ბლანტი და ცქრიალა სითხე, რომელსაც სხეული გამოიმუშავებს თავისით. სახსარზე დატვირთვის მატებისას ეს სითხე ფორებიდან გმოიყოფა გარეთ და ეკვრება სახსრის ზედაპირს ისე, როგორც „ზეთი“. ამ ყველაფერს გაოცებულები აკვირდებოდნენ. ასე რომ არ ყოფილიყო, ავტომობილების მსგავსად თქვენც იძულებული იქნებოდით, რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ შეგე-

ვლოთ საავადმყოფოში და დაგემატებინათ ან გამოგეცვალათ ზეთი.

ღმერთმა, რომელმაც ყველაფერი დახვეწილად დაგეგმა, ადამიანი საუკეთესო ფორმით გააჩინა, რომ საერთოდ არ შეწუხებულიყვნენ და ლოცვის დროს, რუქულისა და სეჯდეს შესრულების დროს ყოფილიყვნენ კომფორტულად. ამიტომაც მათ უნდა შეიცნონ მათთვის ბოძებული ძღვენის ნამდვილი მფლობელი და ღმერთს გადაუხადონ მადლობა.



პანკრეასი ამბობს, რომ!

ჩემი სახელია პანკრეასი. მე ერთ–ერთი ყველაზე პატარა ორგანო ვარ თქვენს სხეულში. მე ერთ–ერთი მომნელებელი ორგანო ვარ. კუჭის ქვემოთ, უკანა მხარე, ვარ. შესახედაობით ძალიან ვგავარ დიდ და გრძელ ფოთოლს.

თქვენ იცით, რომ საჭმლის მომნელებელი ორგანო არის კუჭი. თუმცა, ჩემი მოვალეობაც, მინიმუმ კუჭის მსგავსად, მნიშვნელოვანია. უფრო მეტიც, რომ არ ვიყო, საკვები, რომელსაც იღებთ, თქვენთვის სასარგებლო არ იქნება. იმიტომ რომ მათ ვიტამინებად მე გარდავქმნი.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმი.

ასე აგიხსნით: თქვენ ჯდებით მაგიდასთან ბისმილლით და კარგად ჭამთ და სვამთ. შემდგომ ღმერთს უხდით მადლობას, ასევე დედასაც და მამასაც უხდით მადლობას. შემდეგ დანაყრდებით და ადგებით. თუმცა, ჩემი საქმე სწორედ ამის შემდეგ იწყება. თქვენი კუჭი ფქვავს იმას, რაც თქვენ შეჭამეთ. მათ გადააქცევს ერთგვარ ფაფად და გზავნის წვრილი ნაწლავისკენ, ანუ თორმეტგოჯა ნაწლავში. მასში არის მჟავეები, რომლებიც კუჭიდან გადადის, ამ მჟავეებს შეუძლიათ გახვრიტონ ნაწლავები. აი, ზუსტად ამ დროს ითხოვს ნაწლავი ჩემგან დახმარებას. მე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმივით ვარ, უპირველეს ყოვლისა, მას ვუგზავნი კარბონატის მოლეკულებს, რომლებიც ერევა მჟავას და ხდის უვნებელს.

კარგი, თორმეტგოჯა ნაწლავის დახმარების სიგნალი როგორ შემიძლია გავიგო? მასში შემავალი მჟავეების გასანეიტრალებელ მოლეკულებს ცეცხლმაქრი თვისებებით როგორ ვაწარმოებ? უფრო მეტიც, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმის მსგავსად, ერთი წამის დაგვიანების გარეშეც კი მაშინვე როგორ ვუსწრებ? აი ეს არის ღვთიური საიდუმლოება, რომელსაც ადამიანის გონება ვერ აღიქვამს. . . .

ფარული შეტყობინება საგანგებო კოდით!

მეორე მხრივ, ეს ცხიმოვანი, სახამებლიანი, პროტეინიანი საკვების ნაწილაკები ჯერ კიდევ არ არიან იმ კონსისტენციის, რომ სისხლს შეერიოს და გარდაიქმნას ვიტამინად. ასე რომ წვრილ ნაწლავს არ შეუძლია მათი მონელება, მე კი კუჭთან კონტაქტურად ვმუშაობ. იმ მომენტში, როცა კუჭი იწყებს საკვების ნაწილაკების გაგზავნას ნაწლავებში, კუჭი სისხლის საშუალებით მიგზავნის შეტყობინებას, ანუ ქოლეცისტოკინს. თქვენ ეს შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ჩვეულებრივ შეტყობინებად, რომელიც ტელეფონით იგზავნება. ქოლეცისტოკინის შეტყობინებების, რომლებშიც მითითებულია სპეციალური კოდები, წაკითხვა მხოლოდ მე შემიძლია.



მე მაღვიძარასავით ვარ, მაშინვე ვიწყებ მოქმედებას. შევხედავ, თუ თქვენ მიერ მიღებული საკვები ცხიმიანია, მაშინ მომნელებელ ფერმენტს, რომელსაც ლიპაზა ეწოდება, ვაგზავნი ნაწლავში; თუ პურის, მაკარონის მსგავსი სახამებლის შემცვლელი საკვები გაქვთ მიღებული, მაშინ ვგზავნი ამილაზის ფერმენტებს; ხოლო თუ ხორცის, კვერცხის მსგავსი პროტეინის შემცვლელი საკვები გაქვთ მიღებული, ამჯერად

გამოვყოფ განსხვავებულ ფერმენტებს – ტრიპსინსა და ქიმიოტრიპსინს, რომ მიღებული საკვები შეერიოს სისხლს და თქვენთვის გარდაიქმნას ენერგიად.

როგორ ვკითხულობ შეტყობინებების კოდებს?

საიდან ვიცი, რა შეჭამეთ?

ვისგან ვისწავლე ყველა ამ ფერმენტის გამომუშავება?

მე ისეთი უდიდესი ქიმიური ლაბორატორია, კომპიუტერი ვარ და ასე შემდეგ – ასეთ რამეს არ ვამბობ! თქვენი ინტერესი კარგად მესმის, მაგრამ.... აი, ეს ჩემი საიდუმლოა! ნება მომეცით ჩემთვის დავიტოვო!

ტორტები, ლიმონათები, ნაყინები . . .

რათქმაუნდა, ის საქმეები, რომლებსაც თქვენთვის ვასრულებ, მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. მე ასევე ვარეგულირებ სისხლში შაქრის შემცვლელობას და ამით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მოვალეობას ვასრულებ. რათქმაუნდა, თქვენ როცა გინდათ, მიირთმევთ ტორტს, ჩაის. სიცხეში მიირთმევთ ნაყინს, გრილდებით ცივი ლიმონათით. თუმცა, არ ფიქრობთ



იმაზე, სჭირდება თუ არა თქვენს სხეულს ამდენი შაქარი. თქვენ მიერ მიღებული საკვების შემცველობაში არსებული მთლიანი შაქარი სისხლს რომ შეერიოს, ღმერთმა დაგვიფაროს, შაქრის კომაში ჩავარდებით! თქვენი ყველა ორგანო შეწყვეტს ფუნქციონირებას, ვეღარ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას! აი, ასეთი მომაკვდინებელი საფრთხისგან მე გიცავთ!

ამას როგორ ვაკეთებ? აგიხსნით :

მე მუდმივად ვაკონტროლებ სისხლში შაქრის შემცველობას, ზუსტად ვზომავ. თქვენ როცა ტკბილ საკვებს შეჭამთ, სისხლში შაქრის შემცველობა აიწევს თუ არა, მაშინვე გამოვყოფ ინსულინის ჰორმონს და შემყავს სისხლში. თუ თქვენთვის საჭირო ტკბილ საკვებს არ მიიღებთ, ამჯერად დაიწევს შაქრის შემცველობა. ამ დროს მე სისხლში შემყავს გლუკაგონის ჰორმონი. ამგვარად, თქვენს სისხლში შაქრის შემცველობა მუდმივად გაწონასწორებულია, რათქმაუნდა, მანამ, ვიდრე ავად არ გახდებით . . .

გამოიყენეთ თქვენი ენერგია!

ახლა დაფიქრდით აბა:

მე ჩემი მოვალეობა რომ არ შემესრულებინა და თქვენ იძულებული ყოფილიყავით, გეკონტროლებინათ სისხლში შაქრის შემცველობა, რა მოხდებოდა? შესაძლოა, ცოტა ზემდეტი ნაყინის მიღების შემდეგ იძულებული იქნებოდით, რამდენიმე დღის განმავლობაში სხვა რაიმე ტკბილი საკვების მიღებაზე უარი გეთქვათ. ხანდახან კი პირიქით, იძულებული იქნებოდით, ბევრი ტკბილი საკვები მიგეღოთ. უფრო მეტიც, ყოველ წუთს სისხლში შაქრის შემცველობის გაზომვაც მოსაბეზრებელია!

აი, უკვე შემიძლია გითხრათ ჩემი ბოლო სიტყვა:

ყველაზე გემრიელი ტკბილეულის მიღებისას, სასმელის დალევისას მე გამიხსენეთ. ამ საკითხთან დაკავშირებით, თქვენს სხეულში შესასრულებელი სამუშაო კი მე მომანდეთ, თქვენ კი ყველაფერი ერთად არ მიიღოთ და ჩემ მიერ გაგზავნილი სეკრეციები არაეფექტური არ გახადოთ, თორემ ჯანმრთელობის მდგომარეობა გაგიუარესდებათ. და გთხოვთ, არ დაივიწყოთ ღმერთი, რომელმაც ეს მშვენიერი ძღვენი გიბოძათ!

გაიხსენეთ ჩემი და შენი გამჩენი და თქვენი ენერგიის ერთი ნაწილი ცოდნის მიღებისთვის, ყურანის კითხვისა და სხვა სასიკეთო საქმეებისთვის გამოიყენეთ, კარგი?

მოლაპარაკე თმები!

ჩემი თავის გვირგვინი.

როცა დილით იღვიძებთ და სარკეში იყურებით, მე მვარცხნით. მე მაძლევთ ისეთ ფორმას, როგორიც მოგწონთ. გოგონები მე ფერად-ფერად თმისაბმევებს მაკრავენ და უფრო მალამაზებენ. ბიჭები სხვადასხვა სტილით იჭრიან და სიმპათიურდებიან.

ვიღაცაში შავი ფერის ვარ, ვიღაცაში — ოქროსფერი, ქერა, ვიღაცაში კი — თვალისმომჭრელი, ღია თაფლისფერი. დიახ, მე, მართლაც, თქვენს ცხოვრებას სილამაზეს, ესთეტიკურობასა და მოხდენილობას ვმატებ. მე, გვირგვინის მსგავსად, თავის ზემოდან ვარ. დიახ, მე თქვენი თმა ვარ.

ყველამ იცის თავისი რიგი

მე ადამიანის თავზე, დაახლოებით, 100-120 ათასი ცალი ვარ. ყოველდღე, დაახლოებით, 50-100 თმის ღერი გცვივათ და მათ ნაცვლად ახლები ამოდის. ახლად ამოსული თმები დღეში 0,03-0,04 მილიმეტრით იზრდება ანუ ერთი მესამედი მილიმეტრით. მე ალლაჰმა ისეთი უნაკლო პროგრამით შემქმნა, რომ ჩემი ღეროები თავის სხვადასხვა ადგილიდან ცვივა. ასე რომ არ იყოს და ერთდროულად ათასობით თმის ღერი ერთი და იმავე ადგილიდან რომ ცვივოდეს, დაფიქრდით, რა მოხდებოდა. ყველგან თმის ღეროები გექნებოდათ მიმოფანტული. თანდათან გამელოტდებოდით. შესახედაობა ძალიან დაგიმახინჯდებოდათ, ეს კი გახდებოდა თქვენი სიმახინჯის მიზეზი, რადგან მე თქვენი სილამაზის სიმბოლო ვარ.

უცნაური არსების მსგავსი.

საერთოდ თუ მიგიქცევიათ ყურადღება, რომ ახალშობილები ხანდახან ხშირი თმით იბადებიან, მაგრამ მოკლე ხანში მთლიანად ცვივათ თმა. ეს იმიტომ რომ გაცვენილი თმები ერთ პერიოდშია ამოსული. თმების მთლიანად გაცვენასა და ახლის ამოსვლას სამი-ოთხი წელი სჭირდება. ოდესმე თუ გიფიქრიათ? წარბები, წამწამები ან სხეულის სხვადასხვა ნაწილში არსებული ბეწვები თმების მსგავსად წლების განმავლობაში შეუჩერებლად რომ იზრდებოდეს, რა მოხდება? ადა-

მიანი რამდენად უცნაურ არსებას დაემსგავსებოდა, არა? ან წარმოიდგინეთ, ჩვენი თმები მხოლოდ წამწამების ზომის რომ იზრდებოდეს!

მადლობა ალლაჰს, რომელმაც ასეთი სასწაული და უნაკლო გაგვაჩინა!



თუ მტკივა!

დანახული გექნებათ, თქვენი უმცროსი ძმის (თუ გყავთ) ან თქვენ ირგვლივ თმის შესაჭრელად დალაქთან მიყვანილი ბიჭების ტირილი, რადგან მათ ჰგონიათ, რომ თმის შეჭრისას ეტკინებათ. მართლაც, თქვენი სხეულიდან აღმოცენებული ცოცხალი უჯრედებისგან შემდგარი თმები შეჭრისას ხომ უნდა გეტკინოს? თუმცა, აქ ჩვენი შემოქმედის ისეთი სასწაული ხდება, რომ სრულიად უმტკივნეულოდ იჭრით და ყრით თქვენი სხეულის ერთ-ერთ ნაწილს, ანუ ჩვენ, თმებს.

ეს როგორ ხდება? ჩვენ, თმები, ვყალიბდებით ფოლიკულად წოდებული ერთგვარი მილის მსგავსი ფორებისთვის.

აქ არსებული ცოცხალი და მგრძნობიარე უჯრედები, თმის უჯრედების ჩამოყალიბების შემდეგ, თმის ღეროების ჯანსაღად გაზრდისათვის კვდებიან. ამგვარად, თმის ღეროები ყალიბდება ცოცხალი უჯრედებით, შემდეგ კი იზრდება მკვდარი უჯრედების სახით. თქვენც თმის შეჭრისას არ გტკივათ, რადგან იჭრება მკვდარი უჯრედები. ხოლო თმის ღერის ძირიდან ამოღების შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. ამჯერად გტკივათ. მაგრამ არ იდარდოთ. ფოლიკულა თქვენთვის მაშინვე ახლის შექმნას იწყებს, თანაც ზუსტად იმნაირის . . .

ფოლადის ბაგირის მსგავსი . . .

თქვენ არ მიაქციოთ ყურადღება იმას, რომ ჩემი ღეროები ასეთი წვრილია. ჩემს ერთ ღეროს შეუძლია თავის წონაზე 100-ჯერ მეტ სიმძიმეს გაუძლოს ანუ ათი თმის ღეროს შეერთებით შეგიძლიათ აიღოთ ერთკილოგრამიანი ნივთი. ახლა დაფიქრდით! თავზე არსებულ 100 ათასი თმის ღერს თუ ერთად შევკრავთ, შესაძლებელია 10 ათასკილოგრამიანი (10 ტონიანი) ტრაილერის ადგილიდან დაძვრა. აი, ეს კი ჩვენი გამჩენის ხელოვნებაა! არაფერია ისეთი, რისი ძალაც არ შესწევს ღმერთს.

უდიდესი მადლობა!

თქვენ გაქვთ თმები, რომლებიც უფრო გალამაზებთ! თურმე თქვენი გულის სილამაზე და კეთილშობილება თქვენს სახეზე აისახება. თქვენ გაქვთ სხეული, რომელიც ყველა მის შემადგენელ ნაწილსა და ორგანოსთან ერთად საოცრად ჰარმონიულად მუშაობს. ღმერთმა თქვენ ყველაზე ლამაზი ფორმით გაგაჩინათ და გიბოძათ სული. თქვენ ამ სამყაროში თავისი ხელოვნების სილამაზის გამოვლინება ხართ.! მოდით ჩვენც ვიყოთ ერთ-ერთი მათგანი იმ ადამიანთა შორის, რომლებიც ღმერთს მადლობას უხდის.

ო, ღმერთო ჩემო! ამქვეყნად მოვლენილი და ამქვეყნიდან წასული ადამიანების თმების რაოდენობის მადლობა შენ!



აალაპარაკეთ თქვენი ფრჩხილები!

ის, რასაც ფრჩხილს უწოდებ . . .

უზენაესმა ღმერთმა მე თქვენი თითების დაბოლოებაში გამაჩინა. შეიძლება თქვენი სხეულის უსულო შემადგენელ ნაწილად მიმიჩნევთ, რომელსაც

მოიჭრით და გადააგდებთ. მაგრამ, მომისმინეთ აბა, რაღაც უნდა გითხრათ. ვნახოთ, აბა, მართლაც, ასეა თუ არა!

ახლა მარჯვენა ხელი წინ გაშალეთ ისე, რომ ხელის ზედა ნაწილი ჩანდეს. კარგად დააკვირდით თქვენი თითის დაბოლოებას. დამინახეთ არა, მე თითოეულ თითზე სხვადასხვა ფორმა მაქვს, გამჭვირვალე ვარ, მოვარდისფრო შეფერილობით, არც ძვალივით — მაგარი და არც ხორცივით — რბილი. იმიტომ რომ ღმერთმა თქვენი მსახურებისთვის გამაჩინა. მაგალითად, ჩემი სტრუქტურა მყარი და მოქნილია, რაიმე თხელ საგანს ხელში ჩემი საშუალებით იჭერთ. ასევე ჩემი თხელი დაბოლოებებითა და სტრუქტურით შეგიძლიათ მოიქავოთ ნებისმიერი ადგილი.

დავხაზოთ, აბა!

მე რომ არ ვყოფილიყავი, ძალიან რბილი თითის დაბოლოებები გექნებოდათ. მცირედი დარტყმისა და წნეხის შემთხვევაში გაიჭყლიტებოდა ან დაზიანდებოდა. ფრჩხილების გარეშე თითების დაბოლოებებით ერთ პატარა ტომარასაც კი ვერ დაიჭერდით და ვერ ატარებდით. დაფიქრდით აბა, მე რომ არ ვყოფილიყავი, ცარცით დაფაზე დაწერდით? რამდენად გაგიჭირდებოდათ რვეულში ფანქრით რაიმეს დაწერა? შეუძლებელი იქნებოდა, თქვენთვის სასურველი ხაზები გაგევლოთ.

კარგი, მე მხოლოდ ხელებისთვის ვარ სასარგებლო? რათქმაუნდა, არა! ჩემი წყალობით ფეხის თითის დაბოლოებები მყარი გაქვთ და უკეთესად ეჭიდებით ყოველი ნაბიჯის გადადგმისას. ამგვარად ზრდის თქვენს ძალას და უფრო სწრაფად და მხნედ შეგიძლიათ სიარული. მე თუ არ ვიქნები, თითის დაბოლოებებით ვერავითარ სარგებელს ვერ მიიღებდით.

მკვდარი ვარ თუ ცოცხალი?

მე, ისევე როგორც თქვენი თმები, საკუთარი ფესვებიდან ვიზრდები. დაიხედეთ აბა ფრჩხილებზე. ფრჩხილის ხელთან შეერთების წერტილში დაინახავთ თეთრ ნაწილს. ეს ადგილი ყველაზე თხელი და მგრძნობიარე ადგილია. ცოტა უფრო შიგნით ჩემი ფესვებია. მე, აი, აქედან ვიბადები და ვიზრდები. ჩემს ფესვებში არსებული უჯრედები ცოცხალია და აწარმოებს ქერატინს, რომელიც მკვდარი უჯრედებისგან შედგება. შემდეგ მათ ნელ–ნელა წინ უბიძგებს. ამგვარად, მე კანქვეშიდან გარე მიმართულებით ვიზრდები. ხოლო ჩემი ის ნაწილი, რომელსაც ხედავთ და რომლითაც ეხებით რაიმეს, მთლიანად მკვდარი უჯრედებისგან შედგება.



დაფარული ინფორმაციების ეკრანი

აქ ახლა ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ. რადგან მკვდარი უჯრედებისგან შევდგები, ასე უბრალოდაც ნუ ჩამთვლით. მე ერთგვარი ეკრანი ვარ, რომელიც გაწვდით ინფორმაციას სხეულში არსებული დაავადებების შესახებ. ისეთი გასაოცა-

რი თვისებები მაქვს, რომ ჯერ კიდევ მეცნიერებსა და ექიმებსაც კი სრულად ვერ ამოუხსნიათ ჩემი საიდუმლოებანი. მაგალითად, თუ ადამიანი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, ან მავნე სასმელებს სვამს, მე ავსახავ სხეულის დაზიანებას ლაქების ან ნაპრალების სახით.

ექიმებს ჩემზე შემოხედვით შეუძლიან მრავალი დაავადების შესახებ გაიგონ. მაგალითად, თუ მე ზედმეტად რბილი ვარ, ეს იმას ნიშნავს, რომ კალციუმის, რომელიც აძლიერებს ძვლებს, ფტორისა და სხვა მსგავსი ვიტამინების ნაკლებობა მაქვს. თუ ფერი შემეცვლება, ეს იმას ნიშნავს, რომ სხეულში არსებობს ეგზემა, ფსორიაზი და სხვა მსგავსი დაავადებები. მაგალითად, თუ ყვითელი ფერის და შეშუპებული ვარ, ეს, დიდი ალბათობით, სასუნთქი გზების დაავადების ნიშანია. აი ასე, მე მაშინვე გატყობინებთ ბევრი დაავადების შესახებ, რომლებიც უკვე წარმოქნილია თქვენს სხეულში და მისი სწრაფად დიაგნოსტირება რთულია, ამიტომ უნდა დაიცვათ თქვენი ჯანმრთელობა და უფრო ყურადღებით იყოთ.



ფრჩხილების მოვლა!

ჩემი სიგრძე თვეში ნახევარი სანტიმეტრით იზრდება. ფეხებზე კი უფრო ნელა ვიზრდები. იცით თუ არა რომ, მე ყველაზე უკეთ ჩვენი შუამავალი (სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ) მივლიდა. ის ყოველ პარასკევს გვამოკლებდა. მუდმივად გვასუფთავებდა ფესვებამდე. უფრო მეტიც, ჭამამდე, ჩვენი

დაბანის გარეშე, მაგიდასთან არ ჯდებოდა. ჩვენ მის თითებზე ვარდისფერი და მბზინავი ვიყავით. ჩვენს შუამავალს არ მოსწონდა ისეთი ადამიანები, რომლებიც არ გვჭრიდნენ და არ გვასუფთავებდნენ. ჩვენი შუამავალი ამ პიროვნებებს აფრთხილებდა, მათ ვინაობას არ ამხელდა და ასე ბრძანებდა:

„თქვენში არიან ისეთები, რომლებიც ინტერესდებიან მნიშვნელოვანი ინფორმაციებითა და სიახლეებით, ხოლო ფრჩხილები დაგრძელებული აქვთ, როგორც ჩიტს ბრჭყალები და ფრჩხილის ძირები უგავთ სიბინძურისა და ჭუჭყის ბუდეს“ (აჰმედ ბინ ჰამბელ მუსნედ V გვერდი 427).

ახლა მინდა რაღაც გთხოვოთ. როგორც იცით, ჩვენი შუამავალი ზოგიერთ ახალ გამუსლიმებულ საჰაბეს აფრთხილებდა, რომ ფრჩხილები დაეჭრა და გაეწმინდა. . . შესაძლოა თქვენს ფრჩხილებს ჩვენი შუამავალი ვერ დაინახავს, მაგრამ თქვენ ასე წარმოიდგინეთ . . . .ყოველ პარასკევ დღეს, ჩვენი შუამავლის სულისთვის სალავათის წაკითხვისას, წინ გაშალეთ ხელები და წარმოთქვით, რომ „შეხედეთ საყვარელო შუამავალო, ფრჩხილები დავიჭერი და თანაც გავიწმინდე. ჩემი ფრჩხილები ზუსტად ისეთივეა, როგორიც თქვენი“ . . .



დნმ – ი განმარტავს თავის საიდუმლო კოდებს!

სანამ თქვენ გაჩნდებოდით, ჩვენ მზად ვიყავით!

მე განვსხვავდები სხეულის ყველა იმ ორგანოსა და ნაწილისგან, რომლებიც თქვენ აქამდე გისწავლიათ. მეცნიერებმა მხოლოდ 1950 წელს აღმომაჩინეს. გამომდინარე იქიდან, რომ ატომებისა და

ერთმანეთთან დაკავშირებული მჟავის მოლეკულებისგან შევდგები, მე დნმ (დიზოქსირობონუქლეინმჟავა) მიწოდეს. ალლაჰმა მე პირველი ადამიანის, ადამის, შექმნისას მის სხეულში მომათავსა. ანუ სანამ თქვენ გაჩნდებოდით, ჩვენ მზად ვიყავით, როგორც თქვენი დნმ.

საიდუმლოში საიდუმლო, მასში კი კიდევ სხვა საიდუმლო!

ჩემი ადგილი თქვენი უჯრედის ბირთვშია. იმდენად პატარა სტრუქტურა მაქვს, რომ ადამიანის სხეულში არსებული 100 ტრილიონი (100.000.000.000.000) უჯრედიდან თითოეული მათგანის ბირთვში, უწვრილესი ქრომოსომის სიმებში, ვარ. თქვენ მიკროსკოპითაც რომ დამაკვირდეთ, ვერ დამინახავთ, თქვენს სხეულში არსებული ყველა დნმ რომ ერთად შევაგროვოთ ერთი შაქრის კუბიკისოდენაც კი არ იქნება. თუ იმ სამუშაოს შესახებ მოგიყვებით, რასაც უჯრედის შიგნით ვასრულებ, გაგიჟდებით. უფრო მეტიც, მეცნიერებმა, რომლებმაც ჩემს კვლევაში გალიეს სიცოცხლე, მთლიანად ვერ აღმოაჩინეს ჩემი საიდუმლოებანი, ჩემ შესახებ მათ მიერ მოპოვებული ყოველი ახალი ინფორმაცია მათ უფრო და უფრო აოცებდა.

მილიონობით წიგნი ერთ პატარა წერტილში!

ახლა მოგიყვებით ჩემ შესახებ. როცა გაიგებთ ჩემში არსებული საოცარი სასწაულების შესახებ, იტყვით: „ალლაჰო ჩემო, შენი შესაძლებლობა რამდენად დიდია!“

ჩვენ, დნმ-ები, თქვენი სხეულის საინფორმაციო საწყობი ვართ. მაშინ, როცა თქვენ დედის საშვილოსნოში ჯერ კიდევ ახლადგანაყოფიერებული უჯრედი იყავით, ჩვენს მოლეკულებში უკვე იყო ინფორმაცია იმის შესახებ; გოგო იქნებოდით

თუ ბიჭი, როგორი კანის ფერი გექნებოდათ, გრძელი კისერი გექნებოდათ თუ მოკლე, რა ფერის თვალები და თმები გექნებოდათ, რომელი ორგანო გექნებოდათ ჯანმრთელი ან სუსტი და სხვა. თქვენი სხეულის ყველა გეგმა, პროექტი და რუკა, უმცირესი დეტალის ჩათვლით, ჩვენში იყო შენახული. ყველა ეს ინფორმაცია თავმოყრილი იყო მილიმეტრის ერთი მემილიარდედისოდენა ატომების ერთმანეთთან დაკავშირებით, ანუ მოლეკულებისგან შექმნილი ჯაჭვის შიგნით ისე, რომ ეს ჯაჭვები მილიონობით ინფორმაციას ატარებდა, რომელიც 1000 ტომეულ, 500 გვერდიან, ენციკლოპედიას უდრის.



უფრო მეტიც, ჩვენი წიგნის ანბანი მხოლოდ ოთხი ასოსგან შედგება. ამ ოთხ ასობგერას (ა, თ, გ, ჯ) განსხვავებული პაროლები აქვს. ყველა ადამიანში ჩვენი პაროლები განსხვავებულია, გამომდინარე აქედან, დნმ თქვენი პირადი ნომერია, სხვა მნიშვნელობით, უზენაესის ხელმოწერაა, უფრო მეტიც, ადამიანის ბედისწერაა. წარმოიდგინეთ აბა, ყველა ეს ინფორმაცია არის ყველა იმ ადამიანში, რომლებიც დღემდე მოევლინენ დედამიწას და რომლებიც ამის შემდეგ წარვღნამდე მოევლინებიან. . . . ხოლო იმავეს სხვა ცოცხალ ორგანიზმებზეც თუ

წარმოიდგენთ, რამდენი ტრილიონტომიანი წიგნი გამოვიდოდა? შეუძლებელია ეს ადამიანის ტვინმა წარმოიდგინოს! უზენაესი ღმერთი, რომელმაც არაფრისგან გაგვაჩინა, ბრძანებს, რომ **„ალლაჰის სიტყვების დასაწერად მსოფლიოში ყველა ხე — კალმად, ხოლო დედამიწაზე არსებულ ზღვებს კიდევ შვიდი ზღვა რომ დამატებულიყო და მელნად გამოყენებულიყო, მაინც არ იქნებოდა საკმარისი ალლაჰის სიტყვების (ინფორმაციის) გადმოსაცემად. ალლაჰი ასეთი დიდი, ასეთი საოცარია“** *(სურა ლუყმან, 27-ე აიათი).*

კომპიუტერის პროგრამები ვინ შექმნა?

თქვენი აზრით, ვინ განსაზღვრავს ჩვენში არსებული ინფორმაცია რა დროს სად უნდა გამოიყენებოდეს? მაგალითად, კისერი რომელ ასაკში რამდენი სანტიმეტრი გექნებათ? თვალის ფერი დაბადებიდან რამდენ თვეში შეგეცვლებათ და საბოლოო შეფერილობას როდის მიიღებს? დედისგან, მამისგან გადმოსული თვისებები და შესაძლებლობები როდის გამოიკვეთება? ასევე ვინ რომელი მემკვიდრეობითი დაავადებით დაავადდება? ორგანოს ან უჯრედების დაზიანებისას ვის შეუძლია იცოდეს, რომ დაზიანებული უჯრედის ნაცვლად ახალი უჯრედი როგორი უნდა იყოს? რა თქმაუნდა, ამ ყველაფრის მცოდნე და განმსაზღვრელი თქვენი დნმ-ია.



კარგით, მიუხედავად იმისა, რომ ყვე-

ლა უჯრედში სხვადასხვა ფორმით ვართ, როგორ ხდება, რომ მთელ სხეულში ერთსა და იმავე მომენტში ერთსა და იმავე სამუშაოს ვასრულებთ? ერთმანეთთან როგორ ვამყარებთ კავშირს? მეტიც, იმ უჯრედის სხვა პატარა ორგანოებთან ერთად, რომლებშიც ჩვენ ვართ განთავსებული, როგორ შეგვიძლია შეთანხმებულად/ჰარმონიულად მუშაობა? ყოველი ადამიანის სხეულში ერთი და იგივე სამუშაოები სრულდება, თანაც შეუჩერებლად!

დაფიქრდით აბა! ჩვენ ასე სასწაულად ვინ დაგვაპროგრამა? ასეთი სასწაული წესრიგი შეიძლება შემთხვევით ან ისე უბრალოდ, თავისით შექმნილიყო? რათქმაუნდა, არა! ყველაფერი ეს უზენაესი ღმერთის უსასრულო შესაძლებლობაა. შეუძლებელია ეს ყველაფერი აღიქვას ადამიანის ტვინმა!

ვის შესწევს უნარი?

ატომების, რომლებსაც არც ჭკუა და არც გრძნობა არ აქვთ, შეერთებით წარმოქმნილი მოლეკულებისგან შემდგარი დნმ-ი ასე გასაოცრად როგორ ასრულებს სამუშაოს, რომელიც აღემატება ადამიანის ტვინის შესაძლებლობებს? სინამდვილეში ეს მთლიანად ჩვენი გამჩენის შედევრია ... ასე აგიხსნით: დავუშვათ, ხელში აიღეთ ყველაზე კარგი მახასიათებლების მქონე ტელეფონი, გამოიყენეთ და გაოცდით მისი შესაძლებლობებით, სინამდვილეში ვისით ხართ გაოცებული? რათქმაუნდა, ვინც ეს ტელეფონი გამოიგონა, არა? მაგალითად, წარმოიდგინეთ ტელეფონი, რომლითაც შესაძლებელია ვიდეოზარის განხორციელება. ამ მოწყობილობით ვიდეოზარის განხორციელება ტელეფონის უნარია თუ იმ ინჟინრის, ვინც ის შექმნა და დააპროგრამა? აი, ჩვენს შემთხვევაშიც ზუსტად ასეა . . ჭეშმარიტი უნარი და სრულყოფილება ჩვენს ატომებს კი არა, მათ გამჩენს ეკუთვნის. . . ანუ ალლაჰს, რომელმაც

ატომებში მოათავსა ეს უნარები და დააპროგრამა ატომები . . . თორემ, იგივე ატომები ქვაშიც არის და მიწაშიც. . . .

და ბოლოს, არ დაგავიწყდეთ, რომ უზენაეს ღმერთს ძალიან უყვარხართ, რადგან მან ადამიანებად გაგაჩინათ. ასევე თქვენში მოათავსა დედისა და მამის დნმ-ები, რომ არ დაგავიწყდეთ, ვინ ხართ, საიდან მოხვედით, ვისი შთამომავალი ხართ . . .

არ დაგავიწყდეთ, რომ განკითხვის დღეს უნდა წარმოთქვათ შემდეგი: „ღმერთო ჩემო, ჩემი გამჩენი შენ ხარ! მე დედამიწაზე მხოლოდ შენი მსახური ვიყავი! ახლაც ასეა! შენ განმკურნე შენი წყალობით, რომ შევძლო სამოთხეში შესვლა“.



მზად ხართ, ჩემთან ერთად იმოგზაუროთ მსოფლიოს გარშემო!

მოჩუხჩუხე მდინარეები

ჩვენ თქვენი სისხლძარღვები ვართ. ჩვენ მთლიანად ვფარავთ თქვენს სხეულს, როგორც ობობას ქსელი. თქვენს სხეულში არ არის წერტილიც კი, ჩვენ

რომ ვერ ვსწვდებოდეთ. იცოდით, რომ თუ ჩვენ ერთმანეთზე გადაგვაბამთ, ჩვენი სიგრძე 100 ათას კილომეტრამდე იქნება? ეს კი დედამიწის ეკვატორის სიგრძეზე ორნახევარჯერ მეტია. თანაც მხოლოდ ერთი ადამიანის სხეულში არსებული სისხლძარღვები. დიახ, ჩვენ ყოველ წუთს, ყოველ წამს სისხლს ვაწვდით სხეულის ყველა უჯრედს, სადაც არ უნდა იყოს. როგორც ნაკადული, მდინარე, რომელშიც მუდმივად მოედინება წყალი . . .

თქვენთვის 100.000.000 (ასი მილიონი) მეტრის ძაფი რომ მოეცათ და ეთხოვათ, რომ მოგეთავსებინათ ადამიანის სხეულის ზომის რაიმე ჭურჭელში, რას გააკეთებდით? დაფიქრდით აბა! მაგრამ ისე, რომ ყველა ადგილამდე აღწევდეს და არ აიბუნდოს ერთმანეთში . . . შეძლებდით? შეუძლებელია! ამას მსოფლიოში ვერცერთი არქიტექტორი, ვერცერთი ინჟინერი ვერ შეძლებს, რომც გაერთიანდნენ მაინც, . . . რადგან ჩვენ უზენაესი ღმერთის უნიკალური ხელოვნების ნიმუში ვართ . . . .

ყველა სახლისთვის ერთი და იგივე შეკვეთა!

წარმოიდგინეთ, თქვენი სხეული ქალაქია, სადაც ასი ტრილიონი სახლია განთავსებული. აი, ჩვენ ამ ას ტრილიონ სახლთან ცალკ–ცალკე დაკავშირებული ასობით კილომეტრის სიგრძის მილებს ვგავართ. ჩვენში რაიმე გაუმართავობა თუ მოხდება, თქვენი ცხოვრება აირევა, რადგან თქვენი უჯრედები ვეღარ მიიღებენ ჟანგბადს, რომელსაც ჩვენ ვაწვდით და მოკვდებიან. ვერ მიიღებენ საკვებ მოლეკულებს და მაშინვე გაჩნდება ავადმყოფობა. როგორც იცით, თქვენს სამყაროში დროდადრო იკეტება გზები, შემდეგ შეკეთება წარმოებს, ან თავიდან კეთდება. მაგრამ ჩვენ არასდროს ვიკეტებით, ვიდრე ავად არ გახდებით. თავიდან გაკეთებაც არ გვჭირდება. რადგან უზენაესმა ღმერთმა ჩვენ ასე სრულყოფილი შეგვქმნა. თანაც თქვენს დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე. . . .

არ გაიხევა, არ გასკდება!

თქვენ მეცადინეობთ, დარბიხართ, იხრებით და იშლებით, უფრო მეტიც, დახტიხართ ან ხელებზე დგებით, მაგრამ ჩვენ არც ვცდებით, არც ვიხევით და არც ვძველდებით. ვაგრძელებთ, რომ სისხლი იმავე სიჩქარითა და წარმატებით გავატაროთ ჩვენში.

ყოველდღე თქვენი გულის მიერ გადატუმბულ 8-10 ათას ლიტრ სისხლს ვატარებთ ჩვენში. თანაც ისეთ თხელ, ვიწრო



სისხლძარღვებში, რომ თქვენ ვერცკი შეძლებთ თვალით დანახვას. დიახ, არასწორად არ მოგესმათ, ზოგიერთი ჩვენგანი ისეთი თხელი, ისეთი წვრილია, რომ მათი დიამეტრი ექვსი მეათასედი მილიმეტრია (0,006). თქვენი სისხლის ერთ წვეთში არსებული 250 მილიონი ერითროციტისგან ერთიც კი ვერ გაივლის ჩვენს კაპილარებში ისე, რომ მისი გავლისთვის დავიწროება, მოქნილობა, ანუ გაგრძელება ან ფორმის შეცვლა არ მოხდეს. ჩვენ კი მათ სავალ ადგილებს ვასველებთ, ვუმარტივებთ მოძრაობას. ჩვენ ასეთი მოქნილი და სრიალა რომ არ ვიყოთ, გულის მიერ მაღალი წნევით გადატუმბული სისხლი და-

გვხევდა ან გაგვხეთქავდა, ან ჩავიკეტებოდით და უსისხლოდ დარჩენილი თქვენი სხეულის უჯრედები დაავადდებოდა განგრენით. ორივე შემთხვევაში თქვენი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ იქნებოდა.

ავისგან გაწმენდის ობიექტი

ჩვენ ერთი მხრიდან სუფთა სისხლს ვეზიდებით, ხოლო მეორე მხრიდან — დაბინძურებულ სისხლს ვწმენდთ. ფილტვებში გაწმენდილ ახალ სისხლს გული ტუმბავს ორგანოებსა და ქსოვილებში. ეს სუფთა სისხლი ჩვენ, არტერიებს, გადაგვაქვს უჯრედებში. მავნე ნივთიერებებში არსებული სისხლი კი ჩვენ, ვენებს, გადაგვაქვს გულის მარჯვენა პარკუჭში. გულის მარჯვენა პარკუჭში შემავალ სისხლს გული გადატუმბავს, ხოლო ჩვენ გადაგვაქვს ფილტვებში, სადაც სისხლი კვლავ იწმინდება.

სისხლის გაწმენდის მეორე ადგილი თირკმლებია. კვლავ ჩვენი საშუალებით სისხლი მიეწოდება თირკმლებს. როცა თირკმლებამდე ვაღწევთ, წვრილი და მრგვალი ვხდებით. ბამბის ბურთულაკების მსგავსად ერთმანეთს ვეკვრით. ჩვენ გარს გვაკრავს ბუშტი. ჩვენ ფილ-



ტვებში 3-5 კი არა, არამედ, დაახლოებით, მილიონ ორასი ათასი ცალი (1.200.000) ბურთულაკი ვართ. ჩვენში გამავალ სისხლს აქ ვფილტრავთ. სხეულისათვის სასარგებლო ნივთიერებებს ვინახავთ, ხოლო მავნე ნივთიერებებს ვტოვებთ, მავნე ნივთიერებებს ათასობით სასარგებლო ნივთიერებას შორის ვცნობთ და მათ ვაცალკევებთ. შემდგომ კი მავნე ნივთიერებები შარდის სახით გამოიყოფა გარეთ. გაინტერესებთ, ჩვენ ეს ყველაფერი როგორ ვისწავლეთ და ამ ყველაფერს როგორ ვაკეთებთ, არა? რათქმაუნდა, ღმერთის დავალებით. ჩვენ სასარგებლო ნივთიერებები რომ არ შევინახოთ და მავნე ნივთიერებები არ გადავყაროთ, მაშინვე ავად გახდებით.

ახლა მინდა ერთი რჩევა მოგცეთ. როგორც ჩვენ არ გვსურს დავიტოვოთ მავნე ნივთიერებები, თქვენც გულში არ დაიტოვოთ ცუდი ზრახვები და აზრები! თუ, სურვილის მიუხედავად, ცუდად, შეუფერებლად იქცევით, მაშინვე ალლაჰს შეეფარეთ და მოინანიეთ. ამით კი თქვენი სიტყვები, ქცევები და სინდისი გაიწმინდება. აი, მაშინ კი, როგორც ჩვენ მოგვაქვს სარგებელი უჯრედებისთვის ჟანგბადითა და საკვებით, თქვენც ადამიანებს სიმშვიდესა და ბედნიერებას მიანიჭებთ, როგორც ჩვენი შუამავალი . . . ისედაც ასე შეგშვენით თქვენ!



ნაწლავები ასე ამბობენ!

კუჭში კალათბურთის მოედანი.

ჩვენ ნაწლავები ვართ თქვენს მუცლის ღრუში. კუჭის ბოლოდან ვიწყებით და ანუსამდე ვაღწევთ. ჩვენი პირველი შემადგენელი ნაწილი „წვრილი ნაწლავია“, ხოლო მეორე — „მსხვილი ნაწლავი“. მოზრდილ ადამიანში წვრილი ნალწავის სიგრძე,

დაახლოებით, 6 მეტრია, ხოლო მსხვილი ნაწლავის სიგრძე — 2 მეტრი. გაგიკვირდათ, არა? ამხელა ნაწლავი პატარა მუცლის ღრუში როგორ ეტევა, არა? ღმერთმა ჩვენ ერთმანეთზე და გვერდიგვერდ მოგვათავსა.

ნუ მიაქცევთ ყურადღებას იმას, რომ პატარა მუცლის ღრუში ვართ მოთავსებული. ჩვენ გაშლილ სივრცეში რომ ვიყოთ მოთავსებული, ერთი კალათბურთის მოედნისოდენა ადგილს (300მ2) დავიკავებდით. ღმერთმა ერთად ისე კარგად მოგვათავსა რომ, თქვენი ახტომის, დახტომის, სირბილისა თუ თამაშის მიუხედავად, ჩვენ არც ადგილს ვიცვლით და არც ერთმანეთში ავირევით.

გარქ! გურქ!

თქვენ მიერ მიღებული საკვები, კუჭის შემდეგ, ჩვენს არხებში რვა-ათსაათიან ხანგრძლივ მოგზაურობას იწყებს, ჩვენ მათ ვზელთ, ვადნობთ და ვიწოვთ. დღეში 24 საათი ვმუშაობთ, მაგრამ ჩვენს სამუშაოს ისე უხმოდ და მშვიდად ვასრულებთ, რომ თქვენ ვერაფერს ვერ გრძნობთ და არც განიცდით დისკომფორტს. ასე რომ არ იყოს, თქვენ „გარქ, გურქ“ ხმებით ძალიან შეწუხდებოდით. შეიძლება ღამით ამ ხმების გამო ვერ დაგეძინათ.

არ შეგეშინდეთ, არ გაიხევა!

ჩვენ, ნაწლავები, მონელების დროს მუდმივად ვმოძრაობთ. ვინაიდან თქვენი მუცლის ღრუში მჭიდროდ ვართ მოთავსებული, მუდმივად კონტაქტში ვართ კუჭთან. დაფიქრდით აბა! როდესაც ჩვენ წლების განმავლობაში ერთმანეთთან კონტაქტურად ვმუშაობთ, რატომ არ ვცვდებით, რატომ არ ვიხლართებით ან ერთმანეთს რატომ არ ვეწებებით? მაგალითად,

ფეხსაცმელი რაც არ უნდა ხარიხსიანი ტყავისგან იყოს დამზადებული, რამდენიმე წელში გაცვდება და გაიხევა, მაშინაც კი როცა ყოველდღე არ იცვამთ . . . ჩვენ 70-80 წელი ერთმანეთთან კონტაქტურად ვმუშაობთ, მაგრამ არც ვცვდებით და არც ვიხევით. ღმერთმა ეს ყველაფერი უნაკლოდ დაგეგმა ისე, რომ კუჭის გარეთა ნაწილი დაფარა გარსით, რომელსაც „პერიტონი“ ეწოდება. ამ გარსის წყალობით არც კუჭს და არც ჩვენ არ გვადგება ზიანი. თქვენ ბედნიერად ცხოვრობთ ყოველგვარი შეშფოთების გარეშე: „ჩემი ნაწლავები ნეტა ხომ არ დაძველდება, ხომ არ გაიხევა ან ხომ არ შეეწებება ერთამენთს?“.



ცხოვრება ჯოჯოხეთად გექცეოდათ.

სინამდვილეში თქვენ მიერ მიღებული საკვები კუჭში მხოლოდ ნაწილებად იყოფა, შემდეგ კი ჩვენთან გადმოდის. ამ საკვების მონელებისა და სისხლში მიწოდების სამუშაოს ჩვენ ვასრულებთ. სანაღვლე და პანკრეასის სითხეების დახმარებით საკვებს სამი-ხუთი საათის განმავლობაში ვანაწევრებთ და მათგან ვიღებთ ცხიმებს, ნახშირწყლებსა და პროტეინებს. შემდგომში მათ წვრილი ნაწლავის შიდა კედლებში განლაგე-

ბული შემწოვი უჯრედების წყალობით ვიწოვთ და იქიდან ვაგზავნით სისხლში. როცა საკვები წვრილი ნაწლავიდან გადადის მსხვილ ნაწლავში, მასში წყლის გარდა თქვენი სხეულისათვის სასარგებლო რაიმე ნივთიერება უკვე აღარ არის . ახლა გკითხავთ! ნეტა როგორ განვასხვავებთ თქვენი სხეულისათვის სასარგებლოსა და არასასარგებლოს? ჩვენ არც თვალი გვაქვს და არც ტვინი! ეს ჩვენი საიდუმლოა! ღვთიური საიდუმლო . . .

აი, ჩვენ ზუსტად ასე კარგად ვასრულებთ ჩვენს სამუშაოს. არც რაიმე საკვებს ვანიავებთ და არც მოვალეობას უგულვებელვყოფთ. მხოლოდ სამი დღის განმავლობაში რომ არ შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა, ცხოვრება ჯოჯოხეთად გექცეოდათ. მუცელი გაგისივდებოდათ და აუტანელ ტკივილს განიცდიდით.



აიღეთ, თქვენი იყოს . . .

ბოლოს მინდა ერთი კარგი ამბავი მოგიყვეთ. ერთი ბატონი ძალიან ჭკვიან და ბრძენ მეცნიერს შეეკითხა:

- მითხარი აბა, დედამიწაზე ადამიანს ყველაზე მეტ სიამოვნებას რა ანიჭებს? მეცნიერი:

- მოთხოვნილების დაკმაყოფილება (აბდესის მოშლა)!

ბატონს არ მოეწონა მისი პასუხი და უთხრა, წადი, გამშორდიო.

მაგრამ ერთ დღეს ბატონი შეუძლოდ გახდა, კუჭში შეიკრა. უფრო მეტიც, ვერც მოშარდა, მუცელი დოლივით გაებერა, სადაც იყო გასკდებოდა. ცუდ მდგომარეობაში იყო. ექიმების მიერ მიცემულმა პრეპარატებმა ვერაფერი უშველეს. გაახსენდა იმ მეცნიერის სიტყვები და თქვა: „თურმე, იმ ბრძენ კაცს სიმართლე უთქვამს“. ეს ჭკვიანი და ბრძენი მეცნიერი სასახლეში მიიწვია და უთხრა:

- რა მოხდება, დამლოცე და იქნებ ვიპოვო ჩემი გასაჭირის წამალი. დამეხმარე, გადავურჩე ამ გასაჭირს“.

მეცნიერი:

- ჩემო ბატონო, დაგლოცავთ, წამალსაც მოგცემთ, მაგრამ როცა გამოჯანმრთელდებით, სანაცვლოდ თქვენი მთლიანი ქონების ნახევარი უნდა გადმომცეთ.

ბატონი ჯერ გაბრაზდა. უნდოდა მეცნიერი დაედანაშაულებინა ოპორტუნისტობაში, მაგრამ უმწეო მდგომარეობაში იყო. ბოლოს ბატონმა თქვა: „სიცოცხლე ქონებაზე უკეთესია“ და მის პირობას დასთანხმდა. მეცნიერმა დალოცა და მისცა წამალი. ცოტა ხნის შემდეგ ბატონმა დაიკმაყოფილა მოთხოვნა და გათავისუფლდა ტკივილისგან. შემდეგ მეცნიერს

მადლობა გადაუხადა და თავისი სიტყვა შეასრულა - ქონების ნახევარი გაუყო. მაგრამ ჭკვიანმა მეცნიერმა ბატონს უთხრა:

— ჩემო ბატონო! ეს როგორი სასულთნოა, ეს როგორი სიმდიდრეა, რომ ტუალეტის მოთხოვნილებაზე იცვლება? მე ასეთი სიმდიდრე არ მჭირდება! აიღეთ, თქვენი ქონება თქვენი იყოს.

აი, ახლა დაფიქრდით აბა! ჩემი ერთი კვირის სამუშაოს ანაზღაურება რამდენი ლარი იქნება?



შეისწავლე მეტი, შენი რწმენის შესახებ!









წიგნებისა და ჟურნალის ელექტრონული ვერსია (PDF) შეგიძლიათ უფასოდ გადმოწე-
როთ ბმულიდან: www.islamicpublishing.org თუ გაქვთ შეკითხვები,
მოგვწერეთ facebook გვერდზე „საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაცია“-
გიპასუხებთ. ან გვეწვიოთ შემდეგ მისამართზე:
ქ. ბათუმი, ხახულის I შესახვევი № 1 // ტელ: (00995) 593 73 58 93